მედიაციის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივა საქართველოში

PUBLICA HELIAE UNIVERSITAS
IGAMUS

მედიაციის მნიშვნელობა
და განვითარების პერსპექტივა
საქართველოში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2021

მედიაციის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივა საქართველოში

გამოცემა მომზადებულია ევროკავშირის დაფინანსებით

სამეცნიერო რედაქტორი: **დავით მაისურაძე**
აკადემიური რედაქტორი: **ნინო გალდავაძე**
მთარგმნელი: **ანა მარჯანიძე**

MEDIATS
Mediation: Training and Society Transformation

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021

ISBN 978-9941-18-355-3

დაიბეჭდა სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მიერ

ILIAS STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

წინასიტყვაობა

დღეს, როდესაც საქართველოს სასამართლო სისტემა განსაკუთრებით გადატვირთულია, განიცდის პროფესიული კადრების ნაკლებობას და ხშირად მხარეები ეჭვქვეშ აყენებენ საქმის განმხილველი მოსამართლის კეთილსინდისიერებას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობა. ამ მხრივ, მედიაცია არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტიანი და მხარეთა საუკეთესო ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული მექანიზმი.

საქართველოში მედიაციის ინსტიტუტი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და ვითარდებოდა, რაზეც მრავალი ისტორიული წყარო და კვლევა მიუთითებს. თუმცა, მედიაციის ტრადიციულმა ფორმამ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად დაკარგა თავისი მნიშვნელობა. შესაბამისად, აუცილებელი გახდა საქართველოში დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პოპულარიზაცია და მათი მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით დანერგვა.

მედიაციის და ზოგადად დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების მხარდაჭერაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს როგორც სახელმწიფომ, ასევე – საზოგადოებამ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიაციის ინსტიტუტის დადებითი მხარეებისა და საქართველოში მასთან დაკავშირებული გამოწვევების შესწავლაში აკადემიური სფეროს როლი. მედიაციის საკითხების მეცნიერული შესწავლა და ანალიზი ეფექტიანად გადაჭრის მედიაციის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

ამდენად, არსებული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტთან ერთად, უკვე მეორე წელია, რაც მონაწილეობას იღებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში (Mediation: training and society transformation/MEDIATS), რომლის ერთ-ერთი მიზანია მედიაციის განვითარებისთვის უნივერსიტეტში სამაგისტრო მოდულის შექმნა. პროექტში ჩართულნი არიან როგორც ექსპერტები დასავლეთ ევროპიდან, ასევე,

აზერბაიჯანის, უკრაინისა და ლატვიის უნივერსიტეტების წარმომადგენლები, რაც სხვადასხვა სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარების განსაკუთრებულ შესაძლებლობას იძლევა.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს პროექტის განმავლობაში გამოვლენილი პრობლემური ასპექტებისა და მედიაციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი საკითხების ერთობლიობას. კრებული მიზნად ისახავს, აამაღლოს სტუდენტებისა და ზოგადად დაინტერესებული პირების ცოდნა მედიაციასთან დაკავშირებით და გაუღვივოს მკითხველს ინტერესი მედიაციის სფეროს მიმართ.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დანერგვით შესაძლებელია სასამართლო სისტემის განტვირთვა და ნდობის აღდგენის პროცესის ხელშეწყობა. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულის განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური გზა არის მედიაციის განვითარების ხელშეწყობა.

დავით მაისურაძე

ასოცირებული პროფესორი

კერძო/ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

სარჩევი

დიმიტრი ძაგნიძე

მედიაციის მოწესრიგების ქართული მოდელი
საკანონმდებლო რეფორმის ფონზე 1

ქეთევან დევაძე

მედიატორის პროფესია და მახასიათებლები:
ვინ არიან მედიატორები საქართველოში? 22

დავით მაისურაძე

რატომ ესაჭიროებათ აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი
სახელმწიფოების საწარმოებს მედიაცია
(რეკომენდაციები და მოკლე ანალიზი) 32

უჩა ძიმისტარიშვილი

ონლაინ მედიაცია – დავის გადაწყვეტის საშუალება
კარანტინის დროს 42

შორენა მესხიძე

მედიაციის როლი სკოლის პედაგოგის საქმიანობაში 50

დავით ქათამაძე

მედიაციის პროცესში გამოვლენილი სტრესი და მისი
შემცირების გზები 60

ქეთევან ბერიძე და რუსუდან კეჭაყმაძე

განქორწინება, ბავშვი და საოჯახო მედიაცია 72

მედიაციის მოწესრიგების ქართული მოდელი საკანონმდებლო რეფორმის ფონზე

დიმიტრი ძაგნიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის მაგისტრი (LLM), მოწვეული ლექტორი
ddzagnidze@gmail.com

აბსტრაქტი

სტატია მიზნად ისახავს „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის ძირითადი პრინციპების და საკვანძო დებულებების განხილვას. მედიაციის რეგულირების თანამედროვე მოდელების მაგალითზე სტატიაში ასევე მიმოხილულია რეგულირების მეთოდები, რომლებიც ქართველმა კანონმდებელმა აირჩია მედიაციის სფეროსა და მედიატორის პროფესიის რეგულირების მიზნით.
მედიაციის კანონის და მისი თანმდევი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებების საფუძველზე გამოვლენილია ის გამოწვევები, რომლებიც მედიაციის სრულფასოვანი დანერგვის მიზნებისთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული.
სტატიაში ასევე მოყვანილია ცალკეული რეკომენდაციები საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით.

საკვანძო სიტყვები: მედიაცია; კანონმდებლობა; რეგულირება.

Abstract

The aim of this article is to provide the overview of the basic principles and main provisions of the Law of Georgia on Mediation. On the example of modern regulatory models of mediation the article also gives overview of the methods of regulation chosen by the Georgian legislature for the purpose of regulation of mediation sphere and professional regulation of mediators.
On the basis of the provisions of the Law on Mediation and its accompanying legislative and other normative acts article highlites the challenges that

should be taken into consideration for the successful implementation of mediation.
The present articles also provides several recommendations from the legislative teechnique püerspective.

Keywords: Mediation; legislation; Regulation.

შესავალი

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 18 მაისს მიიღო „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი[1] და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც ცვლილებები შევიდა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში.[2] მედიაციის შესახებ ახალი კანონი წარმოადგენს მედიაციის სისტემატიზებული მოწესრიგებისკენ გადადგმულ ნაბიჯს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მედიაციის მომწესრიგებელი ნორმები ქართულ კანონმდებლობაში 2011 წლიდან გამოჩნდა, მედიაციის მომწესრიგებელი ზოგადი კანონი ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობდა და ამგვარი შინაარსის ნორმები მხოლოდ სპორადულად იყო გაბნეული სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში.

მედიაციის ახალი კანონის რამდენიმე დებულება, რომლითაც საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ჩამოყალიბება გახდა შესაძლებელი, გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა, თუმცა, კანონის არსებითი დებულებები მხოლოდ 2020 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. კანონის ამოქმედებიდან გასული რამდენიმე თვე არ იძლევა მისი შედეგების სრულყოფილი შეფასების საშუალებას. თუმცა, შესაძლებელია გარკვეული დასკვნების

---

1 საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ* №4954-Iს, (თბილისი: სსმ, 27/09/2019), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1 (18.11.2020).

2 „მედიაციის შესახებ“ კანონის მიღებასთან ერთად, საქართველოს პარლამენტის მიერ ცვლილებები იქნა შეტანილი შემდეგ საკანონმდებლო აქტებში: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი“. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები განხილული იქნება „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის დებულებებთან ერთად.

გამოტანა საკანონმდებლო რეფორმის შედეგად შემოთავაზებული მედიაციის მოდელთან დაკავშირებით.

წინამდებარე მოკლე მიმოხილვის ფარგლებს სცდება მედიაციის ახალი ქართული კანონის შედარება მედიაციის ევროპული დირექტივის,[3] საქართველოს მიერ ხელმოწერილი მედიაციიდან გამომდინარე საერთაშორისო სამომრიგებლო შეთანხმებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის[4] და მედიაციის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის ამსახველი მოდელური კანონის[5] თუ სხვა საერთაშორისო და რეგიონალური ინსტრუმენტების დებულებებთან.[6] მიუხედავად ამისა, აღნიშნული აქტების გავლენა მედიაციის ქართულ კანონზე საგრძნობია არა მხოლოდ რეგულირების შინაარსის, არამედ მისი ფორმისა და სტრუქტურის თვალსაზრისით.

1. მედიაციის ქართული მოდელის ადგილი მედიაციის რეგულირების ძირითად თანამედროვე სისტემებში

დღეისათვის მედიაციის რეგულირების ორ ძირითად მოდელს გამოყოფენ. *ექსტენსიური რეგულირების მოდელი* არა მხოლოდ მედიაციის

---

3 EUR-Lex, *Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on certain aspects of mediation in civil and commercial matters* №32008L0052 (Official Journal of the European Union, L 136, 24.5.2008): 3–8, http://data.europa.eu/eli/dir/2008/52/oj (18.11.2020). შემდგომში ევროპული დირექტივა.

4 United Nations, United Nations Convention on International Settlement Agreements Resulting from Mediation, *COMMERCIAL ARBITRATION AND MEDIATION* XXII (4), (New York, 20 December 2018), https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XXII-4&chapter=22&clang=_en (30.11.2020). შემდგომში სინგაპურის კონვენცია.

5 UNITED NATIONS COMMISSION ON INTERNATIONAL TRADE LAW, *UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting form Mediation, 2018 (amending the UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation, 2002)* Annex II, A/73/17 (UNITED NATIONS COMMISSION ON INTERNATIONAL TRADE LAW, 2018): 56-62, https://www.uncitral.org/pdf/english/commissionsessions/51st-session/Annex_II.pdf (18.11.2020).

6 European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), *European Handbook for Mediation Lawmaking. As adopted at the 32th plenary meeting of the CEPEJ Strasbourg, 13 and 14 June 2019* (2019), https://rm.coe.int/cepej-2019-9-en-handbook/1680951928 (18.11.2020); European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), *Mediation Development Tookit. Ensuring Implementation of the CEPEJ Guideliens on Mediation* (2018), https://rm.coe.int/mediation-development-toolkit-ensuring-implementation-of-the-cepej-gui/16808c3f52 (18.11.2020).

პროცესის, არამედ მედიატორის პროფესიული რეგულირების საკმაოდ დეტალურ მოწესრიგებას გულისხმობს, ხოლო, *შეზღუდული რეგულირების მოდელი* მედიაციის სფეროში ნაკლებ საკანონმდებლო ჩარევაში გამოიხატება.[7]

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად მედიაციის წარმატებას მხოლოდ რეგულაციური მოდელის არჩევანი არ განაპირობებს. თუმცა, გამართული რეგულაციური გარემოს არსებობაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამიტომაც, მედიაციის საკანონმდებლო მოწესრიგების შესახებ მსჯელობა წინ უსწრებდა მედიაციის ახალი კანონის მიღებას.[8]

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ რეგულაციური მოდელი, რომელიც საფუძვლად დაედო მედიაციის ახალ ქართულ კანონს, როგორც სტრუქტურის, ისე მოწესრიგების ფარგლების თვალსაზრისით, თანხვედრაშია ევროპული და საერთაშორისო ინსტრუმენტების მოთხოვნებთან. ახალი კანონი ითვალისწინებს მედიაციის ინსტიტუციონალიზაციისთვის აუცილებელ ნორმებს, პირველ რიგში, თავად მედიაციის და მედიატორის ცნებებს, მედიაციის ძირითად პრინციპებს, მედიატორის ძირითად მოვალეობებს, სამედიაციო შეთანხმების და სამედიაციო მორიგების დადებისა და აღსრულების საკითხებს. თავად მედიაციის წარმართვის პროცესი ნაკლებად მოხვდა რეგულაციურ ბადეში. ამ ნაწილში, ქართული კანონი შეზღუდული რეგულირების მოდელისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ავლენს. თუმცა, განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება მედიატორთა პროფესიული რეგულირება, რაც სახელმწიფო რეგულირების (მედიატორთა ერთიან პროფესიულ გაერთიანებაში სავალდებულო გაწევრიანების ვალდებულება, პროფესიული და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მედიატორთა მიმართ) და თვითრეგულირების (მედიატორთა პროფესიული გაერთიანების მიერ მედიატორთა სავალდებულო საკვალიფიკაციო და პროფესიული, ასევე ქცევის სტანდარტების დადგენა) ელემენტებს შეიცავს.

მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს კანონით როგორც სასამართლო მედიაციის, ისე კერძო (ნებაყოფლობითი) მედიაციის მოწესრიგების მცდელობა. თუმცა, ცხადია, რომ სასამართლო მედიაციის თავისებურე-

---

7 Klaus J. Hopt and Felix Steffek, Eds., „Mediation: Comparison of Laws, Regulatory Models, Fundamental Issues", *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective* (Oxford University Press, 2013): 17-19.

8 ირაკლი ყანდაშვილი, „მედიაცია – დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივა საქართველოში (მედიაციის ინსტიტუციური მოწყობა)", *სამართლის ჟურნალი* 2 (2017): 114-122; გიორგი ცერცვაძე, რედ., *მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში* (თბილისი: დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრი, 2013).

ბათა გათვალისწინებით, სასამართლო მედიაცია რეგულირების უფრო მაღალ ხარისხს შეიძლება დაექვემდებაროს კერძო მედიაციასთან შედარებით.

ქართული საკანონმდებლო ტექნიკის ტრადიციების და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, მედიაციის ახალი ერთიანი კანონის მიღებამ გამოიწვია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანა. მათი ძირითადი ნაწილი მხოლოდ მედიაციის ახალი კანონის მოთხოვნების დარგობრივ კანონებში ასახვას ემსახურება ან საპროცესო საკითხების მოწესრიგებას ისახავს მიზნად.

2. მედიაციის კანონის სტრუქტურა

მედიაციის ახალი კანონი შედგება სულ 19 მუხლისგან, რომლებიც ოთხ თავშია განაწილებული. კანონის I თავში ზოგადი დებულებებია ასახული. კანონის პირველი მუხლი კანონის რეგულირების სფეროს შემოსაზღვრავს; მეორე მუხლში განმარტებულია ძირითადი სისტემური ცნებები (მედიაცია, მედიატორი, სამედიაციო შეთანხმება, სამედიაციო მორიგება და ა.შ.); ხოლო, მესამე მუხლში ჩამოთვლილია მედიაციის წარმართვის პრინციპები.

კანონის II თავი (მედიაციის პროცესი) ყველაზე უფრო მოცულობითია და მასში მოწესრიგებული საკითხების გათვალისწინებით, ის მნიშვნელოვნად სცილდება თავის სათაურში მითითებულ მედიაციის პროცესს. გარდა საკუთრივ მედიატორის შერჩევის წესისა და შერჩევისას გასათვალისწინებელი გარემოებებისა (როგორც სასამართლო, ისე კერძო მედიაციის შემთხვევებში), აქვე ვხვდებით ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ მედიატორად მონაწილეობის გამომრიცხველ გარემოებებს და შეიცავენ მედიატორად ყოფნის შემთხვევაში, შემდგომში, იმავე ან დაკავშირებულ საკითხზე სხვა სტატუსით მონაწილეობის ამკრძალველ გარემოებებს. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, შესაძლოა, უმჯობესი ყოფილიყო კანონის მე-6 მუხლიდან მედიატორის მიერ მხარეთათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ცალკე მუხლად გამოყოფა.

კანონის მე-7 მუხლი განსაზღვრავს მედიაციის დაწყების მომენტს, რომლის ზუსტად დაფიქსირება არსებითი მნიშვნელობისაა, რადგან მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები სდევს თან, პირველ რიგში, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების და სასამართლოსათვის და არბიტრაჟისათვის იმავე დავასთან დაკავშირებით მიმართვის მხრივ. მე-7 მუხლში მხოლოდ ეს ბოლო საკითხია მოწესრიგებული, ხოლო ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას ცალკე მე-12 მუხლი ეთმობა. ამავე მუხლში ასახულია მედიაციის იმანენტური პრინციპი – ნებაყოფლობითობა, რაც მე-

დიაციის მხარეს უფლებას ანიჭებს, მედიაციის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას მასში მონაწილეობაზე, თუ მედიაციის შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

კანონის მე-8 მუხლში მოცემულია მედიაციის პროცესის წარმართვის ზოგადი ხასიათის წესები. კანონმდებელი არ ცდილობს დეტალურად მოაწესრიგოს მედიატორის მიერ მედიაციის წარმართვის მეთოდები და ხერხები, რაც გამართლებულია, ვინაიდან მნიშვნელოვანია, მედიატორებს მიეცეთ შესაძლებლობა, მედიაციის პროცესში მაქსიმალურად შეძლონ საკუთარი უნარჩვევების გამოვლენა.

კანონის მე-9 მუხლი ორ დამოუკიდებელ, თუმცა, ერთმანეთთან დაკავშირებულ საკითხს აწესრიგებს და ალბათ, ამ შემთხვევაშიც გამართლებული იქნებოდა მათი გამიჯვნა. 1-ელ და მე-4 პუნქტებში ასახული საკითხი შეეხება მედიაციის დასრულების ზუსტი მომენტის განსაზღვრას და ამის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემას მედიატორის მიერ, რაც ასევე ხანდაზმულობის ვადის დინებასთანაა დაკავშირებული. მე-2 და მე-3 პუნქტები კი სამედიაციო შეთანხმების ფორმას და შედგენის და ხელმოწერის წესებს ადგენენ. ბუნებრივია, მნიშვნელოვანია, რომ მედიაცია წარმატებით დასრულდეს, თუმცა, შესაძლოა, მედიაცია წარუმატებელიც აღმოჩნდეს. შესაბამისად, სასურველი იქნებოდა, სამედიაციო შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხები ცალკე მუხლის სახით ყოფილიყო კანონში ასახული.

კანონის მე-10 მუხლი მედიაციის ფუძემდებლური პრინციპის – კონფიდენციალურობის პრინციპის მოქმედების ფარგლებს ეთმობა. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს როგორც ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას, ისე მისგან გამონაკლისებს.

მედიატორის ანაზღაურების წესს აწესრიგებს კანონის მე-11 მუხლი, როგორც სასამართლო, ისე კერძო მედიაციის შემთხვევებისთვის.

კანონის მე-12 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ კერძო მედიაციის დაწყება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას აჩერებს.

კანონის მე-13 მუხლი სამედიაციო მორიგების აღსრულების უფლებამოსილებას მედიაციის ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს ანიჭებს.

კანონის III თავი მედიატორთა პროფესიული ორგანიზების ფორმას ეთმობა. მე-14 მუხლი აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს მედიატორთა ასოციაციას, რომელიც მედიატორთა თვითრეგულირების ორგანოა. ამავე მუხლში მოცემულია მედიატორთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოს, საერთო კრების უფლებამოსილებები და მედიატორთა ერთიანი რეესტრის წარმოების, გამოქვეყნების და ხელმისაწვდომობის შესახებ დებულებები. მედიატორთა ასოციაციის წევრობასთან

და ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგებას კანონი მედიატორთა ასოციაციის წესდებას მიანდობს.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, როგორც მართვის კოლეგიური ორგანოს, ძირითადი უფლებამოსილებები და მისი ფორმირების წესი კანონის მე-15 მუხლშია მოცემული, ხოლო, მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევის და უფლებამოსილების ვადის საკითხს კანონის მე-16 მუხლში ვხდვებით. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის დაფინანსების წყაროებს კი კანონის მე-17 მუხლი ჩამოთვლის.

დასასრულს, კანონის ბოლო IV თავი გარდამავალ და დასკვნით დებულებებს შეიცავს, რომელთაც მნიშვნელობა მედიატორთა ასოციაციის პირველი კრების ჩატარების კუთხით ჰქონდათ.

3. მედიაციის კანონის რეგულირების სფერო

მედიაციის რეგულირების ქართული მოდელის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიშანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ არსებობს მედიაციის ერთიანი კანონი, რომელიც სისტემატიზირებული აქტია და ვრცელდება როგორც სასამართლო მედიაციაზე, ისე კერძო მედიაციაზე. ასევე, ცალკეულ სფეროებში მოქმედებს მედიაციის მომწესრიგებელი ცალკეული ნორმები. შესაბამისად, მედიაციის რეგულირების ქართული მოდელი რეგულირების გეგმის მიხედვით ზოგადი და სექტორალური მოდელის ნიშნებს ავლენს.[9]

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო მედიაციის მიმართ მედიაციის კანონის დებულებები გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი სპეციალური ნორმების თავისებურებათა გათვალისწინებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატებული ახალი თავი (თავი XXI[1] – სასამართლო მედიაცია) სასამართლო მედიაციის მიმართ გამოსაყენებელ სპეციალურ წესებს შეიცავს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმეების ჩამონათვალი, ასევე სასამართლო მედიაციისთვის დაწესებული სპეციალური ვადა და სასამართლო მედიაციაში მონაწილეობისგან არასაპატიო მიზეზით თავის არიდებისათვის გათვალისწინებული ნეგატიური ფინანსური შედეგები.

სასამართლო მედიაციის განხორციელება დასაშვებია მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რომელიც ცალკე არ საჩივრდება. სასამართლო მედიაციას შეიძლება გადაეცეს საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეზობლო, შრომითი (გარდა კოლექტიური დავისა), საზიარო უფლებებთან დაკავ-

9 Nadja Alexander and Felix Steffek, *Making Mediation Law* (Washington DC: International Finance Corporation, 2016), 23.

შირებული, არაქონებრივი, საკრედიტო-სასესხო ხელშეკრულებიდან გამომდინარე 1000 ლარამდე ღირებულების, 2000 ლარამდე ღირებულების ქონებრივი დავები. რაც შეეხება სხვა ქონებრივ დავებს, ისინი სასამართლო მედიაციას შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. უფრო დეტალურად, სასამართლო მედიაციის წარმართვის საპროცესო და ორგანიზაციული ასპექტები მოცემულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ „სასამართლო მედიაციის პროგრამაში."[10] აღნიშნული აქტის მეხუთე მუხლის მიხედვით, მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეებზე სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს განჩინება საქმის მედიატორის გადაცემის შესახებ სასამართლოში სარჩელის და შესაგებლის წარდგენის შემდეგ, თუ (ა) დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარეთა შორის სამომავლო ურთიერთობა გარდაუვალია; (ბ) ერთ-ერთ მხარეს გაცხადებული აქვს თანხმობა მედიაციის გამოყენების თაობაზე; (გ) დავა მნიშვნელოვნად პირად ხასიათს ატარებს; (დ) ნათელია, რომ დრო ან/და რეპუტაცია მხარისათვის არსებითია; (ე) სასამართლო ხარჯებმა, შესაძლოა, დავის საგნის ღირებულებას გადააჭარბოს; (ვ) მხარეთა შორის არსებობს მედიაციის შეთანხმება და ამაზე საპროცესო მხარე მიუთითებს; (ზ) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განხორციელება მოითხოვს საკითხის დროულ გადაწყვეტას; (თ) მედიაცია მნიშვნელოვანია მოდავე მხარეთა ბიზნეს ურთიერთობის გრძელვადიანი დაცვის ინტერესისა და სამართლებრივ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის; და (ი) სხვა გარემოებები მიუთითებენ დავის მედიაციის გზით განხილვის მიზანშეწონილობაზე.

საქმის მედიატორისთვის გადაცემა მხოლოდ სასამართლოში სარჩელის შეტანისა და მოსამზადებელი სხდომის ეტაპით არ შემოიფარგლება. მედიატორისთვის საქმის გადაცემა დასაშვებია პროცესის სხვა ნებისმიერ ეტაპზეც, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. იმისათვის, რათა პროცესის მონაწილეებს მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ მედიაციის უპირატესობების შესახებ, „სასამართლო მედიაციის პროგრამა" ითვალისწინებს ამ მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის ჩატარების შესაძლებლობას, რომელზეც მხარეებს და მათ წარმომადგენლებს განემარტებათ მედიაციის უპირატესობები, მედიატორის და მხარეთა როლი. მხარეთა სურვილის შემთხვევაში, საინფორმაციო შეხვედრა შესაძლებელია გადაიზარდოს მედიაციის პროცესში, რის თაობაზეც უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც მიიღებს განჩინებას საქმის მედიატორისთვის გადაცემის თაობაზე.

მართალია, „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი პირდაპირ არ მიუთითებს, რომ მედიაცია ხორციელდება კერძო ხასიათის დავებზე და

10 სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ, გადაწყვეტილება №1/366, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 27.12.2019, http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf (18.11.2020).

არც არბიტრაჟის შესახებ კანონის მსგავს ჩანაწერს შეიცავს „პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავაზე, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის“[11], მაგრამ კანონის მოქმედება ვერ გავრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის დავებზე, როგორც ეს ზოგიერთ სხვა ქვეყნის მედიაციის კანონში გვხვდება და არც ადმინისტრაციული კანონმდებლობა იძლევა იმის საფუძველს, რომ მედიაციის კანონის მოქმედება გავრცელდეს სხვა რაიმე სახის დავაზე, გარდა კერძოსამართლებრივი დავისა.

მედიაციის კანონის რეგულირების სფეროს მიღმა დარჩა კანონის მიღებამდე ქართულ კანონმდებლობაში არსებული მედიაციის სპეციალური სახეები – სანოტარო მედიაცია, კოლექტიური დავის განხილვის მიზნით გათვალისწინებული მედიაცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული მედიაცია და მიწის რეგისტრაციის სფეროში მოქმედი მედიაცია. გამონაკლისების დაწესება გამოწვეულია მედიაციის ამ სახეების თავისებურებებით.

საყურადღებოა, რომ მედიაციის ქართული კანონი არ ავლებს რაიმე მიჯნას ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო მედიაციას შორის და ამგვარი მონისტური რეგულირების სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი გამართლებულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

კანონის რეგულირების სფეროს არსებითად უკავშირდება მედიაციის წარმართვის პრინციპების დამდგენ მესამე მუხლში არსებული ჩანაწერი, რაც ამ პრინციპებს განსაკუთრებულ სტატუსს სძენს. მედიაციის პროცესში წარმოშობილი საკითხები, თუ ისინი კანონით არ არის გათვალისწინებული, სწორედ აღნიშნული მედიაციის წარმოების პრინციპების საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

4. მედიაციის პრინციპები

კანონში მოცემულია მედიაციის პროცესის ჩამონათვალი, რომლებიც, გარდა იმისა, რომ კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში რეგულაციურ ფუნქციას ასრულებენ, გამოიხატებიან კანონის მთელ რიგ დებულებებში.

კანონი მედიაციის წარმართვის რამდენიმე პრინციპს ჩამოთვლის:

4.1 ნებაყოფლობითობის პრინციპი მედიაციის იმანენტური ნიშანია, რაზეც, სასურველი იყო, ყურადღება გამახვილებულიყო მედიაციის განმარტებაშიც და ის არ ყოფილიყო მოხსენიებული მხოლოდ კერძო მედი-

11 საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ #1280*: 01/01/2010, 63-ე მუხლი, (თბილისი: სსმ, 13, 02/07/2009), https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284?publication=8 (30.11.2020).

აციის განმარტების ფარგლებში. კერძო მედიაციის დაწყების საფუძველს წარმოადგენს მედიაციის თაობაზე მხარეთა შორის შეთანხმება, ხოლო სასამართლო მედიაციისა კი, სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემა.

ნებაყოფლობითობის პრინციპის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ მედიაციის მხარეს ნებისმიერ ეტაპზე უფლება ეძლევა, უარი განაცხადოს მასში მონაწილეობაზე, თუ მედიაციის შესახებ შეთანხმებით სხვა რამ არ გამომდინარეობს.

4.2 თვითგამორკვევის პრინციპი ასევე საბაზისო მნიშვნელობას ასრულებს. კერძო მედიაციისას მედიატორის არჩევა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე, მხარეები თავისუფალნი არიან, მედიატორის შერჩევის დროს მხედველობაში მიიღონ ან არ მიიღონ მედიატორის კანდიდატურის პროფესიული თუ პიროვნული გარემოებები. მხარეები თავისუფალნი არიან, შეთანხმდნენ მედიაციის წარმართვის წესზე, რომელიც კანონით არ არის დადგენილი. მედიაციის მხარეებს უფლება აქვთ, მედიაციის პროცესში მონაწილეობა მიიღონ როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. თუმცა, მედიატორს უფლება აქვს მოითხოვოს მხარის უშუალო მონაწილეობა საქმის გარემოებათა გათვალისწინებით. მხარეები უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ მედიაციის ხანგრძლივობა. მედიაციის პროცესის და მედიაციის საბოლოო შედეგის მიმართ კანონის მერვე მუხლის მე-9 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს მხარეთა მიერ თავისუფალი, დამოუკიდებელი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პრინციპზე. მედიაციის პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სამედიაციო მორიგებას ადგენენ მხარეები და/ან მათი წარმომადგენლები. სამედიაციო მორიგების აღსრულების მიზნით სასამართლოს მიმართავს ერთი ან ორივე მხარე.

4.3 კეთილსინდისიერების და თანასწორობის პრინციპის მნიშვნელობა პირდაპირ გამომდინარეობს როგორც მედიაციას დაქვემდებარებული დავების ხასიათიდან, ისე კანონის მერვე მუხლის მე-6 პუნქტიდან, რომელიც მედიატორს ავალებს, მედიაციის პროცესში უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა.

4.4 მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის პრინციპების მოქმედება უზრუნველყოფილია როგორც უშუალოდ მედიაციის კანონის ცალკეული დებულებებით, ისე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებებით. მედიაციის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი მხარეებს (ხოლო, თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ მედიატორის კანდიდატურაზე, ამ შემთხვევაში, საქართველოს მედიატორთა ასოციაციას) ავალდებულებს, გაითვალისწინონ გარემოებები, რომლებიც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი აუდიტორის შერჩევას განაპირობებს. კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მედიატორს აკისრებს მედიაციის მხარეები-

სათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, რომლის ფარგლებშიც, მედიატორი ვალდებულია, მედიაციის დაწყებამდე ან/და მედიაციის დაწყების შემდეგ, მედიაციის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შეატყობინოს მედიაციის მხარეებს იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება საეჭვო გახადონ მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. ამგვარი გარემოებების არსებობისას, მედიატორს შეუძლია მაინც უარი განაცხადოს მედიაციის წარმართვაზე, მიუხედავად მხარეთა წერილობითი თანხმობისა. მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის ზოგადი სახის მოთხოვნის გვერდით, მედიაციის იმავე მუხლით და სპეციალური კანონმდებლობით დადგენილია მედიატორად ყოფნის გამომრიცხველი გარემოებები და პირიქით, მედიაციის ფარგლებში მედიატორად მონაწილეობის შედეგად იმავე ან მასთან დაკავშირებულ საქმეზე სხვა სახის საპროცესო, პროფესიული და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირადი მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებები. კერძოდ, მედიატორი ვერ იქნება პირი, თუ იგი იმავე დავის ან მასთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობდა როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სახელმწიფო მოსამსახურე, მედიატორი ნოტარიუსი ან კოლექტიურ შრომით დავაში მედიატორი, მხარის წარმომადგენელი სასამართლოში და არბიტრაჟში, აუდიტორულ ან/და იურიდიულ მომსახურებას უწევდა მედიაციის რომელიმე მხარეს. კანონით დადგენილ აკრძალვას საპირისპირო ეფექტიც გააჩნია და მედიატორს ეკრძალება სამომავლოდ იმავე საქმის ან მასთან არსებითად დაკავშირებულ საქმეში სხვა რაიმე სტატუსით მონაწილეობა.

ამ ორმაგი შეზღუდვიდან გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვისას არბიტრად მონაწილეობის შემთხვევაში, თუ მხარეები უშუალოდ სამედიაციო საკითხის წარმოშობის შემდეგ წერილობით შეთანხმდნენ არბიტრის მედიატორად არჩევაზე და პირიქით, მედიაციის პროცესში მხარეთა შეთანხმებით მედიატორის არბიტრად დანიშვნის შემთხვევაში.

4.5 კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპს მედიაციის კანონი ცალკე აწესრიგებს და მას საკმაოდ მოცულობით, მეათე მუხლს უთმობს. გარდა უშუალოდ მედიაციის კანონისა, კონფიდენციალურობის დაცვა უზრუნველყოფილია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში შეტანილი ცვლილებებით.

პრინციპში, კონფიდენციალურობა ვრცელდება მედიაციის პროცესზე (მათ შორის მედიაციის დასრულების შემდეგ) და იმ ინფორმაციაზე, რომელიც ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას და ის ვრცელდება როგორც მედიაციის მხარეებზე, ისე მედიაციის დანარჩენ მონაწილეებზე და თვით კონფიდენციალური ინფორმაციის მიმღებ პირებ-

ზეც. ამ მოვალეობის მასშტაბი, როგორც ითქვა, განსხვავებულია მედიაციის მონაწილეთა გათვალისწინებით.

კანონი ითვალისწინებს, რომ კონფიდენციალურობის ვალდებულება ვრცელდება ინფორმაციაზე, რომელიც ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მსვლელობისას ან არსებითად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან, თუ ამ ინფორმაციის გამცემ პირსა და მხარეს/მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აგრეთვე თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერების მომენტის განსაზღვრისათვის აუცილებელი არ არის.

მედიაციის კანონი კონკრეტულად არ განსაზღვრავს კონფიდენციალურს მიკუთვნებული ინფორმაციის ფორმას (ზეპირი, წერილობითი და ა.შ.)

კონფიდენციალურობის ვალდებულების ფარგლებში მედიაციის მონაწილეებს ეკრძალებათ ინფორმაციის გამოყენება სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის დროს ან დავის ნებისმიერი სხვა საშუალებით განხილვისას, თუ კანონი სხვაგვარად არ ადგენს.

რაც შეეხება მედიატორს, მას ასევე ეკრძალება მედიაციის მხარეებთან გამართული ინდივიდუალური შეხვედრისას მხარისაგან მიღებული ინფორმაცის გამჟღავნება, ამავე მხარისაგან გაცემული აშკარა თანხმობის არარსებობის შემთხვევაში.

გარდა უკვე ნახსენები ზოგადი პირობებისა (მხარეთა და ინფორმაციის გამამჟღავნებელს შორის დადებული შეთანხმება და კანონით გათვალისწინებული სხვა პირობები), მედიაციის კანონში დამატებით მოცემულია კონფიდენციალურობის მოვალეობისგან განთავისუფლების საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი. გამონაკლისები მიმართულია როგორც საჯარო ინტერესების, ისე კერძო ინტერესების დაცვისაკენ და ჩამონათვალში ფიგურირებს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების უზრუნველყოფის და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების გამოძიების, სასამართლო გადაწყვეტილებების და სხვა სამართლებრივი აქტების აღსრულების მიზნები. იმისათვის, რომ მრავალრიცხოვანი გამონაკლისების არსებობის პირობებში საფრთხე არ შეექმნას კონფიდენციალურობის პრინციპს, სამომავლოდ ბევრი იქნება დამოკიდებული კანონის იმ დებულებაზე, რომელიც კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევებს აქცევს კანონიერი მიზნის ადეკვატურობის და პროპორციულობის მოთხოვნის ფარგლებში, ისე რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მესამე პირებისაგან.

5. მედიაციის ცნება და სახეები

მედიაციის ქართული კანონი განმარტავს მედიაციის ცნებას, რომელიც, თავის მხრივ, სასამართლო და კერძო მედიაციის სახეებად იყოფა. მედიაცია განმარტებულია როგორც „პროცესი, მისი სახელწოდების მიუხედავად, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით და წესით."

მედიაციის კანონისმიერ განმარტებაში არ გვხვდება მითითება მედიაციის პროცესის სტრუქტურიზებულ, ნებაყოფლობით და კონფიდენციალურ ხასიათზე. ნებაყოფლობითობის პრინციპს კანონი მხოლოდ კერძო მედიაციის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს. რაც შეეხება კონფიდენციალურობას, ეს პრინციპი მედიაციის კანონის ცალკე მუხლში უფრო ვრცლად არის ასახული და კანონის სხვა დებულებებშიც გვხვდება.

გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად სასამართლო მედიაციისთვის დაწესებული ფინანსური სტიმულებისა და არასაპატიო მიზეზით მედიაციისგან თავის არიდებისთვის დაწესებული ფინანსური სანქციებისა, სასამართლო მედიაციის მიმართ ასევე მოქმედებს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული წესი, რომლითაც მხარეს უფლება ენიჭება, მედიაციის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას მასში მონაწილეობაზე, თუ კანონით ან მედიაციის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, რაც სწორედ ნებაყოფლობითობის პრინციპის გამოვლინებაა. მართალია, საპროცესო კოდექსი მხარეს სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადების ვალდებულებას აკისრებს, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს მედიაციის პროცესის სავალდებულოდ სამედიაციო მორიგებით დასრულებას. ამიტომაც, ნებაყოფლობითობის პრინციპზე მითითება სასურველი იქნებოდა როგორც კერძო, ისე სასამართლო მედიაციის შემთხვევებში.

კერძო მედიაცია, კანონისმიერი განმარტების მიხედვით, ხორციელდება მხარეთა ინიციატივით, მედიაციის თაობაზე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხოლო სასამართლო მედიაცია ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემთხვევაში.

6. მედიაციის პროცესის მონაწილეები

კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს მედიაციის მხარეებს და მედიაციის მონაწილეებს. მედიაციის მხარეები ის ფიზიკური და იურიდიული პირები, ასევე იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციებია (მაგალითად სამოქალაქო სამართლის ამხანაგობები), რომელთაც ერთმანეთს შორის დავა აქვთ. თავის მხრივ, მედიაციის მონაწილეებს, გარდა მედიაციის მხარეებისა, მედიატორები, მხარეთა წარმომადგენლები და მესამე პირები წარმოადგენენ. ბუნებრივია, რომ კანონი ითვალისწინებს განსხვავებულ მიდგომებს მედიაციის ცალკეული მონაწილეების მიმართ. კანონის ზოგიერთი ნორმა თანაბრად ვრცელდება მედიაციის ყველა მონაწილეზე (მაგალითად, კონფიდენციალურობის ვალდებულება), თუმცა მთელი რიგი დებულებები მხოლოდ მედიაციის მხარეების და მედიატორების მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული. კანონის ზოგიერთი ნორმა როგორც მხარეებზე, ისე მედიატორზეც ვრცელდება (მაგალითად, სამედიაციო მორიგებაზე ხელს აწერენ მხარეები და მედიატორი, მედიატორის ანაზღაურებაზე შეთანხმებას დებენ მხარეები და მედიატორები).

კანონში არ არის განსაზღვრული, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა მყარდება მედიატორსა და მედიაციის მხარეებს შორის. სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი გამოცდილება იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული ურთიერთობა კერძოსამართლებრივ ჭრილში უნდა იქნეს დანახული, თუმცა, ზოგგან ეს ურთიერთობა მომსახურების ხელშეკრულების, ხოლო სხვაგან – დავალების ხელშეკრულებების ფარგლებში ექცევა.[12]

7. მედიაციის დაწყება

მედიაციის პროცესი გავლენას ახდენს დავის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობაზე, ამიტომაც, მნიშვნელოვანია კანონი ცალსახად განსაზღვრავდეს მედიაციის დაწყების და დასრულების მომენტს, რა დროსაც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერებულია. მედიაციის საწყისი დრო განსხვავებულად აითვლება სასამართლო და კერძო მედიაციის შემთხვევებისთვის.

სასამართლო მედიაცია დაწყებულად ჩაითვლება მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისთვის გადაცემის მომენტიდან. რაც შეეხება კერძო მედიაციას, ამ შემთხვევაში, კანონი მედიაციის საწყის მომენტად მიიჩნევს არა მხარეთა შორის სამედიაციო შეთანხმების

12 Carlos Esplugues and Louis Marquis, Eds., *New Developments in Civil and Commercial Mediation. Global Comparative Perspectives* (Switzerland: Springer, 2015), 36.

დადებას, არამედ ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიერ მედიატორისათვის მიმართვას. ვინაიდან, მხარისათვის, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს მედიაციის საწყისი მომენტის მტკიცებულებით გამყარება, კანონი ავალდებულებს მედიატორს, გასცეს მხარეზე მედიაციის დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტი.

8. მედიაციის შესახებ შეთანხმება

მედიაციის თაობაზე შეთანხმების მიმართ, რომელიც მედიაციის დაწყების წინაპირობაა, კანონი წერილობით ფორმას ადგენს. მედიაციის თაობაზე შეთანხმების მიმართ ვრცელდება გარიგებების მიმართ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

მედიაციის თაობაზე შეთანხმების დადებას თან სდევს გარკვეული პროცესუალური შედეგებიც. ზოგადი წესის სახით, მედიაციის კანონი ადგენს, რომ მედიაციის შესახებ შეთანხმების არსებობისას, სასამართლო და არბიტრაჟი არ განიხილავს დავას მედიაციის თაობაზე შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე. თუმცა, ამ ზოგადი წესიდან, კანონი ითვალისწინებს გამონაკლისსაც, რა დროსაც, სასამართლოს ან არბიტრაჟს შეეძლება, მაინც განიხილოს დავა. ამგვარ გამონაკლისს კანონი უშვებს მაშინ, თუ მოსარჩელე დაადასტურებს, რომ სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის გარეშე მას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება. თუ რა ჩაითვლება გამოუსწორებელ ზიანად, აღნიშნულს კანონი არ განმარტავს და სამომავლოდ მნიშვნელოვანი იქნება სასამართლო პრაქტიკის სწორი მიმართულებით ჩამოყალიბება.

მედიაციის შესახებ შეთანხმების მონაწილე მოპასუხე მხარეს ამგვარი შეთანხმების შესახებ შედავების წარდგენის უფლება ენიჭება შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე.

გარდა დავის მონაწილე მხარეთა შორის დადებული მედიაციის შესახებ შეთანხმებისა, მედიაციის პროცესის დაწყებისთვის აუცილებელია მედიაციის მხარეთა და მედიატორს შორის შეთანხმების დადება მედიატორის ანაზღაურების თაობაზე. ანაზღაურების საკითხის დეტალური მოწესრიგება ნაკლებად აუცილებელია კერძო მედიაციის პირობებში. ხოლო, რაც შეეხება, სასამართლო მედიაციას, აქ მედიატორები ნაწილობრივ ანაზღაურების გარეშე საქმიანობენ, ხოლო სხვა შემთხვევებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ ანაზღაურებას. უფრო დეტალურად, სასამართლო მედიაციის საქმეებზე მედიატორთა საქმიანობის ანაზღაურების საკითხს აწესრიგებს ხსენებული „სასამართლოს მედიაციის პროგრამა“ და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული „მედიატორთა

საქმიანობის ანაზღაურების წესი“.[13] სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორი ვალდებულია ყოველწლიურად 2 საქმეზე მედიაცია წარმართოს ანაზღაურების გარეშე (Pro Bono). სხვა საქმეებზე კი, მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება საათობრივად, რომელ ანაზღაურებასაც მედიატორი იღებს ყოველკვარტალურად.

9. მედიაციის პროცესი

მედიაციის კანონი არ ადგენს შეზღუდვებს კერძო მედიაციისთვის მიმდინარეობის ვადასთან დაკავშირებით. თუმცა, ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ორწლიანი ვადის დაწესებას, საბოლოო ჯამში, გავლენა აქვს მედიაციის მიმდინარეობის ვადაზეც. კანონის თანახმად, მედიაციის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის, თუმცა კანონი დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა შეთანხმებით მედიაციის ხანგრძლივობის განსაზღვრას. ამავდროულად, კანონი მოითხოვს, რომ მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას მხარეები უზრუნველყოფილნი იქნენ საკმარისი დროითა და შესაძლებლობით, რათა შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი გახდეს.

სასამართლო მედიაციის ვადას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 45 დღით (მაგრამ არანაკლებ 2 შეხვედრისა) შემოსაზღვრავს. ეს ვადა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით.

გამართლებულია კანონმდებლის მიდგომა თავად მედიაციის პროცესის მიმდინარეობაში ნაკლები რეგულაციური ჩარევის მხრივ. კანონი მედიაციის მხარეებს აძლევს შესაძლებლობას შეთანხმდნენ მედიაციის წარმართვის წესზე, რომელიც კანონით არ არის დადგენილი. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას მედიაციის წარმართვის წესს განსაზღვრავს მედიატორი დავის ეფექტიანად მოსაგვარებლად, საქმის გარემოებების და მხარეთა მოსაზრების გათვალისწინებით.

არსებითად, მედიაციის პროცესის წარმართვაში მიხედულების ფართო სფერო რჩებათ მხარეებს და მედიატორს.

10. მედიაციის დასრულება

მედიაციის კანონი ითვალისწინებს მედიაციის დასრულების წინაპირობებს და განსაზღვრავს მედიაციის დასრულების ზუსტ მომენტს. მედიაცია

---

13 მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ, გადაწყვეტილება №1/367, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 27.12.2019, http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/367.pdf (18.11.2020).

დასრულებულად მიიჩნევა: (1) მედიაციის ურთიერთშეთანხმებით დასრულების შემთხვევაში – მხარეთა შორის წერილობით შეთანხმების დღიდან; (2) მხარეთა მიერ მედიაციის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში – ასევე მხარეთა შეთანხმების დღიდან; (3) ერთ-ერთი მხარის მიერ მედიაციაში მონაწილეობის გაგრძელებაზე წერილობითი უარის განცხადების შემთხვევაში – უარის განცხადების დღიდან; (4) მედიაციისათვის განსაზღვრული ვადის შემთხვევაში – ამ ვადის ამოწურვის დღიდან; (5) მედიატორის მიერ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ მედიაციის გაგრძელების არაგონივრულად ან გაუმართლებლად მიჩნევის შემთხვევაში – მედიატორის მიერ ამგვარი განცხადების გაკეთების დღიდან.

მედიატორს კანონი ავალდებულებს, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს მედიაციის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამგვარი დოკუმენტის მნიშვნელობა უფრო მეტად გამოკვეთილია მაშინ, როდესაც მედიაცია სამედიაციო მორიგების დადებით არ სრულდება.

11. სამედიაციო მორიგების დადება და მისი აღსრულება

სამედიაციო შეთანხმების მიღწევა დამოკიდებულია მედიაციის მხარეებზე. მართალია, მედიატორი ხელს უწყობს მხარეებს, მიიღონ ინფორმირებული და დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და მხარეთა თანხმობისას მას ასევე შეუძლია მხარეებს სამედიაციო მორიგების პირობებიც კი შესთავაზოს, მათი ინტერესების და მედიაციის პროცესისას გამოხატული პოზიციების გათვალისწინებით, მაგრამ კანონი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ მედიატორს უფლება არ აქვს, მხარეთა შორის დავასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება თავად მიიღოს.

სამედიაციო შეთანხმება დგება წერილობით, მას ადგენენ მხარეები და მათი წარმომადგენლები. მედიატორს უფლება აქვს დაეხმაროს მხარეებს სამედიაციო შეთანხმების შედგენაში. სამედიაციო შეთანხმებას ხელს აწერენ მხარეები და მედიატორი. სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, სამედიაციო მორიგების აქტი დასამტკიცებლად წარედგინება მოსამართლეს.

სამედიაციო მორიგების აღსრულება უზრუნველყოფილია როგორც მედიაციის კანონით, ისე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით.

სამედიაციო მორიგების აღსრულება ხდება სასამართლოს მიერ, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ამას მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს.

სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით სარგებლობა შეუძლია მედიაციის მხარეს. სამედიაციო მორიგების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, მედიაციის მხარეს (როგორც მედიაციის დაწყებამდე, ისე მედიაციის პროცესში) უფლება ენიჭება, მიმართოს სასამართლოს სამედიაციო

მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, რა შემთხვევაშიც გამოიყენება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ დებულებები სამედიაციო შეთანხმებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით.

სამედიაციო შეთანხმების აღსრულების შესახებ განცხადების განმხილველ სასამართლოს, კერძო მედიაციის შემთხვევაში, წარმოადგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლო განმცხადებლის ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო სასამართლო მედიაციისას კი – ის სასამართლო, რომელმაც დავა მედიაციას გადასცა. აღსრულების საკითხი განიხილება განცხადების მიღებიდან ათი დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე, თუ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას საკითხის ზეპირი განხილვის თაობაზე, რა შემთხვევაშიც საკითხი განიხილება 30 დღის ვადაში. სასამართლო, განჩინებასთან ერთად, მხარეს გადასცემს სააღსრულებო ფურცელს. სასამართლო განჩინება სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება. ამისგან განსხვავებით, სასამართლოს უარი სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე საჩივრდება კერძო საჩივრით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე უარის თქმის ორ ზოგად საფუძველს იცნობს: (1) სამედიაციო მორიგების შინაარსის საქართველოს კანონმდებლობასთან წინააღმდეგობა და (2) სამედიაციო მორიგების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულების შეუძლებლობა.

სამედიაციო მორიგების მიმართ ასევე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გარიგებების მიმართ მოქმედი მოთხოვნები. ამასთან, კანონით გათვალისწინებული წინაპირობების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, სამომავლოდ ინტერესს იწვევს საერთო სასამართლოების მიერ სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების მიმართ ერთგვაროვანი ჩამოყალიბების პერსპექტივები.

12. მედიატორთა პროფესიული რეგულირება – საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

მედიაციის ქართული მოდელის თავისებურებას წარმოადგენს მედიატორის პროფესიის რეგულირების მაღალი ხარისხი. მედიაციის ინსტიტუციონალიზაციისთვის აუცილებელი საკანონმდებლო სხვა ნორმებისგან განსხვავებით, მედიატორთა პროფესიული რეგულირების მიზანშეწონილობის საკითხზე ცალსახა პასუხი არ არსებობს. მართალია, მედიაციის სრულფასოვანი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მედიატორთა სათანადო კვალიფიკაცია, თუმცა, ქვეყნების ნაწილი გვერდს უვლის ამ საკით-

ხის საკანონმდებლო აქტით მოწესრიგებას. კიდევ უფრო მეტად იშვიათია საკანონმდებლო აქტით მედიატორებისთვის პროფესიულ გაერთიანებებში სავალდებულო გაწევრიანების ვალდებულება, მით უფრო, მედიატორთა სავალდებულო წევრობა მხოლოდ ერთ პროფესიულ გაერთიანებაში.

ლიტერატურის მიმოხილვაში პროფესიების რეგულირების გასამართლებლად ძირითადად მოყვანილია პროფესიების ბაზრის ჩავარდნის გამოსწორების ლეგიტიმური მიზანი და ის გარემოება, რომ მომხმარებლისთვის პროფესიული მომსახურება წარმოადგენს ნდობაზე დაფუძნებულ საქონელს (credence goods), რომლის ხარისხზე და შინაარსზე მომხმარებელს ნაკლები ინფორმაცია გააჩნია. ბაზრის ჩავარდნის სხვა შემთხვევებთან ერთად, რეგულატორის მხრიდან საზოგადოებაში ნდობის და სხვა ღირებულებების გაღრმავების ხელშეწყობასაც გამოყოფენ. რეგულირება, შესაძლოა, ხარისხის კონტროლში, სერტიფიცირებასა და ლიცენზირებაში გამოიხატოს. რეგულირების ერთ-ერთი ფორმაა თვითრეგულირებაც.[14]

მედიაციის ახალი კანონის თანახმად, მედიატორი არის მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამავე კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და თანახმაა წარმართოს მედიაცია. მედიატორთა ერთიან რეესტრში შეიძლება დარეგისტრირდეს ქმედუნარიანი და ნასამართლობის არმქონე ფიზიკური პირი, რომელსაც გავლილი აქვს მედიაციის/მედიატორთა ტრენინგი და ფლობს მედიატორთა მიერ გაცემულ სერტიფიკატს. მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორები ამავდროულად არიან საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრები. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ახორციელებს მედიატორთა თვითრეგულირებას. საყურადღებოა, რომ კანონი პირდაპირ არ მიუთითებს მედიატორის მოქალაქეობაზე, განსხვავებით თუნდაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისგან, რომელიც ადვოკატს მოქალაქეობის ცენზს უწესებს.

რადგანაც, კანონის მიხედვით, მედიატორი შეიძლება იყოს მხოლოდ მედიატორთა ასოციაციის წევრი, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მედიატორად აირჩევენ პირს, რომელიც არ არის საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრი, ამგვარი მედიაციის მიმართ არ გავრცელდება კანონის დებულებები – მათ შორის, სამედიაციო მორიგების აღსრულებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი სხვა ქვეყნის კანონმდებლობისთვისაც ცნობილია „სერთიფიცირებული მედიატორების“ მონაწილეობით განხორციელებული მედიაციის მიმართ განსხვავებული მოწესრიგების შემოღება, რა დროსაც, „არასერთიფიცირებული მედიატორების“ მონაწი-

14 David Levi-Faur, Ed., *Handbook on the Politics of Regulation* (Cheltenham: Edward Elgar, 2011).

ლეობით შედგენილი სამედიაციო მორიგება მოკლებულია აღსრულების გარანტიებს. თუმცა, მრავალ სხვა ქვეყანაში მედიატორის პროფესიული კვალიფიკაცია თვით მედიატორებზეა მინდობილი. ქართულ კანონმდებლობაში არბიტრების მიმართ ანალოგიური მოთხოვნების არარსებობის ფონზე, ინტერესს იწვევს საარბიტრაჟო წარმოებასთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებად ფორმალიზებული პროცესის მონაწილე მედიატორებთან მიმართებაში უფრო მაღალი მოთხოვნების დაწესება.

რაც შეეხება მედიატორთა სავალდებულო წევრობას საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში, რომელიც ერთადერთი თვითრეგულირებადი ორგანიზაციაა, ქართველი კანონმდებელი სავარაუდოდ დაეყრდნო სხვა პროფესიების რეგულირების ანალოგიურ მოდელებს. მაგალითად, მსგავსი სახის პროფესიული ორგანიზების ფორმა არსებობს იმავე ადვოკატებთან და ნოტარიუსებთან მიმართებით.[15]

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია აწარმოებს მედიატორთა ერთიან რეესტრს, ამტკიცებს მედიატორთა ეთიკის ერთიან სტანდარტს და მედიატორთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების წესს და ახორციელებს მედიატორთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწესებას.

---

15 წინამდებარე მიმოხილვის ფარგლებს სცილდება მედიატორთა პროფესიული სავალდებულო ორგანიზების აღნიშნული მოდელის კვლევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებთან მიმართებით. თუმცა, ცხადია, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები ამ პროფესიათა შორის. მაგალითად, იხ. საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება №1/5/323, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 30.11.2005; ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: O.V.R. v. Russia (dec.), no. 44319/98, 2001-V, ECHR; და National Notary Chamber v. Albania (dec.), no. 17029/05, 2005-IV, ECHR (ნოტარიუსებთან დაკავშირებით); A and others v. Spain და Bota v. Romania (ადვოკატებთან დაკავშირებით). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამჟამად განიხილავს ადვოკატთა შესახებ კანონის იმ დებულების კონსტიტუციურობის საკითხს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველ და მეორე წინადადებებთან („მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა“) მიმართებით, რომლებიც ადვოკატთა ასოციაციაში წევრობას ითვალისწინებს (ლაშა ჯანიბეგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, განმწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი №1/13/1424, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია, 26.12.2019).

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მედიატორთა ასოციაციის წესდებით.

გასული წლის დეკემბერში ჩატარდა მედიატორთა პირველი კრება და მოხდა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ორგანოთა არჩევა.

დასკვნა

მედიაციის ახალი კანონის მიღება მრავალწლიანი მუშაობის შედეგია და მისი მიღება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

მართალია, მედიაციის წარმატებული დანერგვა და მის მიმართ არსებული საკმაოდ მაღალი მოლოდინების გამართლება მხოლოდ კანონის მიღებით ვერ მიიღწევა, თუმცა ახალი ქართული კანონი კარგ საწინდარს ქმნის მედიაციის ქართული მოდელის შემდგომი განვითარებისთვის.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

ყანდაშვილი, ირაკლი. „მედიაცია – დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივა საქართველოში (მედიაციის ინსტიტუციური მოწყობა)“. *სამართლის ჟურნალი* 2 (2017): 114-122.

ცერცვაძე, გიორგი, რედ. *მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში*. თბილისი: დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრი, 2013.

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

Alexander, Nadja and Felix Steffek. *Making Mediation Law*. Washington DC: International Finance Corporation, 2016.

Esplugues, Carlos and Louis Marquis, Eds. *New Developments in Civil and Commercial Mediation. Global Comparative Perspectives*. Switzerland: Springer, 2015.

Hopt, Klaus J. and Felix Steffek, Eds. „Mediation: Comparison of Laws, Regulatory Models, Fundamental Issues“. *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective*. Oxford University Press, 2013.

Levi-Faur, David, Ed. *Handbook on the Politics of Regulation*. Cheltenham: Edward Elgar, 2011.

მედიატორის პროფესია და მახასიათებლები: ვინ არიან მედიატორები საქართველოში?

ქეთევან დევაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
დოქტორანტი, კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
keti.devadze@bsu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში მიმოვიხილავთ მედიატორის პროფესიას, კერძოდ, რა მოთხოვნები თუ შეზღუდვები არსებობს მედიატორის პროფესიით დაინტერესებული პირებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მედიატორის სხვადასხვა მახასიათებელმა მედიაციის პროცესსა თუ დამდგარ შედეგზე. სტატიაში მედიატორთა კრიტერიუმები განხილულია საქართველოში მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორების მონაცემების ანალიზის მაგალითზე. ასევე, სტატიაში მიმოხილულია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი და საქართველოში ამოქმედებული ახალი კანონი მედიაციის შესახებ. შესწავლილია ამ კანონის ამოქმედების შედეგად ერთიან რეესტრში დარეგისტრირებული მედიატორების მონაცემები, რეგისტრირებულთა გენდერი და მედიატორთა წინარე განათლების სფერო. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში მედიატორთა 57.4 პროცენტი ქალია და რომ მათი მედიაციის წინარე საუნივერსიტეტო განათლება უმეტესწილად არის იურიდიული (88.8%). სხვა მიმართულებები, რომლებშიც მოქმედ მედიატორებს აქვთ საუნივერსიტეტო ხარისხი, არის: ფსიქოლოგია (7.4%), ეკონომიკა (1.8%) და საზოგადოებასთან ურთიერთობები (1.8%).

საკვანძო სიტყვები: მედიაცია; იურისტი; ფსიქოლოგი; კანონი მედიაციის შესახებ; განათლება; გენდერი.

Abstract

In this article, we discuss the profession of the mediator, what kind of requirements or restrictions are for those interested in the mediator profession in different countries, how different characteristics of a mediator can affect the mediation process or the outcome of the mediation. The article reviews the criteria of mediators on the example of analyzing the data of the Unified Register list of Mediators in Georgia. The article also reviews the example of different countries and the new law on mediation in Georgia. The analysis of the data that includes 54 mediators shows that 57.4 percentage of mediators are female and that most mediators have a degree in law (88.8%). Other fields of education are Psychology (7.4%), Economics (1.8%), and Public relations (1.8%).

Keywords: Mediation; Lawyer; Psychologist Law in Mediation; Education; Gender.

შესავალი

ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია განსაზღვრავს მედიაციას როგორც „ნებაყოფლობით სტრუქტურულ პროცესს, რომლის დროსაც 'მედიატორი' ხელს უწყობს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის კომუნიკაციას და საშუალებას აძლევს მათ, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი კონფლიქტის გადაწყვეტის გზაზე."[1] მედიაცია უფრო და უფრო პოპულარული ხდება სხვადასხვა კონტექსტში კონფლიქტის გადასაჭრელად, ხოლო მედიატორის პროფესია ვითარდება, მისი განსაზღვრება და მნიშვნელობა კი იხვეწება.

მედიატორი არის მესამე პირი მედიაციის პროცესში – მიუკერძოებელი დამოუკიდებელი მონაწილე, რომელიც უძღვება მხარეებს ყოველგვარი გადაწყვეტილების მიღებისა, თუ ძალის დემონსტრირების გარეშე[2].

მედიაციის შესახებ საქართველოს ახალ კანონში მედიატორად განისაზღვრება „მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და თანახმაა, წარმართოს მედიაცია, მიუხედავად მისი სტატუსისა

1 Hague Conference on Private International Law, *Mediation. Guide to Good Practice under the Hague Convention of 25 October 1980 on the Civil Aspects of International Child Abduction* (The Hague: Hague Conference on Private International Law, 2012).

2 The Federal Republic of Germany, Mediation Act, *Bundesgesetzblatt* I, Sec. 1 (2), (2012): 1577.

და არჩევის/დანიშვნის წესისა“[3]. ახალმა კანონმა ქვეყანას შესაძლებლობა მისცა, შეემუშავებინა მედიატორთა აკრედიტაციის პირობები და კრიტერიუმები და შეექმნა მედიატორთა ერთიანი რეგისტრაციის სია.

ევროპულმა კომისიამ სამართლიანობის ეფექტურობისთვის 2019 წლის ივნისში გამოაქვეყნა გზამკვლევი მედიაციის შესახებ კანონმდებლობის შესაქმნელად, სადაც ის ხაზს უსვამს ერთიანი სარეგისტრაციო სიების არსებობის მნიშვნელობას მედიატორებისთვის ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომ მედიაციის პრაქტიკისთვის აუცილებელია, პროფესიონალი გაერთიანებული იყოს ერთიან სიაში. ამგვარი სტანდარტიზება, ერთი მხრივ, იქნება დაცულობის გარანტი – დაიცავს მედიაციის სფეროს არაკვალიფიციური კადრებისგან[4]. არაკომპეტენტურმა მედიატორებმა შესაძლოა საზოგადოების თვალში დიდი ზიანი მიაყენონ მედიატორის პროფესიის რეპუტაციას და თავად მედიაციას. ამ ყველაფერმა შესაძლოა გამოიწვიოს მედიაციის მიმართვის მაჩვენებლის შემცირება.

მედიაციის ირგვლივ მრავალი საკითხი არსებობს, რომელიც უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იქცევს, რადგან ამ ათწლეულების განმავლობაში მედიაციის მიმართულებით ლიტერატურა და სამეცნიერო ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მედიატორთა გავლენა მედიაციის პროცესსა და შედეგებზე

მედიაციის პროცესზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ პროცესში მედიატორის როლია. თავის მხრივ, მედიატორის ქცევაზე გავლენას ახდენს მრავალი ასპექტი, მათ შორის – მისი ასაკი, სქესი, პიროვნული მახასიათებლები, პროფესიული უნარები, გამოცდილება, განათლების სფერო, მისი შეხედულებები, მრწამსი და ა.შ.[5]

---

3 საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ* №4954-Iს, (თბილისი: სსმ, 27/09/2019), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1 (18.11.2020).

4 European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), *European Handbook for Mediation Lawmaking. As adopted at the 32th plenary meeting of the CEPEJ Strasbourg, 13 and 14 June 2019* (2019), https://rm.coe.int/cepej-2019-9-en-handbook/1680951928 (18.11.2020)

5 Leonard L. Riskin et al., *Dispute Resolution and Lawyers. A Contemporary Approach*, 6th Edition (West, 2019).

ამ სფეროში მნიშვნელოვანი ნამუშევრებია ფიშერისა[6] და მარლოუს[7] მონოგრაფიები, სადაც დეტალურად შეისწავლიან ადვოკატისა და ფსიქოლოგის უპირატესობებს უცხოური მედიაციის მაგალითზე, ასევე – კომპეტენციების ერთობლიობას, რომელიც პროფესიონალ მედიატორს უნდა ჰქონდეს.

მიუხედავად იმისა, რომ მედიატორი არ იღებს გადაწყვეტილებებს მხარეების მაგივრად და ის მხოლოდ ეხმარება მათ შეთანხმების მიღწევაში, მედიაციის პროცესში მას შეუძლია ირიბად „მოახდინოს გავლენა" მონაწილე მხარეების საბოლოო გადაწყვეტილების შინაარსზე.

სტულმახერმა და მორისეტმა შეისწავლეს მედიატორის გენდერის კავშირი მის მიერ მედიაციის პროცესის აღქმასთან და აღნიშნეს რამდენიმე საინტერესო განსხვავება ქალისა და მამაკაცის ქცევაში ან კომუნიკაციის სტილში, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მედიაციის პროცესზე. მაგრამ ანალიზის შეჯამებაში ავტორები ხაზს უსვამენ ძალაუფლების განსხვავების მნიშვნელობას ორ გენდერს შორის, რაც უფრო საყურადღებოა, ვიდრე თავად გენდერი. ძალაუფლების საკითხები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც ისეთი წყვილთა დავები, როგორიცაა ცოლ-ქმარი, ხელმძღვანელი-დაქვემდებარებული და ა.შ.[8]

მას შემდეგ, რაც დაიწყო მედიატორის ცალკე პროფესიად გადაქცევის პროცესი, შეიქმნა დისკუსია, თუ როგორ უნდა დაარეგულირონ მედიატორის საქმიანობა და უნდა მოხდეს თუ არა რაიმე სახის რეგულირება. დაისვა მედიატორთა რეგისტრაციისა და სერტიფიცირების საკითხი. ასევე დაიწყო დისკუსია სხვადასხვა სტანდარტების შესახებ, რომელთა ფორმულირებაც უნდა მოხდეს აღნიშნული პროფესიის ირგვლივ.

სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული მოთხოვნები აქვს იმ ადამიანების მიმართ, ვინც დაინტერესებულია მედიატორის პროფესიით.

ვინაიდან მედიატორის საქმიანობა ძალიან მგრძნობიარე შემთხვევებთან არის დაკავშირებული, მიუკერძოებლობისა და ნეიტრალიტეტის ზნეობრივი სტანდარტები ძალიან მაღალია. ამიტომ მედიაციის სხვადასხვა მოთხოვნების ჩამონათვალის გვერდით ვხედავთ მედიატორის რეპუტაციის გარკვეულ სტანდარტებსაც.

---

6 Ronald J. Fisher and Loraleigh Keashly, „The Potential Complementarity of Mediation and Consultation within a Contingency Model of Third Party Intervention", *Journal of Peace Research*, Vol. 28, Iss. 1 (1991).

7 Lenard Marlow and S. Richard Sauber, *The Handbook of Divorce Mediation* (NY: Springer Science+Business Media, 1990).

8 Alice F. Stuhlmacher and Melissa G. Morrissett, „Men and women as mediators: disputant perceptions", *International Journal of Conflict Management*, Vol. 19, No. 3 (Emerald Group Publishing Limited, 2008), https://doi.org/10.1108/10444060810875804 (20.11.2020).

მრავალ ქვეყანაში მედიატორი შეიძლება გახდეს მხოლოდ ადამიანი, რომელსაც არ აქვს ჩადენილი სისხლისსამართლებრივი დანაშაული. მაგალითად, ლიეტუვაში, პირს, რომელსაც აქვს კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულის ისტორია, არ შეუძლია მედიაციის პრაქტიკა. სლოვენიაში მედიატორობა ეკრძალებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ნასამართლევი არიან განზრახ დანაშაულში. ბელგია პოტენციურ მედიატორებს სთხოვს ამონაწერს დისციპლინური და ადმინისტრაციული სანქციებისგან, სისხლის სამართლის ჩანაწერებთან ერთად[9].

მედიაცია კომპლექსური სფეროა. სტერეოტიპული მოსაზრება, რომ მხოლოდ ადვოკატი შეიძლება იყოს მედიატორი, ვერ ჩაითვლება ჭეშმარიტებად. 2002 წელს ჟაკლინ ნოლან-ჰეილიმ თავის ნაშრომში აღნიშნა, რომ ადვოკატებს აქვთ მონოპოლია მედიაციაზე: „დღეს მედიაცია არის დიდი ბიზნესი, რომელსაც აწარმოებენ იურისტები და არაიურისტები, და ეს პროცესი მჭიდრო კავშირშია იურიდიულ ბიზნესთან. ადვოკატებს დიდი ხნის მონოპოლია აქვთ იურიდიულ ბიზნესზე და არ გეგმავენ ამ ბიზნესის არაიურისტებისთვის გაზიარებას"[10]. თავის სტატიაში ნოლან-ჰეილი ამტკიცებს, რომ მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეების საჭიროებებსა და ინტერესებთან დაახლოების მიზნით აუცილებელია სისტემური ცვლილება, პროფესიული მონოპოლის რეფორმირება პრობლემების გადაჭრის მიზნით[11].

საქართველოშიც, მედიაციის ინსტიტუტი ძირითადად სასამართლო სივრცეში გაჩნდა და ვითარდება. სწორედ ამან გამოიწვია ის ფაქტი, რომ ამ პროფესიით დაინტერესება იურიდიული სფეროს წარმომადგენლებმა დაიწყეს, ისინი გადამზადდნენ მედიატორებად და გაუძღვნენ ამ პროცესს, შესაბამისად, საქართველოშიც აქტუალურია ის აზრი, რომ მედიაცია იურიდიული მიმართულების განშტოებაა.

მედიატორის ფუნქციის შესასრულებლად საჭირო პიროვნული მახასიათებლები და უნარ-ჩვევები შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელს. სრულწლოვნების ასაკს მიღწეული ნებისმიერი ზრდასრული ადამიანი შეიძლება გახდეს მედიატორი. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალი ქვეყნის მაგალითზე, ჩვენ ვხედავთ გარკვეულ ასაკობ-

---

9 European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), *European Handbook for Mediation Lawmaking. As adopted at the 32th plenary meeting of the CEPEJ Strasbourg, 13 and 14 June 2019* (2019), https://rm.coe.int/cepej-2019-9-en-handbook/1680951928 (18.11.2020).

10 Jacqueline Nolan-Haley, „Lawyers, Non-Lawyers and Mediation: Rethinking the Professional Monopoly from a ProblemSolving Perspective", *Harvard Negotiation Law Review*, Vol. 7 (Spring, 2002), 235.

11 Nolan-Haley, „Lawyers, Non-Lawyers and Mediation: Rethinking the Professional Monopoly from a ProblemSolving Perspective".

რივ ბარიერებს, რომელთაც ისინი ადგენენ თავიანთი მოქალაქეებისთვის. მაგალითად, ავსტრიაში მედიატორი შეიძლება გახდეს მხოლოდ 28 წელს მიღწეული ადამიანი, პოლონეთში პირი მინიმუმ 26 წლის უნდა იყოს კვალიფიციურ მედიატორთა სიაში მოსახვედრად[12].

ზოგიერთ ქვეყანაში ჩვენ ვხედავთ უნივერსიტეტის დიპლომების მოთხოვნებს მედიატორთა კარიერის დასაწყებად. მაგალითად, აზერბაიჯანი, კვიპროსი, ლიეტუვა, სერბეთი, სლოვენია და ესპანეთი ითხოვს უნივერსიტეტის დიპლომს მედიატორობის მსურველთათვის. ჩეხეთში საჭიროა მაგისტრის დიპლომი. თურქეთის მოთხოვნები უფრო კონკრეტულია და მედიატორი შეიძლება გახდეს მხოლოდ იურისტის ხარისხის მქონე პირი.

პრაქტიკოს მედიატორთა შორის ყველაზე ხშირად ვხვდებით შემდეგი ორი პროფესიის – იურისპრუდენციისა და ფსიქოლოგიის წარმომადგენლებს. ხშირად მოთხოვნა არის სოციალურ მეცნიერებათა სხვა დარგებზეც.

აშშ-ის ადგილობრივი კანონმდებლობა განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს მედიატორობის მსურველებს: რამდენიმე შტატი მოითხოვს ბაკალავრის დიპლომს კონკრეტულ სფეროში საოჯახო დავებისთვის. ზოგიერთ შტატში ასევე აუცილებელია იურიდიული დიპლომი სასამართლოს მიერ დამტკიცებული მედიატორებისთვის.

დელვერში მედიატორთა კვალიფიკაციის მოთხოვნები განსხვავდება სასამართლოებს შორისაც. ზოგადი მოთხოვნაა ბაკალავრის დიპლომი სოციალურ მომსახურებებში ან მასთან დაკავშირებულ სფეროში, ასევე სავალდებულოა 28-საათიანი მედიაციის ტრენინგი.

მიჩიგანის სამოქალაქო სასამართლო საქმეებისთვის მედიატორს უნდა ჰქონდეს სამართლის დოქტორის დიპლომი ან ბაკალავრის დიპლომი კონფლიქტის მოგვარების საკითხებში; საოჯახო მედიატორს სჭირდება ხუთი წლის გამოცდილება საოჯახო კონსულტაციის მიმართულებით, ან საუნივერსიტეტო დიპლომში შემდეგ მეცნიერებებში: სამართალი, სოციალური სამუშაო, ფსიქოლოგია, კონსულტირება, საოჯახო თერაპია, ან ბიჰევიორული მეცნიერებები.

2019 წელს საქართველოში ძალაში შევიდა კანონი მედიაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც შეიქმნა მედიატორთა ერთიანი რეესტრი და დამტკიცდა შუამავლის სასერტიფიკატო პროგრამა. ამ დრომდე საქართველოში მრავალი გზა არსებობდა მედიატორის პროფესიის მორგებისათვის.

2019 წელს საქართველომ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას მედიაციის შესახებ (სინგაპურის, რომელიც ცნობს მედიაციის მიერ მიღწეული მორიგების აღსრულების ერთიან ჩარჩოს).

---

12 European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), *European Handbook for Mediation Lawmaking. As adopted at the 32th plenary meeting of the CEPEJ Strasbourg, 13 and 14 June 2019* (2019), https://rm.coe.int/cepej-2019-9-en-handbook/1680951928 (18.11.2020).

მედიაციის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ტერმინს „მედიატორი", კერძოდ, მედიატორი არის მხოლოდ ის პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა ერთიან რეესტრში და, შესაბამისად, აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.

ამ დროისთვის სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია" აერთიანებს 54 აქტიურ მედიატორს საერთო სარეგისტრაციო სიაში. საქართველოში არ არსებობს პოტენციურ მედიატორთა საუნივერსიტეტო ან ასაკობრივი მოთხოვნები, ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი შეიძლება გახდეს მედიატორი, რომელსაც არ გააჩნია სისხლის სამართლის ჩანაწერები და აქვს გავლილი აკრედიტებული სასწავლო კურსი მედიაციაში.

„მედიატორთა ერთიან რეესტრში შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის ნასამართლევი, რომელსაც მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისად გავლილი აქვს მედიაციის/მედიატორის ტრენინგი და რომელიც ფლობს მედიატორთა ასოციაციის მიერ გაცემულ სერტიფიკატს"[13].

შედეგები

კვლევის მიზანია ორი ინდიკატორის ანალიზი: საქართველოს მედიატორთა ერთიანი რეესტრის ჩამონათვალში რეგისტრირებული მედიატორების გენდერი და საგანმანათლებლო სფერო.

ძირითადი მაჩვენებლების შესასწავლად ჩვენ გამოვიყენეთ მონაცემები საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან. კვლევისთვის, აგრეთვე, ვიყენებთ რაოდენობრივი ანალიზის მეთოდს აღნიშნულ სიაში გენდერული ბალანსის დასადგენად და რეგისტრირებული მედიატორთა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სფეროს მრავალფეროვნების საკვლევად.

მედიაციის კანონის საფუძველზე დაფუძნდა „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია", რომელიც წარმოადგენს „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და არის ერთადერთი გაერთიანება, რომელიც ახორციელებს მედიატორთა თვითრეგულირებას.

„მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონმა განსაზღვრა ტერმინის „მედიატორი" დეფინიცია, კერძოდ, მედიატორს წარმოადგენს მხოლოდ ის პირი, რომელიც სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" მედი-

---

13 საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ* №4954-Iს, (თბილისი: სსმ, 27/09/2019), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1 (18.11.2020).

ატორთა ერთიან რეესტრშია რეგისტრირებული და შესაბამისად აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კანონმა გამიჯნა ერთმანეთისაგან ორი ტიპის მედიაცია:

სასამართლო მედიაცია: მედიაცია, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემთხვევაში.

კერძო მედიაცია: მედიაცია, რომელიც ხორციელდება მხარეთა ინიციატივით, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის გარეშე.

ორივე შემთხვევაში მედიაცია უნდა წარმართოს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულმა მედიატორმა, რაც ადასტურებს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მაღალ სტანდარტს მედიატორის პროფესიული კომპეტენციისადმი, რაც რეალიზებულია, სწორედ მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმით.

ამ ეტაპზე სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ აერთიანებს 54 მოქმედ მედიატორს. აღნიშნული სიის მონაცემთა ანალიზი მოიცავს მონაცემთა შესწავლას ორი მახასიათებლის საფუძველზე, ესენია – გენდერული განაწილება და მედიატორთა საუნივერსიტეტო განათლების სფერო.

გენდერული ნიშნით რეგისტრირებულ მედიატორებს შორის ბალანსი დაცულია – 54 წევრიდან 31 ქალია, ხოლო 23 მამაკაცი.

აღნიშნულ სიაში მონაწილეთა სრულ უმრავლესობას აქვს უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლება, ხოლო დარგობრივი განაწილება არის შემდეგი: 88,8% სამართალი, 7,4% ფსიქოლოგია, 1,8% ეკონომიკა, 1,8% საზოგადოებრივი ურთიერთობები.

რეგისტრირებულ მედიატორთა რიცხვი	**გენდერი**			
54	მდედრობითი 31		მამრობითი 23	
	საუნივერსიტეტო განათლება			
	სამართალი 48	ფსიქოლოგია 4	ეკონომიკა 1	საზოგადოებრივი ურთიერთობები 1

გამოსახულება 1: *რეგისტრირებულ მედიატორთა რიცხვი*

იურიდიული განათლების მქონე მედიატორების ხილვა რეგისტრირებულ მედიატორთა სიის უმრავლესობაში, შესაძლოა, აძლიერებდეს საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპს, რომ მხოლოდ იურისტებს შეუძლიათ გახდნენ მედიატორები.

დასკვნა

საქართველოში 2019 წელს ამოქმედდა კანონი მედიაციის შესახებ, რაზე დაყრდნობითაც შეიქმნა მედიატორთა ერთიანი რეესტრი და დამტკიცდა მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა. ამ დრომდე საქართველოში მრავალი გზა არსებობდა მედიატორის პროფესიის მორგებისა და მედიაციის პროცესის წარმოებისა. ამ პერიოდში ყველა ეტაპზე მედიაცია ძირითადად სასამართლო ინსტიტუციის ფარგლებში ვითარდებოდა, შესაბამისად მედიაციის პროფესიით ინტერესდებოდნენ ამ ინსტიტუციაში შემავალი პირები – იურისტები. სტატიაში მიმოხილულია, თუ რა ნაბიჯები გაიარა მედიატორის პროფესიამ ერთიანი რეესტრის შექმნამდე. კვლევა ეფუძნება საქართველოში ამჟამად რეგისტრირებული მედიატორების მონაცემების ანალიზს, თუ ვინ არიან ისინი, რა განათლება აქვთ მათ მიღებული. ლიტერატურის მიმოხილვაში გამოიკვეთნენ მედიაციაში ჩართული ძირითადი პროფესიის წარმომადგენლები, იურისტები; ასევე გამოიკვეთა ის სტერეოტიპები, რომლებიც არსებობს მედიაციასა და ამ დარგის იურისპრუდენციაზე მიკუთვნებულობის შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ერთიან სიაში რეგისტრირებულ მედიატორთა დიდ ნაწილს სწორედ სამართლის საუნივერსიტეტო ხარისხის მქონე პირები წარმოადგენენ. ასევე ვხვდებით ფსიქოლოგის განათლების მქონე პირებსაც. იურიდიული განათლების მქონე მედიატორების ასე ჭარბად (88.8%) ხილვამ მედიატორთა სიაში, შესაძლოა, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული მოსაზრებები გაამყაროს და მედიაცია იურიდიულ ბიზნესს მიაკუთვნოს. რაც შეეხება საქართველოში ერთიან სიაში რეგისტრირებულ მედიატორთა შორის გენდერულ განაწილებას, აღსანიშნავია, რომ გენდერული ნიშნით განაწილება ბალანსურია.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

Fisher, Ronald J. and Loraleigh Keashly. „The Potential Complementarity of Mediation and Consultation within a Contingency Model of Third Party Intervention“. *Journal of Peace Research*, Vol. 28, Iss. 1 (1991): 29-42.

Hague Conference on Private International Law. *Mediation. Guide to Good Practice under the Hague Convention of 25 October 1980 on the Civil Aspects of International Child Abduction*. The Hague: Hague Conference on Private International Law, 2012.

Jones, G. and P. Pexton. *ADR and Trusts: An International Guide to Arbitration and Mediation of Trust Disputes*. Spiramus, 2015.

Kandashvili, I. „Mediation and Online Dispute Resolution (odr) as an Innovative Form of Dispute Resolution". *TSU Jouranal of Law* 1. 94-104. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University press, 2019. https://jl.tsu.ge/index.php/JLaw/issue/view/559 (20.11.2020).

Korybski, A. „Legal Status of Mediator in Mediation Proceedings in Civil Cases". *Studia Iuridica Lublinensia*, Vol. XXVII, 3. 143-162.

Legal Studies MS Degrees. *Court-Certified Mediator Qualification Requirements in the US*. https://legalstudiesms.com/learning/court-certified-mediator-qualification-requirements/ (19.11.2020).

Marlow, Lenard and S. Richard Sauber. *The Handbook of Divorce Mediation*. NY: Springer Science+Business Media, 1990.

Nolan-Haley, Jacqueline. „Lawyers, Non-Lawyers and Mediation: Rethinking the Professional Monopoly from a ProblemSolving Perspective". *Harvard Negotiation Law Review*, Vol. 7 (Spring, 2002): 235-299.

Riskin, Leonard L. et al. *Dispute Resolution and Lawyers. A Contemporary Approach,* 6th Edition. West, 2019.

Stuhlmacher, Alice F. and Melissa G. Morrissett. „Men and women as mediators: disputant perceptions". *International Journal of Conflict Management,* Vol. 19, No. 3. 249-261. Emerald Group Publishing Limited, 2008. https://doi.org/10.1108/10444060810875804 (20.11.2020).

Tokarz, Karen. „Pioneering Women Lawyers Who Changed the Legal Profession and Influenced the Practice of Law, Including Mediation Practice: From Barkeloo and Couzins to the Present". *The Journal of Law and Policy* 62. 15-23. Wash, 2020. https://openscholarship.wustl.edu/law_journal_law_policy/vol62/iss1/9 (19.11.2020).

რატომ ესაჭიროებათ აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი სახელმწიფოების საწარმოებს მედიაცია

(რეკომენდაციები და მოკლე ანალიზი)[1]

დავით მაისურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრის დირექტორი
davit.maisuradze@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი

კომპანიები დაინტერესებულები არიან, გამოიყენონ სწრაფი და ნაკლებ ხარჯიანი დავის გადაწყვეტის მექანიზმები. ამავე დროს, ეს მექანიზმები უნდა იყოს მიუკერძოებელი, კორუფციისგან თავისუფალი და უარყოფითად არ უნდა ზემოქმედებდეს ბიზნეს პროცესებზე. მედიაცია მოიაზრება როგორც ბიზნეს სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეთოდი კონფლიქტების გადასაჭრელად. ის განსხვავდება არა მხოლოდ სასამართლოებისგან, არამედ დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული მეთოდებისგან. ეტაპობრივად, მედიაცია პოპულარული ხდება აღმოსავლეთ ევროპაში და, ასევე, პოსტ-სოციალისტურ სამყაროში. სასამართლო სისტემებს, რომლებიც არიან დავებით გადატვირთული, შეუძლიათ სარგებელი მიიღონ მედიატორებისგან, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა, გაათავისუფლონ მოსამართლეები საქმეთა უსაზღვრო რაოდენობისგან. გარდა ამისა, მედიაციის პოპულარიზაცია შეიძლება იყოს სარგებლიანი თავად ბიზნესისთვისაც. ნაშრომი აყალიბებს მედიაციის პოზიტიური ასპექტების ძირითად ანალიზს და ხაზს უსვამს მის უპირატესობას ტრადიციული სასამართლოებისა და დავების გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ მეთოდებთან შედარებით.

საკვანძო სიტყვები: მედიაცია; ბიზნესები; აღმოსავლეთ პარტნიორობა.

---

1 ეკონომიკური ლიტერატურის ჟურნალის (JEL) კლასიფიკაცია: ფორმულები:

Abstract

Companies are interested in using fast and less costly dispute resolution mechanisms. At the same time, these mechanisms must be impartial, free from corruption and must not adversely affect business processes. Mediation is considered to be one of the most well-known methods of resolving conflicts in the business world. It differs not only from courts but also from other alternative methods of dispute resolution. Gradually, mediation becomes popular in Eastern Europe and also in the post-soviet states. Judicial systems which are overloaded with disputes can benefit from mediators who have the ability to save judges from an unlimited number of cases. In addition, promoting mediation can be beneficial for the business itself. The paper highlights the positive aspects of mediation, and underlines its advantages regarding courts and other alternative methods of dispute resolution.

Keywords: Mediation; Businesses; Eastern Partnership.

შესავალი

მედიაცია განიხილება როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეფექტური მექანიზმი, რომელსაც აქვს პოტენციალი, გადაჭრას კონფლიქტი მხარეებს შორის ნაკლებ დროში, ნაკლები ხარჯისა და რესურსების გამოყენებით, ვიდრე ეს ხდება საქმის გადაჭრის ტრადიციული მეთოდის შემთხვევაში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეფექტურობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს კომერციულ საქმეებში, როდესაც მხარეებს სურთ რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრან დავა, ვინაიდან კონფლიქტი უარყოფითად მოქმედებს ბიზნესის განვითარებაზე, ამცირებს მოსალოდნელ შემოსავლებს, ზრდის ხარჯებს და უარყოფითად მოქმედებს ბიზნეს პროცესებზე.

სამწუხაროდ აღმოსავლეთ ევროპაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებში, მედიაცია არ არის კარგად განვითარებული ინსტიტუტი და ბიზნესებს არ აქვთ შესაძლებლობა, სრულად გამოიყენონ მედიაციის როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალების პოტენციალი.

განვითარებულ ქვეყნებში მედიაციას აქვს ხანგრძლივი ტრადიცია, რომელიც გამოიყენება როგორც მხარეთა ინტერესების განმხილველი და საუკეთესო გამოსავლის მპოვნელი მექანიზმი. თითქმის ყველა ქვეყანაში, სასამართლოებს, როგორც სახელმწიფო ორგანოებს, აკლიათ მოქნილობა ხარჯებისა და პროცედურების ხანგრძლივობასთან მიმართებით. შესაბამისად, მთავრობები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

მხარს უჭერენ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების, მათ შორის, მედიაციის გამოყენებას. გამოწვევების მიუხედავად, მედიაცია ფართოდ მიიჩნევა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი მხარეთა შორის დავების მოსაგვარებლად.

მდგომარეობა განსხვავებულია აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით ქვეყნებში, რომლებიც უწინ იყვნენ საბჭოთა კავშირის წევრები. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი, დახურული და კორუმპირებული მმართველობა არ იძლეოდა დიდ არჩევანს თავისუფალი და აპოლიტიკური დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცესთან მიმართებაში. შესაბამისად, სასამართლო სისტემას არ გააჩნდა ნდობა და კეთილსინდისიერება. სასამართლოებთან დაკავშირებით ვითარება დიდად არ შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმები ხორციელდება სასამართლო სისტემაში, ჯერ კიდევ პრობლემებია კეთილსინდისიერებასთან, კვალიფიკაციასა და ნდობასთან დაკავშირებით. სასამართლო პროცედურები გაწელილია დროში და არ არის ორგანიზებული. ეს უარყოფითად აისახება ეკონომიკურ განვითარებაზეც. აქედან გამომდინარე, არსებობს დავის ეფექტური გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების საჭიროება.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, გააცნოს მკითხველს მედიაციის დადებითი ასპექტების მოკლე ანალიზი, და მოახდინოს იმ საფუძვლების ფორმულირება, რომლებიც ამართლებენ მის გამოყენებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

ე. სუსმანის თანახმად, მედიაცია არის პროცესი, რომელშიც მედიატორი ცდილობს დააახლოვოს მხარეები სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით[2]. დავების გადაწყვეტის მეთოდები მხარეებს შორის ასოცირდება ხარჯებთან. მედიაციისგან განსხვავებით, სასამართლო წარმოებაში გათვალისწინებული ადმინისტრაციული პროცედურები მეტ ხარჯს მოითხოვს .

მართალია, ზემოთ აღინიშნა, რომ მედიაცია შედარებით ნაკლებად არის განვითარებული აღმოსავლეთ ევროპაში, თუმცა, არსებობს კვლევები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ მედიაციის ევოლუცია ზოგადად არის სუსტი პროცესი მთელს მსოფლიოში. პოლიტიკის კვლევაში ს. პუჟემ ახსენა, რომ 100 გამოკითხული ქვეყნიდან ნახევარზე მეტს არ გააჩნია კონსოლიდირებული კანონი, რომელიც შედგება კომერციული მედიაციის ყველა ასპექტისგან, თუმცა, ამავე დროს, გამოკითხული ეკონომიკების 64%-ს

2 E. Sussman, „The Advantages of Mediation and the Special Challenges to its Utilization in Investor State Disputes“, *Doutrina Internacional* 27, (2010): 56, https://sussmanadr.com/docs/Investor%20state%20mediation%20Brazilian%20publication%202-2011_new.pdf (18.11.2020).

ჰქონდა კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ სასამართლოს მხრიდან საქმის მიმართვას მედიაციაში[3].

ამავე დროს, მედიაციის ხარჯები და პროცედურები განსხვავდება არა მხოლოდ სასამართლო წარმოებისგან, არამედ, ასევე, სხვა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებისგან, მაგალითად, როგორიც არის არბიტრაჟი. კვლევების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს კომერციული მედიაციის უპირატესობა კომერციულ არბიტრაჟთან შედარებით, ხარჯებისა და პროცედურების თვალსაზრისით. ს. ა. სტრონგი ხაზს უსვამს, რომ კომერციული არბიტრაჟი დგას ეგზისტენციური გამოწვევების წინაშე, როგორიც არის – არბიტრაჟის საფასური და დრო პროცედურების დასრულებისთვის, რადგან საფასური როგორც წესი არის რეალურად დიდი, ხოლო საარბიტრაჟო პროცედურები, განსაკუთრებით ტრანსსასაზღვრო დავებში, შეიძლება გაგრძელდეს ერთი ან ორი წლის განმავლობაში[4]. არსებობს ეჭვები არბიტრაჟის პროცესის ქმედითობასთან დაკავშირებითაც[5]. ამგვარად, სასამართლოების ხარჯები და პროცედურები უფრო მეტად ჰგავს არბიტრაჟისას, შესაბამისად, მედიაცია განსხვავდება ორივესგან – სასამართლოებისგან და არბიტრაჟისგან. ე. სუსმანი აღნიშნავს, რომ „მედიაციის დროს მხარეებისთვის მინიჭებული შესაძლებლობები და უპირატესობები დამტკიცებულია, განსაკუთრებით კომერციული კერძო დავების გადაწყვეტისას“[6].

გარდა ამისა, სასამართლოებისგან განსხვავებით, დავის ალტერნატიულმა გადაწყვეტამ შესაძლოა შესთავაზოს „მოგება-მოგების სანაცვლოდ“ (win-win) გადაწყვეტა, სადაც მხარეებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ურთიერთობები[7].

---

3 S. Pouget, „Arbitrating and Mediating Disputes: Benchmarking Arbitration and Mediation Regimes for Commercial Disputes Related to Foreign Direct Investment“, *Policy Research Working Paper* 6632, (October 2013): 9, https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/16849/WPS6632.pdf?sequence=1&isAllowed=y (16.11.2020).

4 S. I. Strong, „Realizing Rationality: An Empirical Assessment of International Commercial Mediation“, *University of Missouri School of Law Legal Studies Research Paper* n. 2016-07, (2016): 6, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2737462 (16.11.2020).

5 P. Lucarelli, „Strengthening Commercial Long Term Relationship with the Help of the ADR“, *Opinio Juris in Comparatione* 1, Paper n. 5, (2012): 2. http://www.opiniojurisincomparatione.org/opinio/article/view/57/61 (16.11.2020).

6 Sussman, „The Advantages of Mediation and the Special Challenges to its Utilization in Investor State Disputes“, 56.

7 C. A. Carr and M. R. Jencks, „The Privatization of Business and Commercial Dispute Resolution: A Misguided Policy Decision“, *Kentucky Law Journal* 88, Iss. 2, Article 2, (1999): 209, https://uknowledge.uky.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1536&context=klj (16.11.2020).

ლიტერატურის მიმოხილვაში უნდა აღინიშნოს, რომ სფეროში არსებული ნაშრომები მიუთითებენ შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

ა) მედიაციის გამოყენებით მხარეებს შეუძლიათ მიიღონ უფრო დაჩქარებული გადაწყვეტა შემცირებული ხარჯით[8];

ბ) მედიაცია საშუალებას აძლევს ბიზნესის მხარეებს, შეინარჩუნონ მდგრადი ურთიერთობა[9];

გ) მხარეები იცავენ კონფიდენციალურ ინფორმაციას და ინარჩუნებენ კრეატიულობას პროცესის განმავლობაში[10];

დ) კომერციული მედიაცია არის დინამიური, სტრუქტურირებული და ინტერაქტიული პროცესი, სადაც ნეიტრალური მხარე იყენებს მოლაპარაკების ტექნიკებს, რათა გადაჭრას პრობლემები, ამით კი მნიშვნელოვნად ამცირებს დატვირთვას სასამართლოებზე[11].

მიუხედავად ფაქტისა, რომ ამ სფეროში არსებობს არა ერთი სტატია და კვლევა, მეტი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ზუსტად გაანალიზდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კომერციული მედიაციის პრობლემების მიზეზები, კერძოდ, რატომ არ ჩამოყალიბდა აქამდე მედიაცია როგორც ტრადიციული დავის გადაწყვეტის ალტერნატივა და რამდენად საკმარის სამართლებრივ მექანიზმად ითვლება მედიაცია ბიზნესებისთვის, რათა გამოიყენონ ის დავის წარმოქმნისას.

მიზნები

ამ ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს მედიაციის მახასიათებლები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის. შეუძლებელია მედიაციის სფეროში არსებული ყველა საკითხის ამ ნაშრომში განხილვა, თუმცა ეს სტატია მხარეს დაეხმარება თეორიული საფუძვლის გაფართოებაში შემდგომი კვლევებისთვის, რომლებმაც უნდა უპასუხონ კომერციული მედიაციის პრობლემების და მათი გადაწყვეტის ზომების აღსრულების შესახებ კითხვებს.

---

8 Sussman, „The Advantages of Mediation and the Special Challenges to its Utilization in Investor State Disputes“.

9 Carr and Jencks, „The Privatization of Business and Commercial Dispute Resolution: A Misguided Policy Decision“.

10 Th. Stipanowich, „Why Businesses Need Mediation“, *Legal Studies Research Paper Series*, (2004): 10, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2423097 (16.11.2020).

11 Anton Usov, „EBRD promotes commercial mediation in Eastern Europe and Central Asia“, *European Bank for Reconstruction and Development*, (11 Oct. 2016), https://www.ebrd.com/news/2016/ebrd-promotes-commercial-mediation-in-eastern-europe-and-central-asia-.html (16.11.2020).

მეთოდები

წინამდებარე სტატიაში კომერციული მედიაციის ასპექტების შესასწავლად და მის წასახალისებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მეთოდი. ნაშრომი აქტიურად იყენებს შედარებით-სამართლებრივ ანალიზს და ისტორიულ კვლევას. ნაშრომი განიხილავს მედიაციის განვითარებას და ადარებს სხვადასხვა ქვეყნების პერსპექტივებსა და შეხედულებებს.

გარდა ამისა, ნაშრომი იყენებს დოქტრინალურ კვლევას სამართლებრივი კონცეფციების და პრინციპების ანალიზით და ამავე დროს – პოლიტიკის ანალიზის მეთოდს საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებისა და პოლიტიკის მიმოხილვების ანალიზით.

შედეგები და მსჯელობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა სოციალისტურმა რეჟიმმა გავლენა იქონია სასამართლოების განვითარებასა და თავისუფლებაზე. ამან გამოიწვია კვაზი-სასამართლო ინსტიტუტების შექმნა, რომელთაც ესაჭიროებოდათ რეფორმები ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად.

რა იყო სასამართლო სისტემის **ძირითადი პრობლემები** საბჭოთა ბლოკის დაცემის შემდეგ:

- **ნეიტრალიტეტის ნაკლებობა:** საბჭოთა კავშირში სასამართლო სისტემა იყო პოლიტიზებული, შესაბამისად, ის იყო ცენტრალური ხელისუფლების მძიმე გავლენის ქვეშ. მიუკერძოებლობის არარსებობა ჯერ კიდევ ნარჩუნდება და გავლენას ახდენს სასამართლო სისტემის განვითარებაზე. ფართოდ მიიჩნევა, რომ სასამართლო სისტემები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში შედგება სპეციფიკური და მჭიდროდ დაკავშირებული წევრებისგან, ინდივიდთა ჯგუფებისგან, რომლებიც აკონტროლებენ სასამართლო სისტემას და საქმე აქვთ მთავრობასთან;
- **კორუფცია:** სასამართლო სისტემები პოსტ-საბჭოთა სამყაროში წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე უფრო კორუმპირებულ უწყებებს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი რეფორმა გატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, რათა შემცირებულიყო კორუფცია, ამ რეფორმების ეფექტები სუსტია;
- **პროფესიონალიზმის ნაკლებობა:** ეს კონკრეტული პრობლემა ჯერ კიდევ ითვლება ერთ-ერთ მთავარ პრობლემად, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ძალისხმევა ჩაიდო როგორც სახელმწიფოს, ასევე სამო-

ქალაქო ორგანიზაციების მხრიდან, რათა ამაღლებულიყო კომპეტენცია სასამართლო სისტემის წარმომადგენლებს შორის.

- დასახელებული პრობლემები იწვევენ შემდეგი სახის მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას, კერძოდ:
- **ნდობის არარსებობა:** ჩვენი ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინვესტორების მხრიდან ნდობის არსებობა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ის ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და იზიდავს სამომავლო ინვესტიციებს. მხარეებმა იციან, რომ თუკი შეუძლიათ ენდონ სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობასა და ნეიტრალიტეტს, ეს დადებითად აისახება მათ ნებაზე, მოახდინონ ფულის ინვესტირება;
- **ადმინისტრაციული პროცედურების დარღვევა, რომლებიც გათვალისწინებულია სასამართლო საქმეების განხილვისთვის:** მოსამართლეები არღვევენ გონივრულ განრიგს, რომელიც დადგენილია კონკრეტული საქმეების განხილვისთვის და განიხილავენ მათ დადგენილი პროცედურების დარღვევით;
- რესურსების არარაციონალური რაოდენობა არის გამოყოფილი სასამართლოში საქმის განხილვისთვის. ეს რესურსები მოიცავს დროს საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, საქმის მომზადებისთვის დახარჯულ ფინანსებს და სასამართლო ბაჟის გადახდას.

სასამართლოში წასვლა ხდება ბიზნესისთვის არაპრიორიტეტული არჩევანი. შესაბამისად, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების გამოყენება ცალსახად რეკომენდირებულია. ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან, მედიაციამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გამოწვევები:

- რესურსების დანაწილება – მედიაციაზე დახარჯული დრო და ფული უნდა იყოს ნაკლები სასამართლო განხილვაზე გამოყენებულ რესურსებთან შედარებით.
- მიუკერძოებლობა – მედიატორები უნდა იყვნენ ნეიტრალურები და სანდო პიროვნებები, რომელთაც შეუძლიათ იმუშაონ ორივე მხარესთან, და არც ერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს შეგრძნება, რომ მას ატყუებენ ან შეცდომაში შეჰყავთ.
- პროფესიონალიზმი – არ არსებობს მედიატორებისთვის მოთხოვნა, რომ ისინი უნდა იყვნენ სამართლის სფეროს წარმომადგენლები. მაგრამ, ვინაიდან ისინი არიან კერძო სფეროს წარმომადგენლები, მათი დაბალი კომპეტენცია იქნება უფრო თვალსაჩინო, და დამოკიდებულება მხარეებისგან მედიაციის მიმართ გაუარესდება.

არის თუ არა მედიაცია ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია დაძლიოს სასამართლო სისტემის გამოწვევები და წარმოადგინოს თავი როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გამორჩეული ორგანო?

მედიაციის დადებითი ასპექტები: მედიაცია შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი საშუალება დავების მოგვარებისთვის. მედიაციას აქვს რამდენიმე დადებითი ასპექტი, რომელიც შეიძლება დაეხმაროს მოდავე მხარეებს:

- მხარეებს შეუძლიათ აკონტროლონ მედიაციის შედეგი ნეიტრალური მედიატორის დახმარებით;
- მედიაციის პროცესში რამდენიმე საათის გატარების შემდეგ, მედიატორებს შეუძლიათ დაეხმარონ მხარეებს, აღმოაჩინონ მათი სუსტი და ძლიერი წერტილები და გაიაზრონ სიტუაცია სხვა მხარის გადასახედიდან;
- მხარეებთან პირდაპირი კომუნიკაცია წარმოებს ნეიტრალურ საფუძველზე;
- ანაზღაურების გზები არის გაცილებით მრავალფეროვანი, ვიდრე სასამართლო სისტემებში;
- პროცესის კონფიდენციალურობა უზრუნველყოფილია;
- მედიაციას აქვს შესაძლებლობა, დაუზოგოს მხარეებს დრო და ფული;
- მოლაპარაკების და ორმხრივად სასარგებლო შეთანხმების მიღწევის შანსები არის გაცილებით დიდი, ვიდრე სასამართლოებში.

როგორ უნდა მოახდინოს მედიაციამ პოზიციონირება პოსტ-საბჭოთა სივრცეში:

- მხარეები არიან საქმის ხელმძღვანელები, შესაბამისად, გადაწყვეტილებებს იღებენ ისინი და არა – მოსამართლეები;
- სასამართლო სისტემა არის უფრო კონკურენტული და ზრდის კორუფციის შანსებს;
- კონფიდენციალურობა უზრუნველყოფილია, რაც არის ძალიან იშვიათი პოსტ-საბჭოთა სივრცისთვის;
- მნიშვნელოვანია მოლაპარაკებებში შანსების არსებობა, რადგან ეს საშუალებას აძლევს მხარეებს, შეინარჩუნონ ურთიერთობები მომავალშიც;
- მედიაცია ამცირებს ხარჯებს და აჩქარებს პროცესს.

დასკვნა

მსჯელობაზე დაყრდნობით და ნაშრომში წარმოდგენილი შედეგების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ ერთი გადაწყვეტის მექანიზმის არსებობა, სასამართლოს სახით, ატარებს უფრო მეტ რისკს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი შედეგები მხარეებისთვის, ვინაიდან, ისინი იძულებულნი იქნებიან, ჩადონ მეტი რესურსი სასამართლოში, მათ შორის, იურისტის ხარჯების თვალსაზრისით, და

რამდენიმე წელი დაელოდონ საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება იყოს არასასურველი. მედიაცია კი, პირიქით, მხარეებს სთავაზობს სწრაფ ალტერნატივას. მათ შეუძლიათ გაანაწილონ დასაშვები რესურსები პროცესზე. ამავე დროს, მედიაციის შედეგები შეიძლება იყოს მომგებიანი ყველა მოდავე მხარისთვის. მედიაციას სჭირდება წახალისება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ბიზნესებს შეუძლიათ მომგებიანად გამოიყენონ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი. ნაშრომი მიზნად ისახავს მედიაციის მნიშვნელობასა და მის დადებით მახასიათებლებზე ხაზგასმას. კვლევები და ნაშრომები უნდა ახდენდნენ მედიაციის დადებითი ასპექტების პოპულარიზაციას, უნდა აანალიზებდნენ მის გამოწვევებს და სთავაზობდნენ მის გამოყენებას პრაქტიკული პრობლემებისთვის, რომლებიც საკმაოდ ხშირია ბიზნესებს შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

Carr, C. A. and M. R. Jencks. „The Privatization of Business and Commercial Dispute Resolution: A Misguided Policy Decision“. *Kentucky Law Journal* 88, Iss. 2, Article 2, (1999): 183-243. https://uknowledge.uky.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1536&context=klj (16.11.2020).

Lucarelli, P. „Strengthening Commercial Long Term Relationship with the Help of the ADR“. *Opinio Juris in Comparatione* 1, Paper n. 5, (2012): 1-7. http://www.opiniojurisincomparatione.org/opinio/article/view/57/61 (16.11.2020).

Pouget, S. „Arbitrating and Mediating Disputes: Benchmarking Arbitration and Mediation Regimes for Commercial Disputes Related to Foreign Direct Investment“. *Policy Research Working Paper* 6632, (October 2013): 1-44. https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/16849/WPS6632.pdf?sequence=1&isAllowed=y (16.11.2020).

Stipanowich, Th. „Why Businesses Need Mediation“. *Legal Studies Research Paper Series,* (2004): 9-22. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2423097 (16.11.2020).

Strong, S. I. „Realizing Rationality: An Empirical Assessment of International Commercial Mediation“. *University of Missouri School of Law Legal Studies Research Paper* n. 2016-07, (2016). https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2737462 (16.11.2020).

Sussman, E. „The Advantages of Mediation and the Special Challenges to its Utilization in Investor State Disputes“. *Doutrina Internacional* 27, (2010): 54-67.

https://sussmanadr.com/docs/Investor%20state%20mediation%20Brazilian%20publication%202-2011_new.pdf (18.11.2020).
Usov, Anton. „EBRD promotes commercial mediation in Eastern Europe and Central Asia“. *European Bank for Reconstruction and Development*, (11 Oct. 2016). https://www.ebrd.com/news/2016/ebrd-promotes-commercial-mediation-in-eastern-europe-and-central-asia-.html (16.11.2020).

ონლაინ მედიაცია – დავის გადაწყვეტის საშუალება კარანტინის დროს

უჩა ძიმისტარიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის მაგისტრი, ლექტორი
u.dzimistarishvili@ccl.ge

აბსტრაქტი

2019 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოვლენილი ახალი კორონავირუსი 2020 წლიდან მთელს მსოფლიოში სწრაფად გავრცელდა, რის შედეგადაც, უმეტესმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილებები და აკრძალეს მიმოსვლა და დააწესეს სხვა შეზღუდვები. შესაბამისად, ფაქტიურად მთელს მსოფლიოში გამოცხადდა კარანტინი და ხშირ შემთხვევაში, სრული ჩაკეტვა, ე.წ. ლოქდაუნი.

პანდემიამ მნიშვნელოვანი კრიზისები შექმნა მთელს მსოფლიოში, რაც ბუნებრივად იწვევს დავების რაოდენობის ზრდას როგორც ბიზნეს სუბიექტებს შორის, ასევე, მომხმარებლებს თუ ფიზიკურ პირებს შორის.

ზოგადად, ამ პირობებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა დისტანციური საშუალებებით კომუნიკაცია, საქმიანობის წარმართვა, აკადემიური საქმიანობა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა დავების გადაწყვეტის დისტანციური საშუალებების განვითარება, მათ შორის, სასამართლო თუ საარბიტრაჟო განხილვების დროს. შედეგად, კიდევ უფრო აქტუალური გახდა ონლაინ მედიაციის მნიშვნელობაზე განხილვები. ონლაინ მედიაცია სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის იყო განხილვის საგანი, თუმცა, ის არ ყოფილა ისეთი აქტუალური, როგორც დღეს.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ონლაინ მედიაციის განვითარების ეტაპები და სამომავლო პერსპექტივები. ონლაინ მედიაცია დასახულია როგორც რეალური მექანიზმი დავების გადაწყვეტისთვის, განსაკუთრებით, კარანტინის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ მედიაცია; კარანტინი; დავები.

Abstract

Coronavirus, which was first discovered in People's Republic of China in 2019, was rapidly expanded throughout the world from beginning of 2020. As a result, most of the countries made various decisions and restricted movement and fixed other restrictions. Accordingly, almost in whole world quarantine was announced and in most countries, full lockdown has been faced.

Pandemic situation has created crisis in whole world, which naturally increases the number of disputes not only between business entities, but, with consumers and between physical persons, as well.

Generally, in that conditions, it became very actual to use distance mechanisms for communication, business, or even academic activities. Accordingly, it was required to start development of Online Dispute Resolution Mechanisms, including, Court and/or arbitration proceedings. As a result, it became even more actual to discuss importance of online mediation. It has been subject of discussion almost always, though, it has never been as actual, as for today.

Following article reviews various steps of development of online mediation and future perspectives. Online Mediation is seen, as real mechanism for dispute resolution, especially, during lockdown.

Keywords: Online Mediation; Lockdown; Disputes.

შესავალი

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდ-19 გლობალურ პანდემიად გამოაცხადა.[1] შედეგად, არა ერთმა სახელმწიფომ გადაწყვიტა, მიეღო შემზღუდველი ზომები და მათმა უმრავლესობამ გამოიყენა საყოველთაო კარანტინი როგორც ვირუსის შემდგომი გავრცელების პრევენციისთვის უმთავრესი ნაბიჯი. სახელმწიფოთა უმრავლესობამ ჩაკეტა საერთაშორისო საზღვრები და შიდა გადაადგილება ქვეყნის ტერიტორიაზე.[2]

---

1 WHO, „WHO announces COVID-19 outbreak a pandemic" (12.03.2020), http://www.euro.who.int/en/health-topics/health-emergencies/coronavirus-covid-19/news/news/2020/3/who-announces-covid-19-outbreak-a-pandemic (19.11.2020).

2 Katharina Buchholz, „What Share of the World Population Is Already on COVID-19 Lockdown?", *Statista* (23.04.2020), https://www.statista.com/chart/21240/enforced-covid-19-lockdowns-by-people-affected-per-country/ (19.11.2020).

სხვა მიმართულებებს[3] შორის, ვირუსმა გავლენა იქონია დავების პროცედურებზე. მაგალითად, აშშ-ში „ფედერალურმა სასამართლოებმა გამოიყენეს სხვადასხვა მიდგომა კოვიდ-19-ის რისკების შესამცირებლად. საქმის განმხილველი სასამართლოს დონეზე, მაგალითად, აშშ-ის რაიონულმა სასამართლომ ნიუ-იორკის სამხრეთ რაიონისთვის 2020 წლის 13 მარტს გამოაცხადა, რომ ის გადადებდა ახალ სამოქალაქო და ნაფიც მსაჯულთა განსახილველ სისხლის სამართლის საქმეებს."[4] საქართველოში სასამართლო განხილვები ტარდებოდა ონლაინ რეჟიმში, სასამართლოებმა გაზარდეს დოკუმენტების ელექტრონულად წარმოდგენის პროცესი და თანამშრომლებმა დისტანციურად დაიწყეს მუშაობა.[5]

ჯერ კიდევ კოვიდ-19-ამდე პერიოდში, ცნობილი იყო, რომ „ტექნოლოგია მძლავრი მექანიზმია, რომელიც ცვლის სამყაროს ყოველდღიურად."[6] კარანტინის პერიოდში ონლაინ შეხვედრების როლი მკვეთრად გაიზარდა.[7]

ამ პროცესში უნდა მომხდარიყო მედიაციის მომსახურების ადაპტირება თანამედროვე რეალობასთან და შესაბამისად დაგეგმილიყო აქტივობები.

ამ ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს ონლაინ მედიაციის როგორც კარანტინის დროს დავების გადაწყვეტის საშუალების როლის ზრდის შესაძლებლობები. გარდა ამისა, შეფასებული იქნება ონლაინ მედიაციიდან გამომდინარე პრობლემები და შესაბამისი გადაწყვეტები, რათა გამოყენებულ იქნეს ამ პერიოდში როგორც სწავლების შედეგად მიღებული ცოდნა.

---

3 მაგალითად, განათლება იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი სექტორი, რომელზეც იმოქმედა კარანტინმა. 1.2 მილიარდზე მეტი ბავშვი დარჩა საკლასო ოთახების მიღმა. იხ. Cathy Li and Farah Lalani, „The COVID-19 pandemic has changed education forever. This is how", *World Economic Forum* (29.04.2020), https://www.weforum.org/agenda/2020/04/coronavirus-education-global-covid19-online-digital-learning/ (19.11.2020).

4 Joanna R. Lampe, „The Courts and COVID-19", Report # LSB10437 (Library of Congress. Congressional Research Service, 30.03.2020), https://www.hsdl.org/?view&did=836358 (20.11.2020), 1.

5 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის განცხადება" (30.03.2020), http://hcoj.gov.ge/en/satauri-iustitsiis-umaghlesi-sabchos-mdivnis-gantskhadeba/3650 (20.11.2020).

6 P. Astromskis, "Ateities teises tyrimu modelis", *Teises apzvalga Law review* 17 (1), (January 2018): 74. Cited by V. Terekhov, „Online Mediation: a Game Changer or Much Ado About Nothing?", *Access to Justice in Eastern Europe* 3 (2), (2019): 34.

7 Rob Price, „Facebook is adding 50-person video chatrooms to battle Zoom's popularity and help people interact during lockdown", *Business Insider* (24.04.2020), https://www.businessinsider.com/facebook-announces-messenger-rooms-50-person-video-chatrooms-2020-4 (20.11.2020).

ონლაინ მედიაციის განვითარება

ონლაინ მედიაცია შეიძლება განიმარტოს როგორც პროცედურა, როდესაც „ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) საშუალებები წარმოადგენენ მთელი პროცესის მამოძრავებელ ძალას და შეუძლებელია მათი გამოცალკევება."[8]

ონლაინ მედიაციის შეთავაზება დაიწყო 1990-იან წლებში, თუმცა ის აღარ იყო საინტერესო საკითხი 2000-იანი წლების დასაწყისში. მაგრამ, შემდგომში, ინტერესი იზრდებოდა სამი მიზეზის გამო: 1) გაუმჯობესებული ვებ-ტექნოლოგიები; 2) სასამართლოთა უკიდურესი გადატვირთულობა; 3) ბიზნესების უმეტესობის გადანაცვლება ვებ სივრცეში.[9]

ზოგადად, „ონლაინ დავების გადაწყვეტა ყველაზე ხშირად წყვეტს ელექტრონული კომერციის (e-Commerce) და სხვა ინტერნეტთან დაკავშირებულ დავებს."[10] ამ შემთხვევაში, ლოგიკური და გონივრულიც არის გამოიყენებოდეს ინტერნეტი როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება. შესაბამისად, ბევრი ბიზნესი, რომელიც ჩართულია ელექტრონულ კომერციაში, იყენებს ონლაინ მედიაციას როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმს.[11] „გარდა ამისა, მომხმარებელთა საქმეების დიდი ნაწილი უკავშირდება მცირე საკითხებს (5-100 საშუალოდ). მაშინ, როდესაც ეს დავები მგრძნობიარეა მომხმარებლებისთვის, ეჭვგარეშეა, რომ ისინი მზად არ არიან კავშირგარეშე (offline) განხილვისთვის, ვინაიდან მხოლოდ საწყისი ნაბიჯებიც კი უფრო მეტ დანახარჯს მოიტანდა, ვიდრე მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება."[12]

---

8 V. Terekhov, „Online Mediation: a Game Changer or Much Ado About Nothing?", *Access to Justice in Eastern Europe* 3 (2), (2019): 38.

9 Terekhov, „Online Mediation: a Game Changer or Much Ado About Nothing?", 38-39.

10 Sarah Rudolph Cole and Kristen M. Blankley, „Online Mediation: Where We Have Been, Where We Are Now, and Where We Should Be", *University of Toledo Law Review,* Vol. 38, Iss. 1 (Fall 2006): 196. იხ. სქოლიო 11: Robert J. Ambrogi, Virtual Justice: Resolving Disputes Online, BENCH & B. OF MINN., Feb. 2005, at 13 (noting the range of online disputes is as great as in the tangible world). See generally COLIN RULE, ONLINE DISPUTE RESOLUTION FOR BuSINESS: B2B, E-COMMERCE, CONSUMER, EMPLOYMENT, INSURANCE, AND OTHER COMMERCIAL CONFLICTS (2002). "Ecommerce" or "electronic commerce" has been defined as the "sale or purchase of goods or services, whether between businesses, households, individuals, governments, and other public or private organizations, conducted over computer-mediated networks." A.B.A. Task Force, supra note 10, at 425.

11 Terekhov, „Online Mediation: a Game Changer or Much Ado About Nothing?", 39.

12 იქვე, 42. იხ. სქოლიო 51: C Rule, 'Designing a Global Online Dispute Resolution System: Lessons Learnt from eBay' (2017) 13 University of St. Thomas Law Journal 356. See, footnote 12 – Arno R. Lodder & John Zeleznikow, Developing an Online

თუმცა, ელექტრონული კომერცია არ არის ერთადერთი სფერო, სადაც ონლაინ მედიაცია დავების გადაწყვეტისთვის შეიძლება იყოს ეფექტური. მან დაიწყო სხვა არადისტანციური დავების ჩანაცვლება.[13] „მიუხედავად იმისა, რომ სხვა ვითარებებში ფიზიკური შეხვედრა შესაძლებელი იქნებოდა, თუმცა ის არასასურველია სხვადასხვა სახის ქორწინებასთან დაკავშირებული და საოჯახო დავების დროს, განსაკუთრებით, რომლებიც მოიცავს პირთა შორის ძალადობას და შეურაცხყოფას. ამ შემთხვევაში, გაერთიანებული მედიაცია არ არის ბრძნული გადაწყვეტილება."[14]

ტრადიციული მედიაციის მახასიათებლები

ზოგადად, მედიაცია დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

1) ის მოიცავს სამ მხარეს – ორი მხარე, რომელთაც აქვთ დავა და მესამე, ნეიტრალური მხარე – მედიატორი;
2) მედიატორის არა სასამართლო როლი – მედიატორს არ აქვს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება. ის ხელს უწყობს პროცესის მიმდინარეობას;
3) პროცედურის მოქნილი და არაფორმალური ხასიათი;
4) კერძო საწყისები – ეს უმეტესად გამოიყენება კერძო სამართლებრივ დავებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენცია სულ უფრო არარელევანტური ხდება მედიაციისთვის, საჯარო სექტორში მე-

---

Dispute Resolution Environment: Dialogue Tools and Negotiation Support Systems in a Three-Step Model, 10 HARV. NEGOT. L. REV. 287, 300 (2005) ("There is no reason why offline disputes could not be resolved online."); A.B.A. Task Force, supra note 10, at 434; Teitz, supra note 10, at 991; Aashit Shah, Using ADR to Resolve Online Disputes, 10 RICH. J.L. & TECH. 25, 32-33 (2004) (arguing that online mediation is best suited for basic contract disputes, e-commerce disputes, domain name disputes, and intellectual property disputes); Joseph W. Goodman, The Pros and Cons of Online Dispute Resolution: An Assessment ofCyber-Mediation Websites, 2003 DUKE L. & TECH. REV. 4, 1 ("Online dispute resolution can take place either entirely or partly online and concerns two types of disputes: those that arise in cyberspace and those that arise offiine."). But see Mary Shannon Martin, Note, Keep It Online: The Hague Convention and the Need for Online Alternative Dispute Resolution in International Business-to-Consumer E-Commerce, 20 B.U. INT'L L.J. 125, 150, 153 (2002) (arguing ODR is most effective when used to resolve online e-commerce disputes).

13 Cole and Blankley, „Online Mediation: Where We Have Been, Where We Are Now, and Where We Should Be", 196.

14 Terekhov, „Online Mediation: a Game Changer or Much Ado About Nothing?", 42. იხ. სქოლიო 54: F S Rossi, A Holtzworth-Munroe (n 34) 399-400.

დიაციის რაოდენობრივად გაზრდის მიზეზით, მაინც კერძო სექტორი არის წამყვანი მედიაციისთვის;

5) ნებაყოფლობითი მონაწილეობა;
6) მეტწილად პირისპირ ურთიერთობა.[15]

მედიაციის ამოცანები მოიცავს შემდეგს:

- წაახალისოს ინფორმაციის გაცვლა;
- მიაწოდოს ახალი ინფორმაცია;
- დაეხმაროს მხარეებს, გაიზიარონ ერთმანეთის ხედვები;
- აჩვენოს, რომ მათი ინტერესები გაგებულია;
- პროდუქტიული ემოციური გამოხატვის ხელშეწყობა;
- მოლაპარაკების მხარეებს და მონაწილეებს შორის (იურისტისა და კლიენტის ჩათვლით) აღქმასა და ინტერესებში არსებული სხვაობების დაძლევა;
- დაეხმაროს მოლაპარაკების მხარეებს, რათა მათ რეალისტურად შეაფასონ დავის მოგვარების ალტერნატივები;
- წაახალისოს მოქნილობა;
- გადაიტანოს ყურადღება წარსულიდან მომავალზე;
- სტიმული მისცეს მხარეებს, რათა შესთავაზონ კრეატიული გადაჭრის გზები;
- გამოიკვლიოს მხარეთა ის ინტერესები (ხშირად თითოეულ მხარესთან დამოუკიდებელ სესიაზე), რომელთა ერთმანეთისადმი გაზიარების სურვილი არ აქვთ მხარეებს;
- გამოიგონოს გადაწყვეტები, რათა დაკმაყოფილდეს ყველა მხარის ძირეული ინტერესები.[16]

რა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და უფრო სანიმუშოა, თუმცა, ეს შეიძლება გამოყენებული იყოს ტრადიციული და ონლაინ მედიაციის შედარებისთვის.

დასკვნა

თუკი შევადარებთ ტრადიციული მედიაციის ზემოთ მოყვანილ პრინციპებს და ამოცანებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ონლაინ მედიაცია არის

---

15 იქვე, 36.

16 Yuxian Zhao, „Rethinking the Limitations of Online Mediation", *Am. J. Mediation* 11, (2018): 168-169. იხ. სქოლიო 14: FRANK SANDER, DISPUTE RESOLUTION: NEGOTIATION, MEDIATION, ARBITRATION AND OTHER PROCESSES 198-199 (2012).

მექანიზმი, რომელსაც აქვს თითქმის ყველა მახასიათებელი, რათა მიაღწიოს იმავე მიზნებს.

მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყენებს პირისპირ შეხვედრებს, ეს მარტივად შეიძლება ჩანაცვლდეს ინტერნეტ საშუალებების გამოყენებით ჩატარებული შეხვედრებით.

ონლაინ მედიაციის განვითარების პერიოდში რთული იქნებოდა იმის განჭვრეტა, რომ ამდენად მართებული აღმოჩნდებოდა ონლაინ მედიაციის საშუალებების განვითარება. კერძოდ, კარანტინის დროს, მხარეებს, რომელთაც ჰქონდათ დავები, შეზღუდულები იყვნენ დავის გადაწყვეტის მექანიზმების არჩევანში და შესაძლოა, სწორედ ეს იყო ზუსტი მომენტი ონლაინ მედიაციის განვითარებისთვის. კარანტინის გამო მხარეებს ჰქონდათ შეზღუდული წვდომა ტრანსპორტზე, შესაბამისად, უნდა გამოეყენებინათ ონლაინ საშუალებები.

ვინაიდან მსოფლიოში მოსალოდნელია კოვიდ-19-ის გავრცელების შემდგომი პიკები და ტალღები,[17] მედიატორები, შესაბამისი ასოციაციები, სასამართლო სისტემა მზად უნდა იყოს შემდეგი ეტაპისთვის. მედიატორებს შეუძლიათ, წაახალისონ ონლაინ მედიაცია როგორც ეფექტური, სწრაფი, ნაკლებხარჯიანი და მომავალზე ორიენტირებული მექანიზმი. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ საშუალებები უფრო მეტად არის მორგებული ონლაინ სესიებისთვის, კონფერენციებისთვის[18] და ა.შ. აქედან გამომდინარე, სულ უფრო მცირდება ონლაინ მედიაციის თავიდან აცილების მიზეზები.

უფრო მეტიც, ონლაინ მედიაციის განვითარება უნდა მოხდეს სწორედ ახლა!

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

Buchholz, Katharina. „What Share of the World Population Is Already on COVID-19 Lockdown?“. *Statista*, (23.04.2020). https://www.statista.com/chart/21240/enforced-covid-19-lockdowns-by-people-affected-per-country/ (19.11.2020).

Cole, Sarah Rudolph and Kristen M. Blankley. „Online Mediation: Where We Have Been, Where We Are Now, and Where We Should Be“. *University of Toledo Law Review,* Vol. 38, Iss. 1 (Fall 2006): 193-212.

---

17 Ben Westcott et al., „May 25 coronavirus news“, *CNN*, (26.05.2020), https://edition.cnn.com/world/live-news/coronavirus-pandemic-05-25-20-intl/h_f260b669316ece8af17b56e6dc0ab64b (20.11.2020).

18 შესაძლებელია განცალკევებული „ოთახების“ შექმნა, ჯგუფური შეხვედრის დროს, სხვადასხვა პლატფორმების მეშვეობით.

Lampe, Joanna R. „The Courts and COVID-19“, Report # LSB10437. *Library of Congress. Congressional Research Service,* (30.03.2020): 1-4. https://www.hsdl.org/?view&did=836358 (20.11.2020).

Li, Cathy and Farah Lalani. „The COVID-19 pandemic has changed education forever. This is how“. *World Economic Forum*, (29.04.2020). https://www.weforum.org/agenda/2020/04/coronavirus-education-global-covid19-online-digital-learning/ (19.11.2020).

Price, Rob. „Facebook is adding 50-person video chatrooms to battle Zoom's popularity and help people interact during lockdown“. *Business Insider,* (24.04.2020). https://www.businessinsider.com/facebook-announces-messenger-rooms-50-person-video-chatrooms-2020-4 (20.11.2020).

Terekhov, V. „Online Mediation: a Game Changer or Much Ado About Nothing?“. *Access to Justice in Eastern Europe* 3 (2), (2019): 33-50.

Westcott, Ben et al. „May 25 coronavirus news“. *CNN*, (26.05.2020). https://edition.cnn.com/world/live-news/coronavirus-pandemic-05-25-20-intl/h_f260b669316ece8af17b56e6dc0ab64b (20.11.2020).

WHO. „WHO announces COVID-19 outbreak a pandemic“, (12.03.2020). http://www.euro.who.int/en/health-topics/health-emergencies/coronavirus-covid-19/news/news/2020/3/who-announces-covid-19-outbreak-a-pandemic (19.11.2020).

Zhao, Yuxian. „Rethinking the Limitations of Online Mediation“. *Am. J. Mediation* 11, (2018): 168-169.

მედიაციის როლი სკოლის პედაგოგის საქმიანობაში

შორენა მესხიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი, ასისტენტი
shorena.meskhidze@bsu.edu.ge

აბსტრაქტი

მედიაცია კონფლიქტების მოგვარების ეფექტურ ფორმას წარმოადგენს კონსტრუქციული, სისტემატიზირებული პროცესის მეშვეობით, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მონაწილე მხარეთა ინტერესებს. სკოლა არ არის ის ადგილი, სადაც მხოლოდ სასწავლო პროცესი ხორციელდება. სკოლა არის ერთგვარი თემი/საზოგადოება, სადაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ. სკოლას აქვს თავისი წესები, ნორმები, ფასეულობები. მედიაცია არის საუკეთესო შესაძლებლობა, რათა პრობლემები არა წარმოიშვას, არამედ გადაიჭრას და მონაწილეები თავად ჩაერთონ ამ პროცესში.
მოცემული სტატიის მიზანია მედიაციის როლის განსაზღვრა საგანმანათლებლო დაწესებულებაში (სკოლაში) და ამ უკანასკნელის მნიშვნელობის წარმოჩენა სკოლის პედაგოგის საქმიანობაში. ამისათვის, მნიშვნელოვანია, პედაგოგს ჰქონდეს მედიატორის უნარები, კერძოდ, საუბარია მედიაციის პროცესის ძირითად პრინციპებზე, რომლებიც განაპირობებენ პროცესის ეთიკურ, თანმიმდევრულ მიმდინარეობას და საბოლოო წარმატებას – კონფლიქტის გადაჭრის გზის პოვნას, რომელიც ოპტიმალურია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ასევე, სტატიაში განხილულია ის გარემოებები, რომლებიც მოითხოვენ პედაგოგის მიერ მედიატორის ფუნქციის შესრულებას და – მედიაციის მოდელები, რომლებიც შესაძლებელია პედაგოგმა გამოიყენოს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე. აგრეთვე, აღწერილია ეტაპები, რომლებსაც მედიაციის პროცესი მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ხაზგასმულია პოსტკონფლიქტური სტრესის შემდგომ ურთიერთობათა ნორმალიზებაზე მუშაობის აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: მედიაცია; მედიატორი; უნარები; მედიაციის როლი სკოლის პედაგოგის საქმიანობაში.

Abstract

Mediation is an effective form of conflict resolution through a constructive, systematic process that focuses the interests of the parties involved. School is not a place where only the learning process takes place. School is a kind of community, a society where people interact with each other. The school has its rules, norms, values. Mediation is the best opportunity not to create problems, but to solve them and involve the participants in the process.
The purpose of this article is to define the role of mediation in an educational institution (school) and to highlight its importance in the activities of the school teacher. That's why it is important for the teacher to have the skills of a mediator. In particular, we talk about the basic principles of the mediation process, which lead to the ethical, consistent course of the process and the final success – finding a way to resolve the conflict that is optimal for all parties. The article also discusses the circumstances that require the teacher to act as a mediator and the mediation models that the teacher can use depending on the current situation. Given article describes the stages that the mediation process involves in educational institutions and emphasizes the need to work on the normalization of relationships after post-conflict stress.

Key words: mediaton; mediator; skills; the role of mediation in the activities of a school teacher.

შესავალი

მედიაცია – პროცესი (მისი სახელწოდების მიუხედავად), რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ – კანონით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით[1].

მედიაციას ფართოდ გამოიყენებენ არამხოლოდ სასამართლო, არამედ სხვადასხვა სფეროს კერძო პრაქტიკაში კონფლიქტური სიტუაციების მოსაგვარებლად, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

პედაგოგი უნდა იყოს მედიატორი. მას უნდა ჰქონდეს უნარები, რომ ბარიერების მიუხედავად ყველა მოსწავლესთან იურთიერთოს. ამისათ-

1 საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ* №4954-Iს, (თბილისი: სსმ, 27/09/2019), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1 (11.11.2020).

ვის, აუცილებელია, რომ ის სწავლისთვის შესაბამის გარემოს ქმნიდეს და ცოდნის სხვისთვის გადაცემა შეეძლოს. სწავლების პროცესში მასწავლებელი სხვადასხვა სტრატეგიასა და რესურსს უნდა იყენებდეს.

ძირითადი ნაწილი

სკოლის პედაგოგის მედიატორული საქმიანობა მოიცავს შემდეგ მოვალეობებს:

- მოსწავლეებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა და კონფლიქტების ბუნების გაცნობიერება;
- მოსწავლეებს შორის კონფლიქტებთან კონსტრუქციული დამოკიდებულება;
- კრიზისულ სიტუაციაში არაკონფლიქტური კომუნიკაციის უნარები;
- კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავების უნარი;
- მოსწავლეთა შორის განვითარებული კონფლიქტის შესაძლო შედეგების პროგნოზირების უნარი;
- მოსწავლეთა ჯგუფში წინააღმდეგობათა და კონფლიქტების კონსტრუქციული რეგულაციის უნარი;
- სტუდენტებს შორის კონფლიქტების ნეგატიური შედეგების აღმოფხვრის/თავიდან აცილების უნარი.

მედიაციის არსი და როლი განათლების სისტემაში, ისევე როგორც მისი ხელმისაწვდომობა კონფლიქტში მონაწილე პირებისთვის, რამდენიმე ძირითად პრინციპს ეფუძნება.

პირველ პრინციპს ნებაყოფლობითობა წარმოადგენს. მედიაცია ვერ იქნება წარმატებული იმ შემთხვევაში, როდესაც მონაწილეებს არ სურთ მასში მონაწილეობის მიღება. შესაბამისად, ნებისმიერ სფეროში მედიაციის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მონაწილეების სურვილი და ნებაყოფლობითი თანხმობა, რაც თავისთავად უტოვებს მათ უფლებას, ნებისმიერ მომენტში გამოეთიშონ მედიაციის პროცესს, მიზეზის დასახელების გარეშე; ამასთანავე, გადაწყვეტილებებს მხარეები იღებენ, მედიატორი კი შეხვედრების ორგანიზების ფუნქციას იტოვებს. მედიატორი ვალდებულია, ეს პრინციპი გააცნოს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს პროცესის დაწყებამდე.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრინციპია კონფიდენციალურობა. ერთი მხრივ, ეს აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს პროდუქტიული დიალოგისა და კონსტრუქციული შედეგებისთვის; საჭიროა ისეთი ატმოსფეროს შექმნა, სადაც მხარეები კომფორტულად შეძლებენ კონფლიქტის განხილვას. მეორე მხრივ, კონფიდენციალობა იცავს მხარეების ინტერე-

სებს და საუბრის შინაარსის გასაჯაროებას მონაწილე პირების თანხმობის გარეშე.

მედიაციის კიდევ ერთ პრინციპს ხელმისაწვდომობა წარმოადგენს, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება განათლების სისტემას. ბუნებრივია, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ობიექტურობაც (მიუკერძოებლობა), რაც მედიაციის ერთ-ერთ ყველაზე არსებით პრინციპს წარმოადგენს და ავალდებულებს პედაგოგ მედიატორს, იყოს ნეიტრალური დამხმარე მხარე და არა – მოსამართლე: ის არ აძლევს რჩევებს, არ იღებს გადაწყვეტილებებს, ინარჩუნებს ნეიტრალურ დამოკიდებულებას ორივე მხარის მიმართ. მხარეებს აქვთ თანაბარი უფლებები მოლაპარაკების პროცესში და თანაბრად იღებენ გადაწყვეტილებებს.

მედიატორი პედაგოგის კვალიფიკაციასა და სწავლებაზე საუბრისას, არსებობს ცოდნისა და პიროვნული თვისებების საკმაოდ მაღალი მოთხოვნები, რადგანაც მედიატორი არის სპეციალისტი, რომლის ფუნქციასაც კონფლიქტების მოგვარება წარმოადგენს. მედიაციის პროცესში ის მონაწილეობას იღებს როგორც მესამე, ნეიტრალური, არადაინტერესებული მხარე და ეხმარება კონფლიქტის მონაწილეებს საკუთარი და სხვების ინტერესების გააზრებაში, პოზიციების განსაზღვრაში. ასევე, მედიატორი ეხმარება მონაწილეებს, მივიდნენ დავის გადაჭრის კონსტრუქციულ გზებამდე, რომლებიც მისაღები იქნება ყველა მონაწილე მხარისთვის. მაღალი მოთხოვნები პიროვნული თვისებების მიმართ განპირობებულია სამუშაოს სპეციფიკით, ამავდროულად, სერტიფიცირებული მედიატორი კარგად უნდა იყოს გათვიცნობიერებული პროცედურის ტექნიკურ მხარეებშიც, მუდმივად ვითარდებოდეს პროფესიულად და ინარჩუნებდეს კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის მაღალ დონეს[2].

ნებისმიერი მედიატორი ვალდებულია, იყოს თანმიმდევრული საკუთარ ქმედებებში და დაიცვას პროფესიული ეთიკა, რომლის ძირითადი მოთხოვნებიც ჩამოყალიბებულია მედიატორთა ქცევის ევროპულ კოდექსში და სრულად ასახავს იმ პიროვნულ და პროფესიულ სტანდარტს, რომლის დაცვაც აუცილებლობას წარმოადგენს[3].

რაც შეეხება უშუალოდ პროცესს, კონფლიქტის გადაჭრის პროცედურა გულისხმობს მედიატორის გასაუბრებას კონფლიქტის ყოველ მონაწილესთან. ამ შეხვედრების მანძილზე კონფლიქტის მხარეები კონსტრუქციული გამოსავლის ძიებაში არიან. მონაწილე მხარეები არ არიან დამოკიდებულ-

---

2 M. Pel, *Verwijzen naar mediation: praktijkgids voor een effectief mediationvoorstel* (Den Haag: Sdu, 2008).

3 Hugo Prein, *Mediation in praktijk: beroepsvaardigheden en interventietechnieken* (Netherlands: Boom, 2010).

ნი მედიატორზე, ისინი დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას, რომელსაც მისაღებად და მომგებიანად თვლიან მოცემულ სიტუაციაში.

მაშასადამე, პედაგოგი მედიატორის მოვალეობას წარმოადგენს არსებული სიტუაციის ანალიზი და კონფლიქტის რეგულირება მოსწავლეებს შორის. მოსწავლეებს შეუძლიათ მიმართონ მოცემულ სერვისს იმ შემთხვევებში, როდესაც:

- რეგულაციის ობიექტს წარმოადგენს ხანგრძლივი კონფლიქტი, რომელშიც ყველა არგუმენტი გამოილია, თუმცა, გამოსავალი მაინც არ ჩანს;
- ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი ინტერესების ფონზე მხარეებს არ შეუძლიათ თანაკვეთის წერტილის პოვნა;
- მხარეები განსხვავებულად აღიქვამენ კონფლიქტის მოგვარებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს;
- ერთ-ერთი მხარე, მნიშვნელოვანი ზარალის გამო, ითხოვს სანქციებს ოპონენტისთვის;
- მხარეებისთვის მნიშვნელოვანია კარგი ურთიერთობის შენარჩუნება. კონფლიქტი არაინტენსიურია, თუმცა, ურთიერთშეთანხმება მიღწეული არ არის.

მედიატორის დამოუკიდებელი, ოპერატიული ჩარევა სტუდენტურ კონფლიქტში აუცილებელი ხდება, თუ:

- ადგილი აქვს კონფლიქტური სიტუაციის სახიფათო ესკალაციას და ძალადობის მუქარას;
- ერთ-ერთი მხარე ძალადობის მსხვერპლია;
- კონფლიქტი მკვეთრ ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ საქმიანობასა და მოსწრებაზე;
- მხარეები ვერ მივიდნენ შეთანხმებამდე, მედიატორს კი აქვს შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს ორივე მხარის ინტერესები.

მედიაციის პროცესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. მედიატორის შესავალი სიტყვა
2. მხარეების წარდგენა
3. დისკუსია
4. ინდივიდუალური გასაუბრება
5. შეთავაზებებზე მუშაობა
6. მედიაციიდან გასვლა

ქვემოთ, უფრო დეტალურად განვიხილავთ თითოეულ წარმოდგენილ ეტაპს.

მედიატორის შესავალი სიტყვა. მედიატორი აცნობს მონაწილე მხარეებს მედიაციის პროცესის არსს, ძირითად პრინციპებს (ნებაყოფლობი-

თობა, ობიექტურობა, კონფედენციალურობა), საკუთარ როლსა და ფუნქციას მიმდინარე პროცესში, ეცნობა სტუდენტებს და უხსნის მათ თავიანთ როლს მოლაპარაკების პროცესში, ეკითხება, აქვთ თუ არა მათ საკმარისი დრო და რესურსი მოლაპარაკების წარმოებისთვის. აუცილებელია დაზუსტება, მონაწილეობს თუ არა პროცესში კონფლიქტში დაინტერესებული ყველა მხარე, არსებობს თუ არა ვინმეს მოწვევის აუცილებლობა. მოსწავლეები უნდა გაეცნონ პროცესის მიმდინარეობის ეტაპებს და განიხილონ თითოეულთან ინდივიდუალური გასაუბრების შესაძლებლობა. მედიატორის შესავალი სიტყვა, რომელიც სტრუქტურირებული და დეტალურად დამუშავებული უნდა იყოს, დაახლოებით 10-15 წუთი გრძელდება და პროცესის ეფექტურ დასაწყისს წარმოადგენს.

მხარეების წარდგენა. მედიაციის ამ ეტაპზე კონფლიქტურ სიტუაციაში ჩართულ ყველა მხარეს შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი პოზიციიდან ისაუბროს, თუ რაში ხედავს სადაო სიტუაციის ძირითად ასპექტებს. როგორც წესი, საკუთარი პოზიციის გაცნობას იწყებს ის მხარე, რომელმაც მიმართა მედიაციის სერვისს დახმარებისთვის. თითოეული მხარის მოხსენებისას მედიატორი აქტიური მსმენელის როლშია, ინიშნავს მნიშვნელოვან მომენტებს, საჭიროების შემთხვევაში სვამს დამაზუსტებელ შეკითხვებს. მედიატორი ასევე ზრუნავს აუცილებელი წესების დაცვაზე – მხარეები არ აწყვეტინებენ ერთმანეთს საუბარს, ყურადღებით უსმენენ ოპონენტის პოზიციას. თითოეული მოხსენების ბოლოს მედიატორი მოკლე რეზიუმეს აკეთებს, სესიის ბოლოს კი აზუსტებს, რამდენად გამოხატეს ოპონენტებმა საკუთარი პოზიციები, სურთ თუ არა რაიმეს დამატება.

მედიატორის რეზიუმეში არ უნდა ფიგურირებდეს არანაირი ემოციური კონტექსტი, ოპონენტზე მიმართული წყენა, ან აგრესია, რაც ეხმარება მოწინააღმდეგე მხარეს, ობიექტურად და ადეკვატურად დაინახოს არსებული პოზიცია.

დისკუსია. მედიატორი სთავაზობს მონაწილე მხარეებს, განიხილონ მოსმენილი მოხსენებები, გამოთქვან საკუთარი აზრი. ამ შემთხვევაში, შეიძლება შედგეს საკმაოდ ემოციური დიალოგი, რომელიც დაეხმარება მონაწილეებს დაგროვებული ემოციებისგან გათავისუფლებაში და უმჯობესია, მივცეთ მათ ამის საშუალება. თუმცა, თუ დისკუსია გადაიზრდება კამათში და სხვადასხვა მიზეზით აღარ წარმოადგენს კონსტრუქციულ დიალოგს, მედიატორი მონაწილეებს ინდივიდუალურ გასაუბრებებს სთავაზობს.

ინდივიდუალური გასაუბრება. თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, მონაწილეებთან უნდა შედგეს ერთი და იგივე რაოდენობის და ხანგრძლივობის ინდივიდუალური გასაუბრება, რაც იცავს მათ მედიატორის ანგაჟირებულობისა და სუბიექტური ბრალდებისგან.

ინდივიდუალური გასაუბრების დროს შეიძლება თავი იჩინონ ახალმა გარემოებებმა, რომელთა განხილვაც მხარეებს არ სურდათ ოპონენტის თანდასწრებით. მედიატორი ეხმარება კონფლიქტის მონაწილეს მთლიანი სურათის დანახვაში, საკუთარი პოზიციის გვერდიდან შეფასებაში, ოპონენტის შეხედულებების, არგუმენტებისა და გრძნობების გააზრებასა და გათავისებაში. ინდივიდუალური გასაუბრებების პროცესში მედიატორი ორიენტირებულია თანაკვეთის პოვნაზე ოპონენტების შეხედულებებს შორის, რაც პრობლემის ეფექტურად გადაჭრაში დაეხმარება.

შეთავაზებებზე მუშაობა. მხარეები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ წარმოდგენებს თითოეული საკითხის გადაჭრის გზების შესახებ. ეს მედიაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. მხარეებმა უნდა შეძლონ ერთმანეთის მოსმენა, შეთავაზებების პოზიტიური ასპექტების დანახვა, საკუთარ თავში დამატებითი რესურსის აღმოჩენა, ახალი და ყველასთვის მომგებიანი გადაწყვეტის გზებზე შეთანხმება.

მედიაციიდან გასვლა. როგორც წესი, ამ ეტაპზე მედიატორი მადლობას უხდის მონაწილეებს წარმატებული, კონსტრუქციული საქმიანობისთვის და გამოთქვამს იმედს, რომ სათანადოდ შეასრულა საკუთარი ფუნქცია. ამ ეტაპის მიზანს წარმოადგენს უკუკავშირის მიღება მედიაციის პროცესისა და შედეგების შესახებ. მხარეები აფასებენ, რამდენად კმაყოფილები არიან მიღწეული შეთანხმებით და უშუალოდ მედიაციის პროცესით. საბოლოოდ, მხარეები აფასებენ თავიანთ ემოციურ მდგომარეობასაც – შემსუბუქდა თუ არა ემოციური ფონი მედიაციის სესიების შემდეგ, რამდენად და რა მხრივ იქონია მან გავლენა და ა.შ.[4]

მედიატორმა მთელი პროცესის მანძილზე უნდა შეინარჩუნოს ობიექტურობა და არ ქონდეს ნეგატიური განწყობა არც უშუალოდ კონფლიქტის საგნის, არც მასში მონაწილე პირების მიმართ, რათა სწორად მოხდეს მიღებული ინფორმაციის აღქმა და ანალიზი[5].

თუ მიღებული ინფორმაცია მოვლენათა განვითარების სახიფათო პოტენციურ სცენარზე მიუთითებს, მედიატორი უფლებამოსილია ჩაერიოს კონფლიქტში მოსწავლეების თანხმობის გარეშე.

სიტუაციის ანალიზი მოიაზრებს პრობლემის არსის წვდომას, წინააღმდეგობის მიზეზების ძიებასა და კონფლიქტის ობიექტის დადგენას. მოცემული მომენტისთვის, პედაგოგი აფასებს კონფლიქტის სტადიას, მოსწავლეებისთვის მიყენებულ ზიანს, მიზეზსა და საბაბს. კონფლიქტების უმეტე-

---

4 L. A. Voskobitova, I. N. Lukyanova and L. P. Mikhailova, Eds., *Attorney: skills of professional experience* (Moscow: Wolters Kluwer, 2016), 562.

5 A. N. Chumikov, *Negotiating: strategy, communication, facilitation, mediation* (Moscow: Nikos, 1997).

სობა წარმოიქმნება რამდენიმე მიზეზის გამო, რომელთაგან დომინირებს ერთი ან ორი.

კონფლიქტის მონაწილეების პოზიციის ანალიზისას, უნდა განისაზღვროს მონაწილეების მიზნები და ინტერესები იმ დაუკმაყოფილებელ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც კონფლიქტური ქცევის გენერირებას ახდენენ.

პედაგოგი, რომელიც მედიაციის პროცესში მედიატორის ფუნქციას ასრულებს, ვალდებულია:

- დაადგინოს და გააანალიზოს მოსწავლეების ურთიერთობა კონფლიქტურ სიტუაციამდე; განიხილოს მათი აქტუალური მდგომარეობა; შეაფასოს მხარდაჭერა, რომელსაც მხარეები იღებენ;
- შეაგროვოს ინფორმაცია მოსწავლეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე, ფორმალურ და არაფორმალურ სტატუსზე კოლექტივში[6].

ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის ინფორმაციის სანდოობის მუდმივი გადამოწმება და შევსება პირადი დაკვირვებისა და ინდივიდუალური გასაუბრების საფუძველზე.

კონფლიქტური სიტუაციის ანალიზის პარალელურად ხდება მისი შეფასება:

თითოეული მოსწავლის პოზიციის მართებულობის ხარისხი; კონფლიქტის შესაძლო ფინალი და მოსალოდნელი შედეგები. პედაგოგი მედიატორი ობიექტურად უნდა აფასებდეს საკუთარ უნარებს მოსწავლეთა კონფლიქტის რეგულირების საკითხში, ისევე როგორც სტუდენტების უნარებს და შესაძლებლობებს.

არსებობს მედიატორის რამდენიმე ტიპი, რომელთა გამოყენებაც პედაგოგს შეუძლია მოსწავლეთა შორის კონფლიქტის რეგულაციისთვის:

მოდელი „მოსამართლე“: ამ შემთხვევაში, მედიატორს ყველაზე ავტორიტარული როლი აქვს, რადგან ეს მოდელი გადაწყვეტილების მიღებაში აქტიური მონაწილეობის ყველაზე მეტ შესაძლებლობას ტოვებს. ამ მოდელის შემთხვევაში, მედიატორი ისმენს ორივე პოზიციის მოსაზრებას და გამოაქვს ვერდიქტი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მოდელი „არბიტრი“: არბიტრს ასევე საკმაო უფლებამოსილებები აქვს – ის ისმენს მოსწავლეების პოზიციებს, განიხილავს მათ მხარეებთან ერთად ერთიან დისკუსიაში და იღებს გადაწყვეტილებას, რომლის აღსრულებაც სავალდებულოა. მოცემული მოდელი ოპტიმალურია შემდეგ შემთხვევებში:

- პედაგოგს საქმე აქვს კონფლიქტთან, რომელიც სწრაფად მწვავდება;

---

6 R. G. Melnichenko, *Mediacija* (Moscow: Dashkov and co., 2014), 192.

- კონფლიქტი მიმდინარეობს ექსტრემალურ ვითარებაში;
- არ არის საკმარისი დრო კონფლიქტური სიტუაციის დეტალური განხილვისთვის;
- კონფლიქტი მცირეხნიანი და უმნიშვნელოა.

მოდელი „შუამავალი:“ ეს მოდელი მედიატორის უფრო ნეიტრალურ როლს მოიაზრებს, როდესაც სპეციფიკური ცოდნის დახმარებით, მედიატორი ჩართულია კონფლიქტის მოგვარების კონსტრუქციული გზების ძიებაში, საბოლოო გადაწყვეტილებას კი მოსწავლეები იღებენ. კონფლიქტური სიტუაციების რეგულაციისას პედაგოგმა შეიძლება მედიაციის ამ მოდელს მიმართოს შემდეგ შემთხვევებში:

- თუ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს აკავშირებთ ხანგრძლივი, რთული ურთიერთობა;
- თუ ოპონენტებს კარგი კომუნიკაციური უნარები აქვთ;
- თუ არ არსებობს პრობლემის გადაჭრის მკაფიო კრიტერიუმი.

მოდელი „დამხმარე:“ განხილვის პროცესის სრულყოფის მიზნით, პედაგოგი ერთვება მოლაპარაკებაში, ითავსებს შეხვედრების ორგანიზატორის ფუნქციას, არ ერევა უშუალოდ პრობლემასთან დაკავშირებულ პოლემიკაში და არ იღებს მონაწილეობას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში.

მოდელი „დამკვირვებელი:“ ამ მოდელის პირობებში, კონფლიქტის ზონაში შეხვედრებზე დასწრებით, პედაგოგი აკავებს მოწინააღმდეგე მხარეებს აქამდე მიღწეული შეთანხმებების დარღვევისა და აგრესიისგან. მხოლოდ დამკვირვებლის როლი აქვს მოდერატორს, რომლის დასწრებაც ქმნის საჭირო გარემოს მოლაპარაკების გზით პრობლემის გადაწყვეტისთვის.

დასკვნა

ამრიგად, პედაგოგი მედიატორის მუშაობა კონფლიქტურ სიტუაციაში მყოფ მოსწავლეებთან შეიძლება ორგვარად იყოს ორგანიზებული:

მოლაპარაკების ორგანიზება და ჩატარება, რომლის მიმდინარეობის დროსაც მხარეები შეიმუშავებენ შეთანხმებულ გადაწყვეტილებას. ამ დროს კონფლიქტის გადაჭრა ხდება ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. დისკუსიის წარმოება „ტრიადის“ პრინციპით (ოპონენტი – მედიატორი – ოპონენტი) მონაწილეებს უფრო დამთმობებს ხდის, რადგან საკუთარ კომპრომისებს ისინი განიხილავენ როგორც ჟესტს მედიატორის და არა ოპონენტის მიმართ.

მოსწავლეების მორალურ-ფსიქოლოგიური დახმარება. ამ დროს მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთობის აღდგე-

ნა. წარმატების შემთხვევაში, მედიატორი ახერხებს ყოფილი ოპონენტების ურთიერთობის ახალი, ეფექტური კომუნიკაციური საფუძვლის შექმნას.

პოსტკონფლიქტური პერიოდი მონაწილეების განცდებით, საკუთარი ქცევის გააზრებით ხასიათდება. ხდება თვითშეფასების, თვითაღქმის, პარტნიორთან ურთიერთობის გადაფასება. პოსტკონფლიქტური სტრესის ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად პედაგოგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს მომხდარი მოვლენების თვითკრიტიკული, ანალიტიკური ხედვის ჩამოყალიბებაში, რათა მოხდეს ურთიერთობების ნორმალიზება და ჯანსაღი ფსიქიკური მდგომარეობის შენარჩუნება[7].

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

Chumikov, A. N. *Negotiating: strategy, communication, facilitation, mediation*. Moscow: Nikos, 1997.

Lavrova, N. M. and V. V. Lavrov. *Mediation. Responsible decision-making*. Moscow: Consulting and System Solutions Institute, 2013.

Melnichenko, R. G. *Mediacija*. Moscow: Dashkov and co., 2014.

Pel, M. *Verwijzen naar mediation: praktijkgids voor een effectief mediationvoorstel*. Den Haag: Sdu Uitgevers, 2008.

Prein, Hugo. *Mediation in praktijk: beroepsvaardigheden en interventietechnieken*. Netherlands: Boom, 2010.

Voskobitova, L. A., I. N. Lukyanova and L. P. Mikhailova, Eds. *Attorney: skills of professional experience*. Moscow: Wolters Kluwer, 2016.

7 N. M. Lavrova and V. V. Lavrov, *Mediation. Responsible decision-making* (Moscow: Consulting and System Solutions Institute, 2013), 224.

მედიაციის პროცესში გამოვლენილი სტრესი და მისი შემცირების გზები

დავით ქათამაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი, მოწვეული მასწავლებელი
datoqatamadze@gmail.com

აბსტრაქტი

მედიაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ორი ან რამდენიმე მხარე, მედიატორის დახმარებით, ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას ურთიერთშეთანხმებით. ეს პროცესი არის სისტემატიზირებული და ითვალისწინებს მონაწილე მხარეთა ინტერესებს.
მოცემული სტატიის მიზანია, გავიგოთ, მედიაციის პროცესში როგორ ვლინდება სტრესი და როგორ შეიძლება მისი შემცირება. მოსალოდნელია, რომ მედიაციის საწყის ეტაპზე სტრესის დონე მაღალია და მედიატორს შეუძლია შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფით მხარეთა ნდობის მოპოვება და დაძაბულობის შემცირება. არსებობს სტრესთან გამკლავების სხვადასხვა მეთოდი, რომელთა გამოყენებაც მედიატორს დაეხმარება პროცესის წარმატებით წარმართვაში.
შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თუკი მხარეები მედიაციის თითოეულ ეტაპზე თავს უფრო კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნობენ, პროცესის წარმატებით დასრულების შანსი გაიზრდება. მედიაციის პროცესი მაშინ ითვლება დასრულებულად, როცა მხარეები შეთანხმდებიან. იმისათვის, რომ მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას, საჭიროა მათ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე ზრუნვაც. ეს უკანასკნელი კი სწორედ მედიატორის მოვალეობა უნდა იყოს.

საკვანძო სიტყვები: მედიაცია; მედიატორი; სტრესი; სტრესის შემცირება მედიაციის პროცესში.

Abstract

Mediation is the process by which two or more parties, with the help of a mediator, try to reach an agreement. This process is systematized and takes into account the interests of the participating parties.
The purpose of this article is to understand how stress is manifested in the mediation process and how it can be reduced. It is expected that the stress level in the initial stage of mediation is high and the mediator can gain the trust of the parties by providing an appropriate environment and reduce tension. There are various methods of dealing with stress, the use of which will help the mediator to manage the process successfully.
We can assume that if the parties feel more comfortable and safe at each stage of mediation, the chances of a successful completion of the process will increase. The mediation process is considered complete when the parties agree. In order for the parties to reach an agreement, they also need to take care of their psychological well-being. The latter should be the duty of a mediator.

Keywords: mediation; mediator; stress; stress reduction in the mediation process.

შესავალი

სტრესი – ადამიანის ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით, კონფლიქტებით და სწრაფად ცვალებადი პიროვნული, ოჯახური თუ სოციალური მოვლენებით. ეს ყოველივე მოითხოვს ადამიანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალების მობილიზებას არსებულ სირთულეებთან გასამკლავებლად.

„სტრესი“ არის ინგლისური სიტყვა (stress) და ნიშნავს „დაძაბულობას“. ის არის ადამიანის ორგანიზმის არასპეციფიკური რეაქცია ძლიერ გამღიზიანებელზე, როგორც ფიზიკურზე, ასევე ფსიქიკურზე. ეს არის მთელი ორგანიზმის, მათ შორის, ფსიქიკის მდგომარეობა.

თანამედროვე ცხოვრებაში მეცნიერული ტერმინი „სტრესი“ ჩვენი ყოველდღიურობის მეგზური გახდა და ხშირად გვჭირდება მასთან გამკლავებისა და თავის არიდების სტრატეგიები. ხშირად გაიგებთ: „სტრესი მაქვს“, „დავისტრესე“, „ეს საქმიანობა ჩემთვის ძალიან სტრესულია“ და ა. შ. თუ სიტუაცია, რომელშიც ადამიანი ხვდება, თავისი სირთულითა და სიმძიმით აღემატება პიროვნების შინაგან ძალებს – ვითარდება დეზაპტაცია ანუ ადეკვატური შეგუების დარღვევა.

ამ დროს, ადამიანის ორგანიზმში იზრდება ადრენალინისა და კორტიზოლის გამომუშავება, რის შედეგადაც სისხლში მატულობს გლუკოზის დონე, ვითარდება ტაქიკარდია, არტერიული ჰიპერტენზია, თავის ტკივილი, რასაც ემატება ე.წ. ავტონომიური (ვეგეტატიური) ნერვული სისტემის სიმპტომატიკა და ხშირი პანიკური შეტევები უჰაერობით, თავბრუსხვევით, ყელში ბურთის გაჩხერის შეგრძნებით, შიშისა და უსასოობის განცდით[1].

სტრესის დროს მომატებული სიფხიზლე ეხმარება ადამიანს მის მართვასა და მასთან გამკლავებაში.

ფიზიოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და მედიცინაში განიხილავენ სტრესის დადებით (ეუსტრესი) და უარყოფით (დისტრესი) ფორმებს.

სტატიაში განვიხილავთ სტრესის უარყოფით (დისტრესი) ფორმას, მედიაციის პროცესში სტრესის გამომწვევ მიზეზებს და მათი გადაწყვეტის გზებს.

ვინაიდან მუდმივმა უარყოფითმა რეაქციამ გამოწვევებზე შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯანმრთელობასა და ბედნიერებაზე, საჭიროა მისი გამოწვევის შემცირება.

გამოყოფენ სტრესის ორ სახეობას. ესაა: **მწვავე** და **ქრონიკული**.

მწვავე სტრესი: ამ ტიპის სტრესი მოკლევადიანი და, როგორც წესი, სტრესის უფრო გავრცელებული ფორმაა. მწვავე სტრესი ხშირად ვითარდება, როდესაც ადამიანები განიხილავენ ბოლო პერიოდში მომხდარ მოვლენათა ზეწოლას ან უახლოეს მომავალში შესაძლო მნიშვნელოვან გამოწვევებს. სტრესი შემცირდება ან გაქრება მას შემდეგ, რაც ადამიანი გადაწყვეტს არსებულ გამოწვევებს.

მწვავე სტრესი არ იწვევს იმავე ზიანს, როგორც ხანგრძლივი, ქრონიკული სტრესი. მოკლევადიანი ეფექტები მოიცავს თავის ტკივილს და კუჭის პრობლემებს, ასევე, დისტრესის ზომიერ რაოდენობას.

სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ტიპის სტრესი შეიძლება გამოვლინდეს მედიაციის საწყის ეტაპზე[2].

ქრონიკული სტრესი: ამ ტიპის სტრესი გრძელდება ხანგრძლივი პერიოდით და უფრო დამაზიანებელია.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში იზოლაციაში ყოფნა, მიმდინარე სიღარიბე, არასრულფასოვანი ოჯახი ან წარუმატებელი ქორწინება არის სიტუაციების მაგალითები, რამაც შეიძლება ქრონიკული სტრესი გამოიწვიოს. ეს ხდება, როდესაც ადამიანი ვერ ხედავს გზას, რომ თავიდან აიცი-

---

1 A. Felman, „Why Stress Happens and How to Manage It“, *Medical News Today*, (11.03.2020), https://www.medicalnewstoday.com/articles/145855 (20.11.2020).

2 Felman, „Why Stress Happens and How to Manage It“.

ლოს სტრესები და გადაჭრას პრობლემები. ადრეულ ასაკში ტრავმულმა გამოცდილებამ შეიძლება ასევე ხელი შეუწყოს ქრონიკულ სტრესს[3].

მედიაცია – პროცესი, მისი სახელწოდების მიუხედავად, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით[4].

მედიაციას ფართოდ გამოიყენებენ არამხოლოდ სასამართლო, არამედ სხვადასხვა სფეროს კერძო პრაქტიკაში კონფლიქტური სიტუაციების მოსაგვარებლად.

წარმატებული მედიაციის პროცესი რამდენიმე ძირითად პრინციპს ეფუძნება. ერთ-ერთი მათგანია ნებაყოფლობითობა. ეს ნიშნავს, რომ მედიაციაში მხარეები საკუთარი სურვილით ერთვებიან. ეს კი ერთგვარად წარმატების შანსს ზრდის. სავარაუდოა, რომ თუკი მხარეები წინასწარ თანხმდებიან მედიაციაში მონაწილეობაზე, მათ აქვთ დავის მშვიდობიანად მოგვარების სურვილი და ნაკლებად განიცდიან სტრესს. თუმცა, ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მედიაციის პროცესი მათთვის სიახლეა და დასაწყისში შესაძლოა გარკვეულ დისკომფორტს გრძნობდნენ.

ამ დროს მნიშვნელოვანია მედიატორის პროფესიონალიზმი და გამოცდილება, რომ მხარეებისთვის შექმნას სტრუქტურიზებული სივრცე, რომელიც დაეხმარება მათ, თავი უკეთ იგრძნონ.

მედიატორი – მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და თანახმაა, წარმართოს მედიაცია, მიუხედავად მისი სტატუსისა და არჩევის/დანიშვნის წესისა[5].

მედიატორის შერჩევის დროს, მხარეებმა, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ შეიძლება გაითვალისწინონ შემდეგი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები:

ა) მედიაციის პროცესის ან მოლაპარაკების სხვა ისეთი პროცესის წარმართვის გამოცდილება, რომლის შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონს, საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს;

ბ) სასამართლო წარმოების ან დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;

---

3 იქვე.

4 საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ* №4954-Iს, (თბილისი: სსმ, 27/09/2019), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1 (11.11.2020).

5 იქვე.

გ) დავის შინაარსის შესაბამის სამართლებრივ საკითხებზე მუშაობის გამოცდილება;
დ) მედიაციის აღიარებული ორგანიზაციის მიერ აკრედიტაცია;
ე) მედიაციის ეფექტიანად წარმართვა, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზის მოძიება და სხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, მედიატორის საქმიანი რეპუტაცია და ავტორიტეტი;
ვ) სხვა საკვალიფიკაციო კრიტერიუმი, მედიაციის თაობაზე შეთანხმების შესაბამისად[6].

მედიატორს კვალიფიკაციისა და ცოდნის გარდა სჭირდება განსაკუთრებული პიროვნული თვისებები, რადგან მედიატორი არის კონფლიქტში ჩართული მესამე მხარე, რომლის მთავარ მიზანსა და ფუნქციას წარმოადგენს კონფლიქტის მოგვარება მოლაპარაკების გზით. ის ეხმარება კონფლიქტის მონაწილეებს, უკეთ გაიაზრონ საკუთარი და სხვების ინტერესები და დაინახონ დავის გადაჭრის კონსტრუქციული გზა[7].

ნებისმიერი მედიატორი ვალდებულია, იყოს თანმიმდევრული საკუთარ ქმედებებში და დაიცვას პროფესიული ეთიკა, რომლის ძირითადი მოთხოვნებიც ჩამოყალიბებულია მედიატორთა ქცევის ევროპულ კოდექსში და სრულად ასახავს იმ პიროვნულ და პროფესიულ სტანდარტს, რომლის დაცვაც აუცილებლობას წარმოადგენს[8].

მედიაციის დაწყება

იმისათვის, რომ მედიაცია დაიწყოს, საჭიროა სხვადასხვა პირობების არსებობა:

1. მხარეები უნდა შეთანხმდნენ დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტაზე ანუ თანხმდებიან მედიაციაში ჩართვაზე;
2. სიტყვიერი შეთანხმების შემდეგ, მედიატორი წერილობით ადასტურებს მხარეების თანხმობას მედიაციაში ჩართვასთან დაკავშირებით;
3. მხარეს უფლება აქვს, მედიაციის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, სურვილის შემთხვევაში, უარი თქვას მასში მონაწილეობაზე ანუ დატოვოს მედიაცია.

---

6 საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ* №4954-Iს, (თბილისი: სსმ, 27/09/2019), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1 (11.11.2020), 2.

7 იქვე, 2.

8 Hugo Prein, *Mediation in praktijk: beroepsvaardigheden en interventietechnieken* (Netherlands: Boom, 2010).

მედიაციის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ორი კომპონენტი: **მედიატორის შესავალი სიტყვა** და **მხარეების წარდგენა**.

1. ***მედიატორის შესავალი სიტყვა.*** მედიატორი აცნობს მონაწილე მხარეებს მედიაციის პროცესის არსს, ძირითად პრინციპებს (ნებაყოფლობითობა, ობიექტურობა, კონფიდენციალურობა), საკუთარ როლსა და ფუნქციას მიმდინარე პროცესში; ეკითხება, აქვთ თუ არა მათ საკმარისი დრო და რესურსი მოლაპარაკების წარმოებისთვის. აუცილებელია დაზუსტება, მონაწილეობს თუ არა პროცესში კონფლიქტში დაინტერესებული ყველა მხარე, არსებობს თუ არა ვინმეს მოწვევის აუცილებლობა. ასევე, უნდა განიხილონ თითოეულ მათგანთან ინდივიდუალური გასაუბრების შესაძლებლობა. მედიატორის შესავალი სიტყვა, რომელიც სტრუქტურირებული და დეტალურად დამუშავებული უნდა იყოს, დაახლოებით 10-15 წუთი გრძელდება და პროცესის ეფექტურ დასაწყისს განაპირობებს.
2. ***მხარეების წარდგენა.*** მედიაციის ამ ეტაპზე კონფლიქტურ სიტუაციაში ჩართულ ყველა მხარეს შესაძლებლობა ეძლევა, საკუთარი პოზიციიდან ისაუბროს, თუ რაში ხედავს სადაო სიტუაციის ძირითად ასპექტებს. როგორც წესი, საკუთარი პოზიციის გაცნობას იწყებს ის მხარე, რომელმაც მიმართა მედიაციის სერვისს დახმარებისთვის. თითოეული მხარის მოხსენებისას მედიატორი აქტიური მსმენელის როლშია, ინიშნავს მნიშვნელოვან მომენტებს, საჭიროების შემთხვევაში სვამს დამაზუსტებელ შეკითხვებს. მედიატორი ასევე ზრუნავს აუცილებელი წესების დაცვაზე – მხარეები არ აწყვეტინებენ ერთმანეთს საუბარს, ყურადღებით უსმენენ ოპონენტის პოზიციას. თითოეული მოხსენების ბოლოს მედიატორი მოკლე შეჯამებას აკეთებს, სესიის ბოლოს კი აზუსტებს, რამდენად გამოხატეს ოპონენტებმა საკუთარი პოზიციები, სურთ თუ არა რაიმეს დამატება.

მედიაციის პროცესი

- მედიაციის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ მედიატორმა იზრუნოს მხარეების სტრესის დონის შემცირებაზე. პირველ რიგში, მან უნდა განუმარტოს მხარეებს მედიაციის პროცესის მთავარი პრინციპები. მედიატორის როლი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მედიაციის შესაძლო შედეგები, საერთო წესები, რომელზე დაყრდნობითაც იხელმძღვანელებენ; ასევე, მხარეები უნდა შეთანხმდნენ წერილობით კონტრაქტზე. საწყის ეტაპზევე, მხარეები უნდა შეთანხმდნენ მედიატორის ანაზღაურებაზეც.

- მედიაციის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის. მთავარია, საბოლოო ჯამში მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას.

მედიატორს შეუძლია, თუ საჭიროდ ჩათვლის, მხარეებთან შეხვედრები ინდივიდუალურადაც დანიშნოს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა მედიატორს სურს უფრო დეტალური და სიღრმისეული ინფორმაციის მიღება. ინდივიდუალური გასაუბრების დროს შეიძლება თავი იჩინონ ახალმა გარემოებებმა, რომელთა განხილვაც მხარეებს არ სურდათ ოპონენტის თანდასწრებით. ამ დროს შეიძლება მედიატორმა შეამციროს სტრესის დონე. მხარეს ეძლევა საშუალება, უფრო თავისუფლად ისაუბროს საკუთარ პოზიციასთან დაკავშირებით. მედიატორი ეხმარება კონფლიქტის მონაწილეს მთლიანი სურათის დანახვაში, საკუთარი პოზიციის გვერდიდან შეფასებაში, ოპონენტის შეხედულებების, არგუმენტებისა და გრძნობების გააზრებაში. ინდივიდუალური გასაუბრებების პროცესში მედიატორი ორიენტირებულია საერთო ინტერესებისა და შეხედულებების პოვნაზე ოპონენტებს შორის, რაც პრობლემის ეფექტურად გადაჭრაში დაეხმარება.

- მედიატორი ეხმარება მხარეებს, მიაღწიონ შეთანხმებას და გადაწყვიტონ დავა თავისუფლად. მედიატორი, აგრეთვე, ორივე მხარეს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას მიღებული შედეგის შესახებ.
- მედიატორს არ აქვს უფლება, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოს რომელიმე მხარის სასიკეთოდ. მედიაციის პროცესი სწორედ იმით განსხვავდება სასამართლო პროცესისგან, რომ აქ მხარეები თანაბარ პოზიციაში იმყოფებიან, რათა ორივე მხარის ინტერესები დაცული და მიღებული იყოს. მედიატორი კი არის ის პიროვნება, რომელიც უზრუნველყოფს ამას. მას შეუძლია მხარეები დავის მოგვარების მიზნით მოარიგოს და ამასთანავე მხარეებმა თავი თავისუფლად და დამოუკიდებლად იგრძნონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ხშირად მხარეები პირდაპირ ან ირიბად ითხოვენ მედიატორისგან მათ ნაცვლად გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ მედიატორმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალური პოზიცია და მხარეებს დაეხმაროს, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება.

მედიაციის დასრულება

მედიაცია დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს:

- თუ მხარეები წერილობით შეთანხმდებიან დავის დასრულებაზე;
- ერთ-ერთი ან თუ ორივე მხარე გადაწყვეტს მედიაციის შეწყვეტას;

- თუ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად მედიატორი გადაწყვეტს, რომ მედიაციის გაგრძელება არაგონივრულია[9].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტრესი არის ადამიანის გარემოსთან ადაპტაციის პროცესის ნაწილი და ის მცირდება მაშინ, როცა გარემო ნაკლებად საშიში ხდება. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მედიატორმა მიაწოდოს მხარეებს სრული და ამომწურავი ინფორმაცია მედიაციის პროცესის შესახებ. თუ მხარეები ინფორმირებულები იქნებიან, მაშინ ისინი შეძლებენ პროცესში ჩართვას.

ზოგადად, კონფლიქტში მონაწილეობა და შუამავლობაში მონაწილეობაც კი შეიძლება იწვევდეს ფიზიოლოგიურ სტრესზე რეაგირებას. რა არის ეს პასუხი და რა იწვევს მას? როგორ მოქმედებს სტრესის რეაგირება განსჯაზე, გადაწყვეტილების მიღებასა და მეხსიერებაზე? რა შეიძლება გააკეთონ შუამავლებმა სტრესზე მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით? ამ კითხვებზე პასუხის გაცნობა დაგეხმარებათ უფრო ეფექტური მედიაციის ჩატარებაში[10].

სტრესი და მედიაციის პროცესი

სტრესის ორი ჰორმონი, რომელიც ვლინდება კონფლიქტურ სიტუაციაში, არის ადრენალინი და კორტიზოლი. ჩვენ ვცნობთ ადრენალინის რეაქციას, რადგან ვგრძნობთ გულისცემის გახშირებას და ოფლიანობას. კორტიზოლი კი უფრო დახვეწილია და ჩვენ, როგორც წესი, ვერ ვგრძნობთ მას და მის გავლენას ჩვენი განსჯის პროცესზე[11].

ადრენალინი ძალიან სწრაფად ვლინდება და სწრაფადვე მცირდება, მაგრამ კორტიზოლი იყენებს სხეულში განსხვავებულ, ნელ გზას – სისხლის ნაკადის გავლით. ეს ნიშნავს, რომ მაშინაც კი, როდესაც კორტიზოლი სტრესის გამოწვევის შემდეგ იწყებს ვარდნას, ის შეიძლება დარჩეს ორგანიზმში ორი საათის ან მეტი დროის განმავლობაში. როდესაც ადამიანები მოკლე დროში განიცდიან მრავალ სტრესულ სტიმულს, კორტიზოლის დონე იმატებს, უფრო და უფრო მაღალი ხდება[12].

---

9 საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ* №4954-Iს, (თბილისი: სსმ, 27/09/2019), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1 (11.11.2020), 2.

10 Jill Tanz, „Using Neuroscience to Understand Stress and Improve Mediation", *Mediate*, (February 2019), https://www.mediate.com/articles/tanz-using-neurocience.cfm (20.11.2020).

11 Tanz, „Using Neuroscience to Understand Stress and Improve Mediation".

12 იქვე.

სტრესის საპასუხო რეაქცია 600 მილიონი წლის წინ განვითარდა თევზებში, რათა ორგანიზმებს დაეხმარონ, გაუმკლავდნენ საფრთხეებს. ის ამზადებს სხეულს საბრძოლველად, ფრენისთვის ან გაყინვისთვის. კორტიზოლის ზომიერი დონე ეხმარება ადამიანებს ფოკუსირებაში და ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გამკაცრებაში. მაგრამ როდესაც კორტიზოლის დონე ამ დადებითი (ეუსტრესი) ეტაპის მიღმა იმატებს და უარყოფით გავლენას ახდენს გონებასა და სხეულზე (დისტრესი), იქმნება პრობლემები[13].

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ იმ სხეულებრივ, ემოციურ და ქცევით რეაქციებზე, რომელსაც შეიძლება მედიაციის პროცესში ჩართული მხარეები ავლენდნენ სტრესის დროს. სტრესისას ჩვენთვის საინტერესო **სხეულებრივი გამოვლინება** შეიძლება იყოს სისხლის წნევისა და პულსის მომატება, სუნთქვის გახშირება – ამ დროს ადამიანს უჭირს ყურადღების კონცენტრირება მნიშვნელოვან ინფორმაციაზე, მაგალითად, მედიატორის ან მეორე მხარის მოსმენა. ამ ყოველივემ კი შეიძლება იმოქმედოს მედიაციის პროცესზე.

მედიაციის პროცესში წამყვანი უნარია ემოციური უკუკავშირი, ამიტომ ყურადღება უნდა მივაქცოთ სტრესზე ისეთ **ემოციურ რეაქციებს**, როგორიცაა ბრაზი, განწყობის ცვალებადობა, გაღიზიანება, მოუსვენრობა. მედიაციის პროცესში არასწორად გაგებულმა ან გადაცემულმა ემოციურმა რეაქციებმა შეიძლება მხარეებს შორის კონფლიქტი უფრო გაამწვავოს. ამიტომ მედიატორმა უნდა შეძლოს ამ ნიშნების დაფიქსირება და მათი მართვა.

სტრესმა ასევე, შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ქცევითი რეაქციებიც, მაგალითად, მოულოდნელი ბრაზის გამოვლინება ან კომუნიკაციაზე უარის თქმა, რაც მედიაციის პროცესს გაართულებს. ამ დროს მედიატორს შეუძლია, მოუწოდოს მხარეს დამშვიდებისკენ ან შესთავაზოს მხარეებს რამდენიმე წუთით შესვენებაზე გასვლა.

რა შეიძლება გააკეთოს მედიატორმა სტრესის შესამცირებლად?

- დაიწყეთ მედიაციები მცირე ჯგუფის შეხვედრებით თითოეულ მხარესთან ერთობლივი სხდომის დაწყებამდე. „ადრეული კოკუსით“ დაწყება ხელს შეუწყობს მხარეების სტრესის შემცირებას და მედიატორი უკეთესად გაიგებს მხარეების ამჟამინდელ ემოციურ მდგომარეობებს. მოკლევადიანი 10-15 წუთიანი შეხვედრები თითოეულ

13 იქვე.

მხარესთან უშუალოდ ერთობლივი შეხვედრის დაწყებამდე საშუალებას აძლევს მედიატორს, შეაფასოს მხარეთა ემოციური მდგომარეობა და დაეხმაროს მათ ამ ემოციების გააზრებასა და მოგვარებაში. ადრეული კოკუსი მხარეებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ თავიანთ გარემოცვას და მედიატორს. მხარეებს შეუძლიათ განიხილონ მათთვის საინტერესო თემები მედიაციის პროცესთან დაკავშირებით. ეს მათ სიტუაციის გაკონტროლებაში ეხმარება. სიტუაციის კონტროლის შესაძლებლობა ხელს უწყობს ადამიანს დამშვიდებაში. ეს ასევე აძლევს მედიატორს შესაძლებლობას, მოიპოვოს მხრეების ნდობა და შექმნას უსაფრთხო და მშვიდი გარემო.

- მეორე კარგი მეთოდია სტრესისა და საკუთარი ემოციური მდგომარეობის მიღება და ნორმალიზება. მედიატორს უნდა შეეძლოს საკუთარი და სხვისი ემოციების აღიარება, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია სტრესის აღიარებაც. მედიაციის მხარეები იმყოფებიან იმ სიტუაციაში, როდესაც სტრესის მრავალი გამომწვევი მიზეზი იქნება: უცნობ ადგილას მისვლა, პირველად შუამავალთან შეხვედრა და მათ მოწინააღმდეგესთან შეხვედრის მოლოდინი. მედიატორებს შეუძლიათ, სტრესის დასაძლევად შესთავაზონ მეთოდი, როგორიცაა ღრმად ჩასუნთქვა ან გამოაცხადონ შესვენება.
- წაახალისეთ მხარეები, ისაუბრონ საკუთარ ემოციურ მდგომარეობაზე, მაგრამ არ შეაფასონ ის. გამოკვლევებით დასტურდება, რომ ძლიერი ემოციები ყველაზე ეფექტურად იკლებს, როდესაც მხარე ემოციას ასახელებს, ვიდრე შუამავლის მითითების დროს. მედიატორს შეუძლია დასვას კითხვა: „რა ემოციას გრძნობთ ახლა?“
- დარწმუნდით, რომ მხარეებს აქვთ საკმარისი დრო ძლიერი ემოციებისგან თავის დასაღწევად, სანამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაერთვებიან. უმჯობესია, მხარეებმა შეძლონ საკუთარი ემოციური მდგომარეობის რეგულირება, სანამ მიიღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. სტრესის ოპტიმალური დონე ეხმარება მხარეებს ყურადღების მობილიზირებაში, მაგრამ ზედმეტი სტრესი ართულებს სხვადასხვა შეხედულების ეფექტურად მოსმენას, ვარიანტების გადაფასებას და გადაწყვეტილების მიღებას. მედიატორებმა დრო უნდა გამოყონ კოკუსისა და შესვენებებისთვის, რათა დარწმუნდნენ, რომ დაძაბულ მხარეებს აქვთ დრო დასამშვიდებლად, სანამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გადავლენ.
- <u>სტრესის მინიმუმამდე დაყვანა</u>. ზოგიერთ ლიტერატურაში განხილულია, რომ ძლიერი ემოციების ვენტილაციამ (გამოხატვა) შეიძლება გამოიწვიოს სტრესის რეაქცია და კორტიზოლის დონის მომატება, რაც ნაკლებად სავარაუდოა. მიუხედავად იმისა, რომ ვენტილაციას ზოგჯერ შეუძლია გამოავლინოს ძირითადი ინტერესები,

ეს, სავარაუდოდ, იწვევს თავდაცვით რეაგირებას მოწინააღმდეგე მხარეზე და იწვევს სტრესის დონის მომატებას ყველა მონაწილე მხარისთვის. მედიატორებმა არ უნდა წაახალისონ ვენტილაცია, მაგრამ როდესაც მხარე გამოხატავს ძლიერ ემოციებს და მტკიცედ გადაწყვეტს, ალაპარაკდეს, უმჯობესია, ეს გაკეთდეს შუამავლის კოკუსით, ერთობლივი სხდომის დაწყებამდე. ეს საშუალებას მისცემს მედიატორს, შეხედოს მხარის ემოციურ დონეს, ებრძოლოს მას და შეამციროს სტრესის ჰორმონის მაღალი დონე პროცესის დაწყებამდე.

დასკვნა

საქართველოში 2019 წელს ამოქმედდა კანონი მედიაციის შესახებ, რაზე დაყრდნობითაც შეიქმნა მედიატორთა ერთიანი რეესტრი და დამტკიცდა მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა. სწორედ ამიტომ შეიძლება სტატიაში განხილული საკითხები საინტერესო აღმოჩნდეს მოქმედი და მომავალი მედიატორებისთვის ან მედიაციით დაინტერესებული პირებისთვის. სტატიაში საუბარია სტრესის თავისებურებებზე და მათ როლზე მედიაციის დროს. ასევე, რა სახით შეიძლება გამოვლინდეს სტრესი მედიაციის მსვლელობისას და რამდენად მნიშვნელოვანია მედიატორის როლი სტრესული სიტუაციის მართვაში. სტატიის ბოლოს მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუძლია მედიატორს სტრესის მართვა მედიაციის პროცესში. მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინება მას დაეხმარება შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმიანობის შემსუბუქებაში.

ვინაიდან მედიაცია ჩვენი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ფენომენია, სტატიაში განხილული საკითხები საინტერესო იქნება, როგორც პროფესიონალებისთვის, ასევე, მედიაციით დაინტერესებული პირებისთვის.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

Felman, A. „Why Stress Happens and How to Manage It“. *Medical News Today*, (11.03.2020). https://www.medicalnewstoday.com/articles/145855 (20.11.2020)

Kirkpatrick, G. J. „Mediator stress: The general and specific causes, and ways of coping“. *Emotional First Aid: A Journal of Crisis Intervention* 1 (2), (1984): 77-84.

Mehta, Steve. „Mediating Madness – Proven Stress Reduction Strategies From a Mediator“. *Mediate,* (May 2009). https://www.mediate.com/articles/MehtaSbl20090518A.cfm (20.11.2020).

Pel, M. *Verwijzen naar mediation: praktijkgids voor een effectief mediationvoorstel*. Den Haag: Sdu Uitgevers, 2008

Prein, Hugo. *Mediation in praktijk: beroepsvaardigheden en interventietechnieken*. Netherlands: Boom, 2010.

Segal, Jeanne, Melinda Smith, Robert Segal and Lawrence Robinson. „Stress Symptoms, Signs, and Causes: Improving Your Ability to Handle Stress“. *HelpGuide*, (May 2017). www.helpguide.org/articles/stress/stress-symptoms-signs-and-causes.htm (20.11.2020).

Tanz, Jill. „Using Neuroscience to Understand Stress and Improve Mediation“. *Mediate,* (February 2019). https://www.mediate.com/articles/tanz-using-neurocience.cfm (20.11.2020).

განქორწინება, ბავშვი და საოჯახო მედიაცია

ქეთევან ბერიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
k.beridze@bsu.edu.ge

რუსუდან კეჭაყმაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
r.kechakmadze@bsu.edu.ge

აბსტრაქტი

ოჯახურ კონფლიქტებს თან ახლავს ემოციური დაძაბულობა, რამაც განსაზღვრა მოთხოვნა მედიაციაზე, როგორც დავის გადაწყვეტის უფრო მოქნილ და არაფორმალურ საშუალებაზე, რომელიც ორიენტირებულია მხარეთა ინტერესების დაკმაყოფილებაზე. ამავე დროს, ოჯახურ მედიაციას გააჩნია რიგი თავისებურებები, რაც მას განასხვავებს მედიაციისგან სამოქალაქო-სამართლებრივ ან შრომით ურთიერთობათა სფეროში.

მოცემული სტატიის მიზანია, გააცნოს ოჯახებთან მომუშავე სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებს და ასევე, სხვა პროფილის პროფესიონალ მედიატორებს ოჯახური მედიაციის ზოგიერთი საკითხი. კერძოდ, საუბარია მედიაციის წარმართვისთვის საჭირო პირობებზე, კო-მედიაციაზე და იმ გარემოებებზე, თუ როდისაა კო-მედიაციის ჩატარება ყველაზე ეფექტური, კო-მედიაციის გამოყენებაზე ტრანსმოსაზღვრე ოჯახურ დავებში.

ასევე, სტატიაში საუბარია ოჯახური მედიაციის ისეთ მნიშვნელოვან მხარეზე, როგორიცაა ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა და ბავშვების მონაწილეობა მედიაციის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ოჯახური მედიაცია; ბავშვის ინტერესების დაცვა; კო-მედიაცია; ბავშვის მონაწილეობა მედიაციაში.

Abstract

Emotional tension caused by family conflicts showed need for mediation, as of more flexible and informal way to resolve disputes, orientated on the interests of both parties. At the same time, family mediation has a number of features that distinguish it from civil and labor mediations.
The purpose of this article is to introduce some issues of family mediation to specialists of different professions working with families and also to professional mediators of other profiles. In particular, we talk about the necessary conditions for mediation, co-mediation, circumstances for effective mediation, co-mediation in cross-border family disputes.
The article also discusses such important aspects of family mediation as the protection of children's rights and interests and the participation of children in the mediation process.

Key words: Family mediation; Protection on children's rights; co-mediation; involvement of children in mediation

შესავალი

საქართველოში მედიაციის განვითარება დაიწყო დაახლოებით ორი ათწლეულის წინ. განხორციელებული ცვლილებების შედეგად კანონმდებლობაში გაჩნდა სანოტარო, სასამართლო, სამედიცინო, საგადასახადო, საოჯახო მედიაცია. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარება, ძირითადად, სახელმწიფოს ნებაა და მისი განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს სასამართლო სისტემის განტვირთვა[1].

რაც შეეხება საოჯახო მედიაციას, მისი განვითარება გამოიწვია იმან, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გაიზარდა განქორწინებათა რიცხვი. მაგალითად, სტატისტიკის თანახმად, 1867 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში განქორწინებათა წლიური რაოდენობა იყო 10 000-ზე ნაკლები. 1967 წელს ამ მონაცემმა შეადგინა 500 000, ხოლო 1981 წლისთვის ეს რიცხვი გაორმაგდა. თანამედროვე მონაცემებით, ქორწინების 45% სრულდება განქორწინებით[2].

---

1 ნ. ლიპარტია, „საოჯახო მედიაცია – საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება", *სამართლის ჟურნალი* 2 (თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა, 2015), 80.

2 ლიპარტია, „საოჯახო მედიაცია – საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება", 81.

შესაბამისად, საოჯახო მედიაცია პირველად გაჩნდა აშშ-ში, ჯერ კიდევ 1960-იანი წლების ბოლოს, ხოლო 1970-იანი წლებიდან ის ვითარდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. პრაქტიკის ამ სფეროში შედის დავების გადაჭრა განქორწინებისას, ოჯახში თაობათშორისი კონფლიქტებისას, მემკვიდრეობითი დავებისას, სოციალური დაცვის ორგანოებთან ოჯახის კონფლიქტისას, ასევე, ბავშვის აყვანისას და აყვანილი ბავშვების ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემებისას და ა. შ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მედიაციის დიდი წილი მოდის განქორწინებასთან დაკავშირებულ დავებზე, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ბავშვების ინტერესებს.

ძირითადი ნაწილი

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მოხდა განქორწინების ნორმალიზაცია, როგორც წესი, მისი მონაწილეების მიერ ის აღიქმება როგორც ერთ-ერთი უმძიმესი მოვლენა მათ ცხოვრებაში. განქორწინებას თან ახლავს ისეთი მოვლენები, როგორიცაა მეუღლეთა მწვავე ემოციური რეაქცია (წყენის, რისხვის, ნდობის დაკარგვის გრძნობა); საერთო ქონების გაყოფა და კერძო ფინანსების რეორგანიზაცია; მოლაპარაკება ბავშვების ერთობლივად აღზრდაზე და ალიმენტების გადახდაზე; სათანადო იურიდიული პროცედურების განხორციელება[3]. ამიტომ ცოლ-ქმარი, რომელიც დადგა განქორწინების ფაქტის წინაშე, საჭიროებს როგორც ნათესავების, ახლობლების, მეგობრების მხარდაჭერას, ისე – კვალიფიციურ დახმარებას სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების მხრიდან.

ოჯახური კონფლიქტების ემოციურმა დაძაბულობამ და მონაწილეებს შორის ახლო ურთიერთობებმა ამ სფეროში განსაზღვრა მოთხოვნა მედიაციაზე, როგორც დავის გადაწყვეტის უფრო მოქნილ და არაფორმალურ ხერხზე, რომელიც ორიენტირებულია ორივე მხარის ინტერესებზე და მათი ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამავე მიზეზების გამო, საოჯახო მედიაციას გააჩნია რიგი თავისებურებები, რომლებიც განასხვავებენ მას სამოქალაქო-სამართლებრივი ან შრომითი ურთიერთობების მედიაციისგან. მაგალითად, ამერიკაში განქორწინებასთან დაკავშირებულ მედიაციას ზოგჯერ გამოყოფენ მედიაციის ცალკე სახედ. არსებობენ მედიატორები, რომლებიც სპეციალიზებული არიან მხოლოდ განქორწინებაზე[4]. გამოცდილება აჩვენებს, რომ, განსაკუთრებით მწვა-

---

3 M. Roberts, *Mediation in family disputes: Principles of Practice* (England: Ashgate, 2008), 30-31.

4 J. Folberg, A. Milne and P. Salem, Eds., *Divorce and Family Mediation: Models, Techniques,*

ვე საკითხებთან მიმართებაში, მედიაციის (როგორიცაა, მაგალითად, ბავშვზე მეურვეობა ან ოჯახური ბიზნესი, გაზრდილი შფოთვისა და შიშის გამო) გამოყენებისას, როგორც წესი, ჰიპერმგრძნობიარე ემოციური კლიმატი იქმნება, რის შედეგადაც, კლიენტისა და მედიატორის თავდაპირველი ურთიერთობები ერთდროულად „დანაღმულ ველსა“ და პოტენციური შესაძლებლობების სარბიელს წარმოადგენს ხანგრძლივი დავების გადაწყვეტისათვის[5].

საოჯახო მედიაციაში კონფლიქტის ემოციურ-ფსიქოლოგიური შემადგენელი განსაკუთრებით ძლიერად ვლინდება[6]. სწორედ ამიტომ, ამ სფეროში მომუშავე მედიატორების დიდი ნაწილი საბაზისო განათლებით არის ან ფსიქოლოგი ან სოციალური მუშაკი.

მედიაციის გამოყენება: როგორც ცნობილია, მედიაცია შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა თანაბარუფლებიანი მონაწილეობისას, ფიზიკური უსაფრთხოებისას, ფსიქოლოგიურად კომფორტულ გარემოში, ასევე, იმ პირობით, რომ მხარეებს უნარი შესწევთ, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება და შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები. ამიტომ, ოჯახური დავისას მედიაციის გამოყენებაზე არსებობს მთელი რიგი შეზღუდვები, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს შემდეგ ფაქტორებთან:

- ოჯახური ძალადობის განმეორებადი ფაქტები, რომლებიც გრძელდება მედიაციის მომზადების მომენტისთვის ან რომლებსაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში;
- ბავშვებზე ძალადობა;
- დაშინება, მუქარა, მხარეთა ძალებს შორის სერიოზული დისბალანსი;
- ერთ-ერთი მხარის ფსიქიკური დაავადება;
- ერთ-ერთი მხარის შრომისუუნარობა;
- ერთ-ერთი მხარის ნარკოტიკებზე დამოკიდებულება;
- შეცდომაში განზრახ შეყვანა და არასწორი ინფორმაციის მიწოდება;
- მედიაციური პროცედურების ძირითადი წესების შესრულებაზე უარის თქმა ან უუნარობა[7].

---

and Applications (New York: Guilford Press, 2004); Л. Паркинсон, *Семейная медиация* (Москва: МЦУПК, 2016), 10.

5 David A. Hoffman and Richard N. Wolman, „The Psychology of mediation“, *Cardozo Journal of Conflict Resolution*, (2013): 759-806, https://cardozojcr.com/wp-content/uploads/2013/05/CAC306.pdf (11.11.2020).

6 R. Emeri, *Renegotiating Family Relationships: Divorce, Child Custody, and Mediation* (New York: Guilford Press, 2012); Паркинсон, *Семейная медиация*.

7 Паркинсон, *Семейная медиация*, 67.

ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მედიაციის გამოყენების შეფასებისთვის, აუცილებელია, მედიატორმა განახორციელოს წინასწარი სკრინინგის პროცედურა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ადამიანს, რომელზეც მუდმივად ხორციელდება ოჯახური ძალადობა, შეიძლება ეშინოდეს ამაზე საუბარი. კონფლიქტის მონაწილესთან ინდივიდუალური საუბრისას, მედიატორი კომუნიკაციას იწყებს ყველაზე უფრო ნეიტრალური ყოველდღიური კითხვებით: „ერთობლივი ცხოვრებისას ხშირად ჩხუბობდით?"; „დაშორების შემდეგაც აგრძელებთ ჩხუბს?"; „ურთიერთობთ ახლა ერთმანეთთან?" ოჯახური ძალადობის გამოვლენაზე მიმართული მომდევნო კითხვები შეიძლება იყოს შემდეგი:

- როდის ჩხუბობთ ხოლმე? მეუღლე გაყენებთ შეურაცხყოფას?
- თუ ყოფილი მეუღლე შეურაცხყოფას გაყენებთ, გემუქრებათ ან გაშინებთ, რა სახის მუქარას იყენებს იგი?
- თუ ხდება ხოლმე, რომ შეურაცხყოფას თან ახლავს აგრესიაც? ჰქონია თუ არა ადგილი ჩხუბის დროს ფიზიკურ ძალადობას? გემუქრებოდნენ თუ არა, რომ გამოიყენებდნენ ძალას?

თუ მსგავს კითხვებზე მიღებულია უარყოფითი პასუხები, შეიძლება დავაზუსტოთ: „შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ძალადობის ან რაიმე მსგავსი შემთხვევების ფაქტები არ ყოფილა?" ოღონდ, თუ ადგილი ჰქონდა ძალადობის შემთხვევებს, მაშინ აუცილებელია რამდენიმე დამაზუსტებელი შეკითხვის დასმა:

- ხდებოდა თუ არა ეს ბავშვების თანდასწრებით?
- როდის მოხდა ეს უკანასკნელად?
- ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, მიგიმართავთ თუ არა ოდესმე პოლიციისთვის?
- თუ კი, რა ქმედებები განახორციელა პოლიციამ?
- ამასთან დაკავშირებით, ოდესმე მიგიმართვთ თუ არა სამედიცინო დახმარებისთვის?
- შიშობთ თუ არა, რომ ძალადობა გაგრძელდება? თუ კი, შეგიძლიათ თუ არა შეაფასოთ თქვენი შიშის ხარისხი?

ბავშვთან საუბრისას სპეციალისტს უნდა ახსოვდეს, რომ საჭიროა ყურადღების და თანაგრძნობის გამოჩენა. მოკლე წინადადებების, შეკითხვების და, აგრეთვე, ბავშვისთვის გასაგები გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება[8].

---

8 საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, *ბავშვზე ძალადობა და უგულებელყოფა. გამოვლენა და რეაგირება. სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის* (2017), http://phf.org.ge/uploads/publications/5ab365e73867d.pdf (11.11.2020), 58.

თანასწორუფლებიანი მოლაპარაკების პროცესის ჩარჩოებში შეუძლებელია საკუთარი ინტერესების რეალიზაცია, ყველა მონაწილისთვის მისაღები გადაწყვეტილების ძიება და განხილვა, თუ კონფლიქტის მონაწილეთა შორის ძალაუფლების თვალსაზრისით არსებობს სერიოზული დისბალანსი. მაგალითად, გაგრძელებული ოჯახური ძალადობა, რეგულარული ცემის ფაქტების სახით, მედიაციის პროცედურას ხდის შეუძლებელს და მედიატორმა მხარეს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ სამსახურების შესახებ, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლებს აღმოუჩენენ იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას. ამავე დროს, დაზარალებულმა მხარემ შეიძლება უთხრას მედიატორს, რომ რამდენიმე წლის წინ მეუღლე მასზე ფიზიკურად ძალადობდა და მას ეშინია ძალადობის გამეორების. თუ ცოლი დარწმუნებულია ამაში, მაშინ მედიაციის ჩატარება დასაშვებია. საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ ქალები, რომლებიც გახდნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, ხშირად მიმართავენ მედიტორებს, რადგან ეძებენ თავიანთ ყოფილ პარტნიორებთან დამოუკიდებელი მესამე მხარის თანდასწრებით მოლაპარაკების შესაძლებლობას.

წინასწარი შეხვედრის დროს, არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვების დაცვასთან დაკავშირებული კითხვების დასმა, რომლებიც შეიძლება იყოს ასეთი სახის:

- შესწრებია თუ არა რომელიმე ბავშვი მშობლების ჩხუბს? ხედავდნენ ან ესმოდათ თუ არა მათ თქვენი კამათი? როგორ ფიქრობთ, ეშინიათ თუ არა ბავშვებს იმის, რომ ეს კიდევ განმეორდება?
- შიშობთ თუ არა, რომ თქვენს ბავშვს რაიმე ემუქრება?
- ამასთან დაკავშირებით, მიგიმართავთ თუ არა პოლიციისთვის ან სოციალური დაცვის ორგანოებისთვის?

მედიაციის მონაწილეები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ, მართალია, მედიაცია კონფიდენციალური ხასიათისაა, მაგრამ არსებობს გამონაკლისები, როცა მედიატორს არ შეუძლია კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვა, როცა იცის, რომ ბავშვს ან ზრდასრულ ადამიანს ემუქრება სერიოზული საფრთხე. ასეთ გარემოებებში მედიაციის წარმართვა არ არის მიზანშეწონილი.

მედიაციაში მხარეთა ადეკვატურად მონაწილეობის უნართან დაკავშირებული კითხვები შეიძლება დაისვას შემდეგნაირად:

- ხომ არ აწუხებს თქვენს ყოფილ პარტნიორს რაიმე ფსიქიკური დაავადება (მათ შორის, კლინიკურად დიაგნოსტირებული დეპრესია)? თუ კი, დადის თუ არა იგი ექიმთან?
- ხომ არ გაქვთ რაიმე შიში მეორე მხარის ქმედებებთან დაკავშირებით, გამომდინარე მისი ფსიქიკური დაავადებიდან?
- ხომ არაა თქვენი ყოფილი პარტნიორი ნარკოტიკებზე დამოკიდებული?

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ამბობს, რომ მის ყოფილ პარტნიორს ჰქონდა ფსიქიკური დაავადება, ეს საკითხი და მედიაციაზე მისი გავლენის შესაძლებლობა გამოკვლეული უნდა იქნას კვალიფიცირებული ექიმ-ფსიქიატრის მონაწილეობით.

ბევრ შემთხვევაში, მხარეთა გარკვეული შიშის მიუხედავად, რომელიც უკავშირდება წარსულში განცდილ ოჯახურ ძალადობას, მაინც არის შესაძლებელი მედიაციის ჩატარება. ოღონდ, თუ სახეზეა რაიმე სახის შიში, მედიატორი შეიძლება დაინტერესდეს იმით, თუ რამდენად უსაფრთხოდ იგრძნობს ეს ადამიანი თავს, როცა მოხვდება ერთ ოთახში კონფლიქტის მეორე მხარესთან ერთად.

ალტერნატიული ვარიანტის სახით, მონაწილეებს შეიძლება შესთავაზონ მედიაციის დისტანციური პროცედურა ვიდეო კავშირის დახმარებით. ასევე, მედიაცია შეიძლება წარიმართოს მხარეებთან ცალკე შეხვედრების სახით. თუ მხარეებს არ აქვთ სირთულეები პირად შეხვედრებთან დაკავშირებით, მაინც შეიძლება ჰკითხოთ, როგორ ურჩევნიათ მედიაციის ადგილის დატოვება – ერთდროულად, თუ ცალ-ცალკე.

კო-მედიაცია: ეს არის მედიაციის პროცედურა, რომელიც ტარდება ორი მედიატორის მონაწილეობით. ის განსაკუთრებით გავრცელებულია ოჯახური დავების გადაწყვეტისას და ამას აქვს თავისი მიზეზები. ხშირად ოჯახურ წყვილში პიროვნებათაშორისი კონფლიქტი მონაწილეების მიერ აღიქმება როგორც გენდერული და მოდავე მხარეებმა მედიატორის ნეიტრალურობა შეიძლება დააყენონ ეჭვქვეშ: კლიენტებს შეიძლება მოეჩვენოთ, რომ მედიატორი დგას თავისი სქესის მონაწილის მხარეს ან თითქოს ის „მოჯადოებულია“ მისი საპირისპირო სქესის მონაწილით[9]. ამიტომ, ოჯახურ მედიაციაში ძალიან გავრცელებულია კო-მედიაცია, რომელიც ხორციელდება ერთდროულად ორივე სქესის მედიატორის მიერ: ეს იძლევა გენდერული ბალანსის დაცვის საშუალებას და ხელს უწყობს მონაწილეების მიერ მედიატორების როგორც ნეიტრალური მხარის აღქმას.

სერიოზული კონფლიქტების მოგვარებაში ორი მედიატორის მონაწილეობას გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობა, ოღონდ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს სპეციალისტები მოქმედებენ შეთანხმებულად, ხოლო მათი პიროვნული და პროფესიული თვისებები ურთიერთშემავსებელია. ორი მედიატორის კარგად ურთიერთქმედებას ხელს უწყობს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ორმხრივი ნდობა; როლებისა და პირადი პასუხისმგებლობის ზონების ნათლად გამიჯვნა; მოსამზადებელი კურსის ერთად გავლა და ერთობლივი მუშაობის გამოცდილების არსებობა; შეხვედრებისა და შედეგების განხილვისთვის ერთობლივად მომზადება. კო-მედიაციის დროს ხშირად – იმის მიუხედავად, რომ არ არის აუცილებელი – ერთ-ერთ

9 Паркинсон, *Семейная медиация*, 78-79.

მედიატორს აქვს იურიდიული, ხოლო მეორეს – ფსიქოლოგიური განათლება, რაც საშუალებას აძლევს მათ, კლიენტებს აღმოუჩინონ უფრო მრავალმხრივი დახმარება. ასევე, მეორე მედიატორის მონაწილეობა იძლევა შეცდომების ან გაუგებრობის თავიდან აცილების საშუალებას: მედიატორი, რომელიც მუშაობს მარტო, შეიძლება გასცდეს თავისი როლის საზღვრებს, დაკარგოს ნეიტრალურობა, მხედველობიდან გამორჩეს მნიშვნელოვანი მომენტები ან გამოიყენოს მუშაობის საეჭვო მეთოდები. მეორე მედიატორის მონაწილეობა, ბევრ შემთხვევაში, წარმოადგენს ხარისხიანი მომსახურების გაწევის გარანტიას.

ტრანსმოსაზღვრე ოჯახურ დავებში სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა კო-მედიატორები შეიძლება იყვნენ მათი ქვეყნების სპეციალისტები, იმ პირობით, რომ ისინი იცნობენ საერთაშორისო ოჯახური მედიაციის სფეროში არსებულ პროფესიულ სტანდარტებს და გავლილი აქვთ სათანადო მომზადება. სწორედ ასეთი სქემაა რეკომენდებული „მედიაციის პრაქტიკულ სახელმძღვანელოში," რომელიც მომზადებულია ჰაგის კონფერენციის მიერ[10]. ამ შემთხვევაში, დავის მონაწილეებისთვის უფრო კომფორტულია თავის თანამემამულესთან ურთიერთობა. გარდა ამისა, ორი კო-მედიატორის მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნიდან იძლევა მოდავე მხარეების კულტურული თავისებურებების უკეთესად გათვალისწინების საშუალებას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში ყოველთვის ვერ ხერხდება ასეთი მედიაციის ორგანიზება.

ყურადღება ბავშვების ინტერესებისადმი: მშობლების განქორწინებამ შეიძლება სერიოზული ნეგატიური გავლენა მოახდინოს არამარტო იმათ ბავშვობაზე, ვინც განიცადა მშობლიური ოჯახის დაშლა, არამედ მათ მომავალ ზრდასრულ ცხოვრებაზეც. ამასთანავე, კვლევები აჩვენებს, რომ განქორწინებული მშობლების თანამშრომლობა, მშობლიური მოვალეობების შესრულებისას, ხელს უწყობს ბავშვების მიერ განქორწინების შედეგების უფრო ადვილად და სწრაფად გადალახვას.

ბავშვის ინტერესებზე ერთობლივი ზრუნვა: ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის უფლების სრულფასოვანი რეალიზაცია (შეხვედრები, ტელეფონით ურთიერთობა, ზაფხულში მეორე მშობელთან დასვენება) და ერთობლივი მონაწილეობა ბავშვის მატერიალურ უზრუნველყოფაში (ალიმენტების გადახდა და ა.შ.), როგორც წესი, ხდება უმნიშვნელოვანესი თემები, რომლებსაც განიხილავენ მონაწილეები. ამასთანავე, კონფლიქტის მწვავე სტადიაზე მშობლებს შორის მოლაპარაკების მცდელობები ზოგჯერ გადადის ვაჭრობაში, როცა ის მშობელი, რომელთანაც ბავშვი

---

10 Гаагская конференция по международному частному праву, *Медиация. Практическое руководство по применению Гаагской конвенции от 25 октября 1980 года О гражданско-правовых аспектах Международного похищения детей* (Гаага: Научно-методический центр медиации и права, 2013), 74.

ცხოვრობს (ხშირად – დედასთან), მოცემულ მომენტში ბავშვს აღიქვამს პირად საკუთრებად და მას იყენებს მანიპულაციისთვის[11]. ესაა მეტად საშიში ტენდენცია, რომელსაც მედიატორი უნდა დაუპირისპირდეს უსაფრთხო გარემოს შექმნით, სადაც მხარეებს გაუადვილდებათ ერთმანეთთან ურთიერთობა. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, მედიაციის მონაწილეებს დახმარება გაეწიოთ იმაში, რომ მოახდინონ ფოკუსირება ბავშვების ინტერესებზე და იფიქრონ არამარტო საკუთარ თავზე, არამედ ბავშვების გრძნობებსა და ინტერესებზე. როგორც წესი, მშობლები თავად აცნობიერებენ, რომ მთავარი არის ბავშვების კეთილდღეობა და ისინი მიესალმებიან მედიატორის მისწრაფებას, გამართოს დისკუსია ამ პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ.

მედიატორმა უნდა მოახდინოს ინიცირება იმ ინფორმაციის გაცვლის, რომელიც ეხება ბავშვებს. ამის მისაღწევად მან შეიძლება სთხოვოს მშობლებს, მიაწოდონ ინფორმაცია ბავშვების ხასიათზე, საქმიანობასა და გატაცებებზე. ძალიან ხშირად, იმ მშობელმა, რომელიც უფრო მეტადაა ჩართული ბავშვის ყოველდღიურ მოვლაში, მის შესახებ იცის გაცილებით მეტი, ვიდრე – მეორემ. თუ საქმეში უფრო ჩახედულ მშობელს სთხოვენ, ისაუბროს ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მოთხოვნილებებზე, ეს საშუალებას მისცემს ყოფილ მეუღლეს, მიიღოს ბავშვის შესახებ აქტუალური ინფორმაცია. ურთიერთობის ფოკუსის ბავშვზე გადატანა საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს მშობლების ზოგადი წარმოდგენები ბავშვზე და იმაზე, თუ რა იქნება მისთვის კარგი და, ამრიგად, შექმნის მათ შორის კონსტრუქციული კომუნიკაციის საფუძველს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბევრ საკითხში მხარეების აზრი განსხვავებულია, ჩვეულებრივ, ბავშვებზე საუბარი დადებითად მოქმედებს მათ განწყობილებაზე: ატმოსფერო განიმუხტება, ისინი იღიმიან და ერთმანეთს მეტი ხალისით უყურებენ. ზოგჯერ მედიატორმა შეიძლება სთხოვოს მონაწილეს, აჩვენოს მას და მეორე მშობელს ბავშვის ფოტოები ან ხანმოკლე ვიდეო ბავშვის მონაწილეობით. იმ შემთხვევაში, თუ მედიაციის მსვლელობისას ერთ-ერთ მშობელს არ აქვს ბავშვთან ურთიერთობის საშუალება, კარგი იქნება, განიხილონ, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი შეხვედრის ორგანიზება სესიებს შორის შუალედში. ამ შემთხვევაში, მედიატორთან მომავალი ერთობლივი შეხვედრა შეიძლება დაიწყოს იმის განხილვით, თუ როგორ ჩაიარა ბავშვისა და მშობლის შეხვედრამ.

ზოგჯერ მედიაციისას არ ხერხდება ყოფილ მეუღლეებს შორის არსებული ყველა წინააღმდეგობის, მათ შორის, ქონებრივი დავების გადაწყვეტა ან ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რომელ მშობელთან იცხოვრებს ბავშვი მათი განქორწინების შემდეგ. განქორწი-

11 Emeri, *Renegotiating Family Relationships: Divorce, Child Custody, and Mediation*, 13-14.

ნებასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვები შეიძლება ძალიან გაჭიანურდეს და, ასეთ შემთხვევაში, მედიაციის ამოცანა შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ მშობლებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე უზრუნველყოს ბავშვის კეთილდღეობა, სანამ სასამართლო არ მიიღებს მისი ინტერესების დამცველ საბოლოო გადაწყვეტილებას. მედიატორმა შეიძლება მშობლებს შესთავაზოს ბავშვთან ურთიერთობის რეჟიმის, მისი ფინანსური უზრუნველყოფის და სხვა საკითხების განხილვა. ამ შემთხვევაში, მიღწეულ შეთანხმებებს ექნება შუალედური ხასიათი და ისინი შეიძლება დამტკიცდეს მშობლებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის სახით.

ბავშვების მონაწილეობა მედიაციაში: ბავშვის ინტერესები ყოველთვის დგას საოჯახო მედიაციის ცენტრში და ის, თითქოს, უხილავად მონაწილეობს მთელ პროცედურაში – დაწყებიდან დასრულებამდე. ზოგიერთი უცხოელი მედიატორი მედიაციისთვის განკუთვნილ ოთახში ზოგჯერ დგამს ცარიელ სკამს, რომელიც სიმბოლურად აღნიშნავს ბავშვის უხილავ თანდასწრებას. ამასთანავე, მედიაციის პროცესში ბავშვების რეალურ მონაწილეობაზე მედიატორთა პროფესიულ ერთობაში დიდი ხანია მიმდინარეობს ცხარე დებატები: არსებობენ როგორც მედიაციის პროცესში ბავშვის ჩართვის მომხრეები, ასევე – ამის კატეგორიული მოწინააღმდეგეები. მომხრეებს არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ბევრ ბავშვს სურს, მიიღოს მონაწილეობა იმ შეთანხმების პირობების შემუშავებაში, რომლებიც ეხება მათ მომავალ ცხოვრებას მშობლების განქორწინების შემდეგ. მათ უნდათ, რომ მშობლებმა მოუსმინონ და გაითვალისწინონ მათი გრძნობები და სურვილები. სულ პატარა ბავშვებსაც კი ესმით, რამდენად მნიშვნელოვანია, გაიგონონ მათი ხმა, თუმცა, ზოგიერთს არ სურს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება და ამჯობინებენ, რომ უბრალოდ გაითვალისწინონ მათი რჩევა მოლაპარაკების შემუშავებისას. ასეთი მიდგომის მოწინააღმდეგეები ფიქრობენ, რომ ბავშვების მონაწილეობამ, მათთვის მტკივნეული პრობლემების განხილვაში, შეიძლება ავნოს ბავშვებს და მიაყენოს მათ ფსიქოლოგიური ტრავმა; ასევე, შეიძლება შექმნას დამატებითი სტიმულები კონფლიქტის მონაწილეთა მხრიდან მანიპულაციისთვის, განაწყოს ბავშვი ერთ-ერთი მშობლის წინააღმდეგ. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვის მონაწილეობა მედიაციაში ნეგატიურად აისახება უფროსების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და შეიძლება შეარყიოს მათი ავტორიტეტი[12]. თუმცა, დასავლეთელი მედიატორები საკმაოდ დადებითად უყურებენ მედიაციაში ბავშვების ჩართვას.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მედიაციაში ბავშვის მონაწილეობის მიზანშეწონილობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორიცაა:

---

12 Паркинсон, *Семейная медиация*, 182-186.

მისი ასაკი (ჩვეულებრივ, საუბარია სკოლამდელებზე), გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის სურვილი ან მისი უქონლობა, ორივე მშობლის თანხმობა, უფროსებს შორის კონფლიქტის სიმწვავე და არსებული უთანხმოებების მშვიდად განხილვის უნარი, ასევე, მედიატორის მიერ ბავშვებთან მუშაობის ცოდნა და გამოცდილება. ხშირად, მშობელი, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, მედიაციის დროს საუბრობს მის მოთხოვნილებებზე და სურვილებზე, ოღონდ, მნიშვნელოვანია, რომ მეორე მშობელს შეეძლოს ბავშვის მოსაზრების გაგება პირდაპირ ან ნეიტრალური შუამავლის მიერ – ასეთ შემთხვევაში, ინფორმაცია აღიქმება როგორც უფრო სანდო და მშობელი ყოფილ პარტნიორს ნაკლებად ადანაშაულებს მანიპულაციებში.

ნებისმიერ შემთხვევაში, ბავშვის ჩართვა მედიაციაში აუცილებლად გულისხმობს ასეთი შესაძლებლობის დეტალურად განხილვას მშობლებთან და ასევე – ბავშვისგან ინფორმირებული თანხმობის მიღებას. გარდა ამისა, მშობლები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ბავშვებთან მუშაობისას მედიაციის კონფიდენციალობა ვერ იქნება აბსოლუტური: თუ იქნება სერიოზული ეჭვი, რომ ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას ემუქრება საფრთხე, მედიატორი ვალდებული იქნება, მიიღოს უსაფრთხოების ზომები, კერძოდ, აცნობოს შესაძლო საფრთხის შესახებ ბავშვზე ზრუნვისა და მეურვეობის ორგანოებს. როგორც წესი, ორივე მხარისგან ითხოვენ, ხელი მოაწერონ დამატებით თანხმობას მედიაციაში არასრულწლოვანი ბავშვების მონაწილეობასთან დაკავშირებით.

რეკომენდებულია, მოხდეს ბავშვთან ურთიერთობა მედიატორთან ან ფსიქოლოგთან ინდივიდუალური საუბრის ფორმატში. მშობლებმა და მედიატორმა წინასწარ უნდა მოილაპარაკონ იმაზე, თუ კონკრეტულად რა საკითხების განხილვა მოხდება ბავშვის თანდასწრებით. ამავე დროს, მედიატორთან საუბრამდე მშობლებმა არ უნდა დაარიგონ ბავშვი და შეხვედრის შემდეგ არ უნდა დაუწყონ გამოკითხვა, თუ რაზე ისაუბრეს მათ. ბავშვი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ შეუძლია აზრის თავისუფლად გამოთქმა და ამის გამო არ აღმოჩნდება უსიამოვნო სიტუაციაში ან რაიმე ზიანს არ მიაყენებს მშობლებს. გადაწყვეტილება ამის თაობაზე, უნდა გააცნოს თუ არა მედიატორმა საუბრის შინაარსი მშობლებს, უნდა მიიღოს ბავშვმა.

მედიაციაში ბავშვის მონაწილეობა უნდა განვიხილოთ როგორც ბავშვისთვის დახმარების გაწევის ფორმა და შესაძლებლობა იმისა, რომ მან გამოხატოს თავისი აზრი უსაფრთხო და კომფორტულ პირობებში. თუ ბავშვთან საუბარს ატარებს მოწვეული ფსიქოლოგი, აუცილებელია, მას აუხსნან, რომ მისი ამოცანაა არა ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, არამედ მხოლოდ ბავშვის სურვილების მიტანა მშობლებამდე. ბავშვი არაა მოსამართლე, მას არ მოეთხოვება რაიმე გადაწყვეტილების მიღება

ან რომელიმე მშობლის სასარგებლოდ რაიმე აზრის გამოთქმა. მედიატორთან ან მოწვეულ ფსიქოლოგთან საუბრისას, არცთუ იშვიათად, ირკვევა, რომ ბავშვებს სურთ, უფროსებამდე მიიტანონ თავისი იმედები კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებით და მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა. მეორე მხრივ, ბევრ ბავშვს სურს, აუხსნას მშობლებს, თუ როგორი დახმარება სჭირდებათ მათ. თუ ბავშვი სთხოვს მედიატორს, დაელაპარაკოს მშობლებს მისი სახელით, აუცილებელია იმ გზავნილის ჩაწერა, რის გადაცემაც სურს ბავშვს და, აგრეთვე აუცილებელია, ამ უკანასკნელთან დაზუსტება, რამდენად სწორადაა ჩამოყალიბებული მისი სათქმელი[13].

პირადი გამოცდილების საფუძველზე, შეგვიძლია ვისაუბროთ მედიატორის როლის მნიშვნელობაზე, ოჯახური პრობლემების მოგვარებისას. კერძოდ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლიდან ფუნქციონირებს ფსიქოლოგიის კლინიკა, სადაც ერთ-ერთი მიმართულებაა ძალადობაგამოვლილი ბავშვებისა და ოჯახების მომსახურება. 2017-2019 წლებში საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი (PHF) ბსუ-ს კლინიკის ბაზაზე ახორციელებდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს: „ადვოკატირება ბავშვთა და ახალგაზრდების დასაცავად".

პროექტის მიზანს წარმოადგენდა ოჯახური ძალადობის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისა და ახალგაზრდების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, ძალადობის პრევენცია, შემთხვევებზე ადეკვატური რეაგირება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, უფასო ფსიქო-სოციალური მომსახურება გაეწია 300-ზე მეტ ძალადობის მსხვერპლ ან რისკის ქვეშ მყოფ ბავშვს, ახალგაზრდას და მათი ოჯახის წევრებს. ვინაიდან პროექტში არ იყო გათვალისწინებული მედიატორის პოზიცია, ფსიქოლოგებსა და სოციალურ მუშაკს უხდებოდათ მედიატორის ფუნქციის შეთავსება, ისინი ასრულებდნენ მომრიგებლის როლს სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირებაში: ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ძალადობის, უგულებელყოფის, ოჯახში ძალადობის, სკოლაში ბულინგის და ოჯახური დავების დროს.

პროექტის დასრულების შემდეგ, ბსუ-ს კლინიკა დღემდე აგრძელებს მუშაობას კერძო მომართვების საფუძველზე. კლინიკაში მომართვიანობა საკმაოდ მაღალია. ბენეფიციარები მომართავენ კლინიკას არამხოლოდ ბათუმიდან, არამედ რაიონებიდან და სხვადასხვა რეგიონიდან. პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მსგავსი პრობლემების შემთხვევებში აუცილებელია მედიატორის მონაწილეობა, ხოლო კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება საჭიროებს შესაბამის ცოდნას.

---

13 Паркинсон, *Семейная медиация*, 177-196.

დასკვნა

ამრიგად, გამომდინარე იქიდან, რომ განქორწინებას თან ახლავს მეუღლეთა შორის დაძაბული ურთიერთობა, მათ შორის, წყენა, ბრაზი, ნდობის დაკარგვა – გართულებულია ოჯახური კონფლიქტის მოგვარება და ხშირ შემთხვევაში, სათანადოდ არაა გათვალისწინებული ბავშვის ინტერესებიც.

ამდენად, ოჯახური კონფლიქტების დროს მედიაციის როგორც დავის გადაწყვეტის უფრო მოქნილი და არაფორმალური ხერხის გამოყენებამ, შეიძლება ხელი შეუწყოს პრობლემის უფრო სწრაფად და ეფექტურად მოგვარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

ლიპარტია, ნ. „საოჯახო მედიაცია – საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება". *სამართლის ჟურნალი* 2. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა, 2015.

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი. *ბავშვზე ძალადობა და უგულებელყოფა. გამოვლენა და რეაგირება. სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის.* 2017. http://phf.org.ge/uploads/publications/5ab365e73867d.pdf (11.11.2020).

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

Emeri, R. *Renegotiating Family Relationships: Divorce, Child Custody, and Mediation*. New York: Guilford Press, 2012.

Ferrari, I. "International Divorce". *Cultural Sociology of Divorce* 2. Ed. Robert Emery. 579-585. Thousand Oaks, CA: SAGE, 2013.

Folberg J., A. Milne and P. Salem, Eds. *Divorce and Family Mediation: Models, Techniques, and Applications*. New York: Guilford Press, 2004.

Hoffman, David A. and Richard N. Wolman. „The Psychology of mediation". *Cardozo Journal of Conflict Resolution*, (2013): 759-806. https://cardozojcr.com/wp-content/uploads/2013/05/CAC306.pdf (11.11.2020).

Roberts, M. *Mediation in family disputes: Principles of Practice*. England: Ashgate, 2008.

გამოყენებული ლიტერატურა რუსულ ენაზე:

Гаагская конференция по международному частному праву. Медиация. *Практическое руководство по применению Гаагской конвенции от 25 октября 1980 года О гражданско-правовых аспектах Международного похищения детей*. Гаага: Научно-методический центр медиации и права, 2013.

Паркинсон, Л. *Семейная медиация*. Москва: МЦУПК, 2016.

Стрэссер, Ф. и П. Рэндольф. *Медиация: психологический взгляд на разрешение конфликтов*. Москва: МЦУПК, 2015.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

MEDIATS
Mediation: Training and
Society Transformation

The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

ILIAS
STATE
UNIVERSITY
PRESS

ISBN 978-9941-18-355-3